

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტი

სტუდენტური კონფერენციის - „ბავშვთა  
უფლებების“ ნაშრომთა კრებული



gamomcemloba `universali~  
Tbilisi 2019



წინამდებარე ნაშრომთა კრებული წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ბავშვთა უფლებების“ ფარგლებში ორგანიზებული სტუდენტური კონფერენციის მასალებს.

**სარედაქციო კოლეგია:**

**სოფიო დემეტრაშვილი**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტი

**მარიამ ჯიქია**, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

**ტექნიკური რედაქტირება:**

**თამარ ბარამია**

სამართლის მაგისტრი

© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, 2019

**gamomcemloba `universali~, 2019**

Tbilisi, 0186, a. politkovskaias 4 ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-????

## სარჩევი

**ნელი კოტორაშვილი**

ბავშთა უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

**სალომე ჭიკაძე**

ბავშვთა სიღარიბე და დისკრიმინაცია

**გიორგი ჯანგირაშვილი**

ბულინგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

**სოფიკო დარჩია**

აპატრიდი ბავშვები გზა უხილავობიდან მოქალაქეო-

ბამდე

**ნინო ყაველაშვილი**

ბავშვთა იძულებითი შრომა და ექსპლუატაცია

**ვაჟა ნიზლიაშვილი**

ოჯახური ძალადობა ბავშვთა უფლებების ჭრილში

**გიორგი ბიჭიკაშვილი**

მიუსაფარ ბავშვთა სოციალურ-სამართლებრივი პრობ-  
ლემები საქართველოში

**ნინო ყაველაშვილი**

ბავშვთა იძულებითი შრომა და ექსპლუატაცია

**ვახტანგ ნოღაიდელი**

ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის სოციალური ას-  
პექტები



## ბავშთა უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

ავტორი: ნელი კოტორაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი*

მსოფლიოს თითოეულ ბავშვს აქვს უფლება, იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მშვიდობიანი ბავშვობით, სრულყოფილი განათლებით, სიყვარულით, ჯანმრთელობითა და მზრუნველობით.<sup>1</sup> მსოფლიო საზოგადოება ბავშვთა უფლებების მდგომარეობით პირველად 1923 წელს დაინტერესდა, როდესაც ახლადდაარსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები საერთაშორისო კავშირში“<sup>2</sup> მიიღო ხუთი მუხლისაგან შემდგარი დეკლარაცია ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც ჟენევის დეკლარაციის სახელითაა ცნობილი<sup>3</sup>. აღნიშნული 1924 წელს ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეამ დაამტკიცა.<sup>4</sup> ბავშვთა მიმართ ჩადენილ უსამართლობისა და ძალადობის გათვალისწინებით, აგრეთვე, ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი დონიდან, ბავშვების

---

<sup>1</sup> სამეცნიერო ნაშრომთა კრებული (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბავშვთა უფლებები“-ს მასალები). გამომცემლობა უნივერსალი., თბ. 2019., გვ. 64.

<sup>2</sup> <https://www.savethechildren.net/>

<sup>3</sup> <https://www.humanium.org/fr/declaration-de-geneve-1924/>

<sup>4</sup> სამეცნიერო ნაშრომთა კრებული (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბავშვთა უფლებები“-ს მასალები). გამომცემლობა უნივერსალი., თბ. 2019., გვ. 4.

სამედიცინო მომსახურებაში პრობლემებიდან და აღნიშნულთა ბაზისური განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მსოფლიო საზოგადოებამ გამოთქვა მოსაზრება სრუყოფილი დოკუმენტის შექმნაზე, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო კანონმდებლობით განმტკიცებული, რის შედეგადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებულ იქნა „ბავშვის უფლებათა კონვენცია“.<sup>5</sup> სწორედ 1989 წელს მიღებულმა კონვენციამ განაპირობა ბავშვის მიმართ აღქმისა და დამოკიდებულების შეცვლა. კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ.<sup>6</sup> აღნიშნული კონვენცია მსოფლიოს ყველაზე მეტი ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული, რაც ისტორიის უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენს.<sup>7</sup> კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან და აყალიბებს ბავშვთა კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტებს, მათი განვითარების თითოეული ეტაპისათვის, რომელიც ბავშვის განსაზღვრების მიხედვით, გენდერის, წარმომავლობის, რელიგიისა და შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, 18 წლამდე ყველა ადამიანს ეხება.<sup>8</sup> ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმები მოიცავს ბავშვთა უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებულ

---

<sup>5</sup> იხ. იქვე.

<sup>6</sup> <https://www.unicef.org/georgia/ka/>

<sup>7</sup> აბულაძე გ., ბავშვთა უფლებები საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე., თბ. 2015. გვ. 8.

<sup>8</sup> სამეცნიერო ნაშრომთა კრებული (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბავშვთა უფლებები“-ს მასალები). გამომცემლობა უნივერსალი., თბ. 2019., გვ. 4.

კონვენციებსა და დამატებით ოქმებს. წინამდებარე ნაშრომში კი შევეცდები, მოგაწოდოთ ინფორმაცია ბავშვთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სხვადასხვა მექანიზმზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კანონმდებლობა (შესაბამისი პროცედურების დაცვით რატიფიცირებული დეკლარაციები და კონვენციები) უზრუნველყოფს ფუნდამენტურ მიდგომებს.<sup>9</sup> 1959 წელს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მე-6 მუხლის შესაბამისად, ფუნდამენტური პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ბავშვი უნდა გაიზარდოს მზრუნველ გარემოში, აღიზარდოს მშობლების პასუხისმგებლობის ქვეშ და, ნებისმიერ შემთხვევაში, მოსიყვარულე ატმოსფეროში, მორალურად და მატერიალურად უსაფრთხო გარემოცვაში; არასრულწლოვანი ბავშვი, განსაკუთრებით საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, არ უნდა იქნეს დედისაგან განცალკევებული...<sup>10</sup> აღსაღნიშნავია „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ 1996 წლის კონვენცია,<sup>11</sup> რომელიც გამოიყენებოდა ბავშვებთან მიმართებაში დაბადებიდან თვრამეტი წლის ასაკის შესრულებამდე. წინამდებარე კონვენციის მიზნებისთვის ტერმინი “მშობლის პასუხისმგებლო-

---

<sup>9</sup> სამეცნიერო ნაშრომთა კრებული (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბავშვთა უფლებები“-ს მასალები). გამომცემლობა უნივერსალი., თბ. 2019., გვ. 35.

<sup>10</sup> ბავშვის უფლებათა დეკლარაცია., 1386 (XIV), 14 U.N. GAOR Supp. (No. 16) at 19, U.N. Doc. A/4354 (1959).

<sup>11</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2759259?publication=0>

ბა” მოიცავს მშობლის უფლებამოსილებას ან სხვა ანალოგიურ დამოკიდებულებას, რომელიც განსაზღვრავს მშობლების, მეურვეების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უფლებებს, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს ბავშვის პიროვნებასთან ან ქონებასთან მიმართებაში.<sup>12</sup> ბავშვთა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები შემდეგ კატეგორიად იყოფა:

- პირადი უფლებები;
- სოციალური უფლებები;
- კულტურული უფლებები;
- პოლიტიკური უფლებები;

ამასთან, ბავშვის უფლებები მოიცავს ბავშვის ცხოვრების ყველა ასპექტს, კერძოდ:

- სიცოცხლის უფლება;
- განვითარების უფლება;
- მონაწილეობის უფლება;
- დაცვის უფლება.

სიცოცხლის უფლება - მოცემული უფლება სახელმწიფოს აკისრებს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ვალდებულებებს. ნეგატიური ვალდებულების დროს სახელმწიფო ვალდებულია არ დაარღვიოს ეს უფლება, ანუ არ მოკლას ადამიანი, ხოლო პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ადამიანის დაცვას მესამე პირთა ჩარევისა-

---

<sup>12</sup> იხ. იქვე.



გან, ხოლო აღნიშნულის დარღვევის შემთხვევაში ეფექტიან და ჯეროვან გამოძებას, მკვლელის დასჯას. როდესაც სიცოცხლის უფლების დაცვაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ რომ სახელმწიფო იცავს ადამიანის სიცოცხლის უფლებას და არა სიცოცხლეს, ანუ სახელმწიფო ვალდებული არ არის თითოეულ ადამიანს დაუნიშნოს პირადი მცველი და ამით უზრონველყოს ხალხთა დაცვა. ბავშთა უფლებების ცხოვრების ერთ-ერთ ასპექტად მიიჩნევა ცხოვრების სათანადო პირობები, რომლებიც მაქსიმალურად უნდა იყოს მშობლების, ხოლო მოცემული საკითხის მშობლების მიერ ვერ უზრონველყოფის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ. ასევე, აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ბავშვს უნდა ჰქონდეს სათანადო თავშესაფარი, შესაფერისი კვება, სამედიცინო მომსახურება და ა.შ.

განვითარების უფლება მოიაზრებს უფლებებს, რომლებიც ბავშვს აძლევს შესაძლებლობას გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი, ეს შეიძლება იყოს განათლების უფლება, სინდისის უფლება, რელიგიის უფლება, დასვენების უფლება, ინფორმაციის მიღებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება. განვითარებასა და განათლებაზე საუბრისას, აღსანიშნავია ნელსონ მანდელას<sup>13</sup> სიტყვები: “განათლება ყველაზე ძლიერი იარაღია, რომელსაც შეუძლია შეცვალოს მსოფლიო”.<sup>14</sup> განათლების უფლება ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო:

- ვალდებულია უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა (მოაწყოს სკოლე-

---

<sup>13</sup> [https://en.wikipedia.org/wiki/Nelson\\_Mandela](https://en.wikipedia.org/wiki/Nelson_Mandela)

<sup>14</sup> [https://www.brainyquote.com/authors/nelson\\_mandela](https://www.brainyquote.com/authors/nelson_mandela)

ბის ქსელი, მოამზადოს მასწავლებლები, მოამარაგოს სახელმძღვანელოებით, შეიმუშავოს სასკოლო პროგრამები და ა.შ.);

- ვალდებულია უზრუნველყოს კერძო სკოლების დაფუძნების შესაძლებლობა;
- უფლება აქვს განსაზღვროს მოთხოვნები, რომლებზეც დამოკიდებული იქნება განათლების სხვადასხვა საფეხურების ხელმისაწვდომობა;

ამასთან, განათლების უფლება მოიცავს ინფორმაციის მიღების უფლებას,<sup>15</sup> რაც მოიაზრებს:

- საკუთარი უფლებების ცოდნის უფლებასა და პროცესუალური უფლებების გამოყენების შესაძლებლობას;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღების უფლებას;
- ინფორმაციის მიღების უფლებას, რომელიც ეხება მოსწავლეს, მის მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;
- სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას.

საინტერესოა 2017 წლის სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.<sup>16</sup> აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენი-

---

<sup>15</sup> იხ. იქვე.

<sup>16</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)

ლია სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებების ცენტრის 2016-2017 წლის მონიტორინგის შედეგები. მათ მიერ სულ გამოკვლეული იქნა 109 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - 98 საჯარო სკოლა, 5 კერძო სკოლა, 6 სკოლა პანსიონი.<sup>17</sup> კვლევამ აჩვენა, რომ უცხო პირთა სკოლაში შეღწევა კვლავ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს, ასევე მასწავლებლების მხრიდან ძალადობის ფაქტად არ აღიქმება: თავში წამორტყმა, ყურის აწევა, თმის მოქაჩვა და სხვა.<sup>18</sup> კვლევის შედეგების მიხედვით,<sup>19</sup> დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ ხშირად იკვეთება დისკრიმინაციული მიდგომები არასრულწლოვანთა მიმართ, კერძოდ, სოციალურად დაუცველი ბავშვების მიმართ, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის მიმართ.<sup>20</sup> საინტერესოა, მოსწავლეთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ახორციელებს ყველაზე ხშირად მათ მიმართ ძალადობას. გამოკითხვის შედეგებით ირკვევა, რომ ხშირად ძალადობას მიმართავს დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი.<sup>21</sup>

---

<sup>17</sup> იქვე

<sup>18</sup> იქვე., გვ.10.

<sup>19</sup> სამეცნიერო ნაშრომთა კრებული (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბავშვთა უფლებები“-ს მასალები). გამომცემლობა უნივერსალი., თბ. 2019., გვ. 72.

<sup>20</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge) გვ.13

<sup>21</sup> იქვე

მონაწილეობის უფლება საშუალებას აძლევს ბავშვებს ჩაებან საზოგადოებაში მიმდინარე იმ პროცესებში, რომლებიც მათ გარშემო ხდება - მაგალითად, აზრის გამოხატვის თავისუფლება და ხმის მიცემის უფლება იმ საკითხებთან დაკავშირებულ პროცესებზე, რომლებიც მათ ცხოვრებას ეხება. კონვენციის თანახმად,<sup>22</sup> ბავშვს აქვს:

- საკუთარი შეხედულებების გამჟღავნების უფლება - საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება;
- აზრის გამოთქმა საკუთარი მსოფლმხედველობის შესაბამისად;
- სწავლების პროგრამებისა და მეთოდების მიმართ და ასევე, სკოლის ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების, კლასის, თვითმმართველობის შესახებ საკუთარი აზრის გამოხატვა;
- მოსწავლის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმა, საკუთარი ხედვის წარდგენის შესაძლებლობა.

ბავშვთა დაცვის უფლებები იცავს ბავშვებს მათი უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან, დაუდევრად მოპყრობისაგან და ექსპლუატაციისაგან. ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებული ზრუნვა ლტოლვილი ბავშვებისათვის და ბავშვების დაცვა შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვის წინააღმდეგ, სექსუალური ძალადობის, წამებისა და ნარკოტიკების მსხვერპლად ქცევის დაუშვებლობას. დაცვის უფლებებში ერთიანდება დამცირების, სასტიკი მოპყრობისა და დასჯის-

---

<sup>22</sup><http://civitas.ge/wm/data/file/PrawadzieckaGEO.pdf?fbclid=IwAR0mXRaKb6vp8hXPMxzyvfjP69mQkNpOzdOd3mZSICHSEuaTURVdVGFio>

გან თავის დაცვის უფლება:<sup>23</sup> შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვების ჩართვის საწინააღმდეგოდ შეიქმნა ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი „შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის შესახებ“.<sup>24</sup> მისი მიზანი სწორედ ბავშვთა დაცვაა ჰუმანიტარულ საკითხებში ჩაბმისაგან, ომში ან ომის საკითხებში მონაწილეობისაგან. მოცემული კონვენციის მიხედვით, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბავშვი სრულწლოვანებას უფრო ადრეულ ასაკში აღწევს. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეიარაღებული ძალების 18 წლის ასაკს მიუღწეველმა წევრებმა არ მიიღონ უშუალო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში, ასევე, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირები არ იქნენ გაწვეულნი სავალდებულო სამსახურში, შეიარაღებულ ძალებში. მოცემულ დამატებით ოქმში განსაკუთრებული სისასტიკით გამობენ ბავშვთა დაქირავებას, წვრთნასა და მათ გამოყენებას საომარ მოქმედებებში ქვეყნის საზღვრებს შიგნით და საზღვრებს გარეთ შეიარაღებული ჯგუფების მიერ, რომლებიც სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს არ წარმოადგენენ და აღიარებენ რა იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც ქირაობენ, წვრთნიან და იყენებენ ბავშვებს ამ მიზნით. საქართველო „ბავშვთა უფლებების შესახებ“<sup>25</sup> 1989 წლის კონვენციას შეუერთდა 1994

---

<sup>23</sup> იხ. იქვე.

<sup>24</sup> [http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Conventions/OP\\_CRC\\_armed\\_conflict\\_geo.pdf](http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Conventions/OP_CRC_armed_conflict_geo.pdf)

<sup>25</sup> 1989 წელს მიღებული კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ“

წელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა აიღო. თუმცა, დღემდე საქართველოში არ არსებობს კანონი „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია მიღებული. ბავშვთა უფლებების დაცვას საქართველოში სახალხო დამცველის აპარატი კურირებს. გარდა 1989 წლის ბავშვთა უფლებათა კონვენციისა, ბავშვების უფლებებს საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა სამართლებლივი რეგულაციები აქვს, განსაკუთრებით საგულისხმოა შემდეგი საერთაშორისო აქტები: ჰააგის კონვენცია „ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ (1980 წ),<sup>26</sup> ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი - „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“,<sup>27</sup> ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ,<sup>28</sup> მშობლის პასუხისმგებლობისა და 1996 წელს მიღებული „ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლების

---

<https://matsne.gov.ge/document/view/1399901?publication=0>

<sup>26</sup> ჰააგის კონვენცია „ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ (1980 წ) იხ.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398994?publication=0>

<sup>27</sup> ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი - „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1203722?publication=0>

<sup>28</sup> ევროპის საბჭოს მიერ 2007 წელს მიღებული კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi54.pdf>

შესახებ“ კონვენცია.<sup>29</sup> როგორც აღვნიშნე, ბავშვთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის“ ევროპული საბჭოს კონვენცია,<sup>30</sup> რომელიც არადისკრიმინაციულობის პრინციპზეა დაფუძნებული. მოცემული კონვენცია თანხმდება, რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და განსაკუთრებით კი ბავშვთა პორნოგრაფია და პროსტიტუცია, აგრეთვე, ნებისმიერი სახის სექსუალური ძალადობა ბავშვების მიმართ, საზღვარგარეთ ჩადენილ ქმედებათა ჩათვლით, დამთრგუნველია ბავშვთა ჯანმრთელობისა და ფსიქიკურ-სოციალური განვითარებისათვის. XXI-ე საუკუნე ციფრული ტექნიკის სამყაროა, ის ბავშვების განვითარებისა და მეტი ინფორმაციის მიღებას უწყობს ხელს, მაგრამ სწორედ გარკვეული ინფორმაცია გვიმატებს სადარდებელს - პირადი სივრცისა და მონაცემთა დაცვის კუთხით - ეს შეიძლება იყოს ონლაინ სექსუალური ძალადობა თუ ბავშვთა ფსიქიკაზე სხვა კუთხით ზემოქმედება. გარშემო უამრავი ონლაინ დანაშაული ხდება, დამნაშავეთათვის კი ყველაზე ხელმისაწვდომები ბავშვები არიან. დღეისათვის უამრავი სახიფათო აპლიკაციაა გავრცელებული, რომელთა გამოყენებასაც უამრავი ბავშვი თვითმკვლელობამდე მიჰყავს. გამოსავალს კი ბავ-

---

<sup>29</sup> 1996 წელს მიღებული კონვენცია „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ იხ.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2759259?publication=0>

<sup>30</sup><https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168046e1cf>

შვთა გარკვეული სახით კონტროლსა და ბავშვებთან მეტ კომუნიკაციაში ვხედავ. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული შეხედულების შესაბამისად, „ბავშვი უნდა იყოს თითოეული ოჯახის, მოქალაქის, სახელმწიფოს პირველი რიგის საზრუნავი. როგორც არ უნდა შეეცვალოთ კანონმდებლობა, ამოსავალი ერთია – როგორი მიდგომები არსებობს ამა თუ იმ ქვეყანაში არასრულწლოვნის მიმართ.<sup>31</sup> თუმცა, ერთი რამ ცხადზე ცხადია, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვან პირს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება<sup>32</sup> და „მასთან დაკავშირებული ყოველი საკითხი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესიდან უნდა გამომდინარეობდეს.“<sup>33</sup> ბავშვი, საზოგადოების ყველაზე მგრძობიარე ნაწილია და ამიტომ მისი სწორი აღზრდა და განვითარება საზოგადოების ყველა წევრის საზრუნავი უნდა იყოს. საქართველო ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დგას ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. ერთიანი ხედვის, სამართლებრივი საფუძველის არარსებობის პირობებში, ფაქტობრივად შეუძლებელია ბავშვის კეთილდღეო-

---

<sup>31</sup> ივანიძე მ., არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, წიგნში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2017 გვ. 14.

<sup>32</sup> სამეცნიერო ნაშრომთა კრებული (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბავშვთა უფლებები“-ს მასალები). გამომცემლობა უნივერსალი., თბ. 2019., გვ. 84.

<sup>33</sup> ხუროშვილი მ., „მინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვანის სასაჯელის ერთ-ერთი სახე“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლი სამართლის მიმართულების პერიოდული გამოცემა, „სისხლის სამართლის ჟურნალი“ №1, 2018, გვ. 167.



ბის უზრუნველყოფა. თუმცა, მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის შექმნის გარდა, აუცილებელია აღსრულების კონკრეტული მექანიზმების ჩამოყალიბება.<sup>34</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მიზნები, სადაც ასახულია სახელმწიფოების ვალდებულება, ბავშვის უფლებების რეალიზაციისათვის სახელმწიფოში არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით და, აუცილებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, უზრუნველყონ საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რაც წარმოადგენს „ბავშვთა უფლებების დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის შემუშავებისა და მიღების ზოგად სამართლებრივ საფუძველს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ბავშვთა უფლებების დარღვევის უამრავ ცოცხალ მაგალითს ვაწყდებით, ჩვენი უმოქმედობითა და დუმილით ჩვენვე ვხდებით ამ დანაშაულის თანამონაწილენი. საჭიროა საზოგადოება ბოლომდე გაერკვეს ბავშვთა უფლებებსა და საკუთარ უფლებებში, რომ ჩვენც ჩვენი მოქმედებით ხელი შევუწყოთ ასეთი „დანაშაულების“ შემცირებასა და შევქმნათ უკეთესი მომავალი კაცობრიობის განვითარებისათვის.

---

<sup>34</sup> სამეცნიერო ნაშრომთა კრებული (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბავშვთა უფლებები“-ს მასალები). გამომცემლობა უნივერსალი., თბ. 2019., გვ. 9.

## ბავშვთა სიღარიბე და დისკრიმინაცია

სალომე ჭიკაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის  
სა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის  
მე-2 კურსის სტუდენტი*

საუკუნების წინ, ბავშვი იყო ყველაზე უფლებო არსება ოჯახსა და საზოგადოებაში. აღნიშნული შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ბავშვებს არ ჰქონდათ ქონება, ასევე, არ გამოდიოდნენ სასამართლოში მოწმედ და ა.შ, აქედან გამომდინარე, ძველ კანონდებლობაში იშვიათად ახსენებდნენ ბავშვებს. XIX-XX საუკუნიდან, დაიწყო მკვეთრი პროგრესი ბავშვთა უფლებებსა და მათი ჰუმანური აღზრდის აუცილებლობის გაცნობიერების მიმართულებით.<sup>35</sup>

დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონი მოითხოვს ბავშვებისადმი ჰუმანურ მოპყრობას და ზრუნვას. ბავშვთა უფლებების განსაზღვრა და მათთან ურთიერთობა შედარებით რთულია, ვიდრე ზრდასრულ ადამიანთან, ვინაიდან ბავშვების ფსიქიკის განვითარება და მათი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება მთლიანად დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც მათი აღზრდა და განვითარება ხდება.

---

<sup>35</sup><https://chvenertnivart.wordpress.com/2010/12/08/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/>

ბავშვის უფლებები ვრცელდება ყველა ბავშვზე, მიუხედავად იმისა თუ რა მდგომარეობა აქვს, არ შეიძლება მოვახდინოთ დისკრიმინაცია ბავშვის ან მისი მშობლის ან კანონიერი მეურვის რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, დაბადების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ან სხვა სტატუსის მიხედვით. ადამიანის უფლებათა გადმოსახედიდან, საზოგადოების ხარისხი იზომება იმ პრინციპით, თუ როგორ ექცევა ის თავის ყველაზე მოწყვლად და მარგინალიზირებულ ჯგუფებს. ეს ბავშვთა რამდენიმე ჯგუფს მოიცავს, როგორებიცაა შშმ ბავშვები, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, უმცირესობათა ბავშვები, მათ შორის „რომა“ ბავშვები, მუდმივად მიგრაციაში მყოფი ან მიგრაციისგან სხვაგვარად ვნებული ბავშვები, თავისუფლება წართმეული ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები და პატიმრობაში მყოფი მშობლების შვილები. ისინი განიცდიან მრავალი სახის დისკრიმინაციას, თუნდაც მათი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ასევე, ოჯახური მდგომარეობისა და წარმომავლობის მიხედვით.<sup>36</sup>

საქართველოში, ისევე როგორც ძალიან ბევრ ქვეყანაში, სამწუხაროდ ბევრი უფლებადაუცველი ბავშვები არიან, რომლებიც ყოველდღიურად საზოგადოებისგან, თანატოლე-

---

36

[https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01\\_GEO/socialuri\\_dacva/Bavshvta-STRA/GE1.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/socialuri_dacva/Bavshvta-STRA/GE1.pdf)

ბისგან და ოჯახისგან განიცდიან მძიმე წნეხს, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ფორმით. ჩვენ გვხვდება როგორც ბულინგი, ასევე, შევიწროება წარმომავლობის მიხედვით. აგრეთვე, ოჯახისგან იძულება, გავიდნენ ქუჩაში და სხვადასხვა გზებით გამოიმუშაონ ფული და ა.შ.

## **დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში.<sup>37</sup>

დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე, გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანას ან სრულ უარყოფას; იგი მოი-

---

<sup>37</sup> გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ 1-ლი მუხლი. იხ. [http://disability.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=8685&Itemid=1](http://disability.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8685&Itemid=1)

ცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის უარს გონივრულ მისადაგებაზე.<sup>38</sup>

### სტიგმა:

- „სტიგმა არის შეხედულებათა ნეგატიური და ხშირად უსამართლო ნაკრები, რომელიც საზოგადოებას ან ადამიანთა ჯგუფს გააჩნია რაიმეს შესახებ“.<sup>39</sup>
- „გამოხატული უარყოფითი მარკერი (იარლიყი), რომელიც მძლავრად ცვლის ინდივიდის მიერ ინდივიდის მიერ საკუთარი თავის და მისი სოციალური იდენტობის გაგებას.“<sup>40</sup>
- „სტიგმა არის ადამიანის ან ჯგუფის მახასიათებელი, რომელიც განხილულია როგორც ნაკლოვანება და იწვევს დასჯისა და იზოლაციის სურვილს, ან სხვანაირად, ამცირებს ადამიანს, ვისზეც ფიქრობენ, რომ ეს მახასიათებელი მიეწერება“.<sup>41</sup>
- „სტიგმა არის დამამცირებელი ნიშანი, რომელიც ახდენს ადამიანის გარიყვას. როდესაც ადამიანთა მარკირება (მონიშვნა) ხდება მათი ავადმყოფობის გამო, მათ განიხილავენ სტრეოტიპული ჯგუფის წევრებად. უარყოფითი დამოკიდებულებები ქმნის ცრურწმე-

---

<sup>38</sup> იხ. იქვე. მუხლი 2.

<sup>39</sup> <http://www.merriam-webster.com/dictionary/stigma>

<sup>40</sup> Macionis, J. John (2003): Sociology, 9th edition. Prentice Hall. Page 299.

<sup>41</sup> <https://www.google.ge/search?tbo=p&tbm=bks&q=inauthor:%22Neil+J.+Smelser%22> Sociology. Prentice Hall. Page 143.

ნებს, რომლებსაც მივაყვართ უარყოფით მოქმედებე-  
ბამდე და დისკრიმინაციამდე“.<sup>42</sup>

შშმ ბავშვების მიმართ საზოგადოებაში სხვადასხვა ტიპის  
სტიგმები არსებობს, რომლებიც დაკავშირებულია:

- შშმ ბავშვის განსხვავებულად/არანორმატუ-  
ლად აღქმასთან;
- შეზღუდული შესაძლებლობების საფ-  
რთხედ/გადამდებ დაავადებად აღქმასთან;
- შშმ ბავშვების სხვებზე დამოკიდებულ ინდი-  
ვიდუალად აღქმასთან;
- სხვადასხვა რელიგიურ და კულტურულ ნორ-  
მებთან, რომლებიც გარკვეულ  
წარმოდგენებს აყალიბებს შშმ პირებზე.<sup>43</sup>

სტიგმები განაპირობებს სხვადასხვა ტიპის განწყო-  
ბებს, რაც საზოგადოებაში ყალიბდება შეზღუდული შესაძ-  
ლებლობის მქონე ბავშვების მიმართ. მათ შორის: ნეგატიური  
განწყობა/გაუცხოება, რაც უმეტესად აგრესიულ ქმედებებში  
ვლინდება; შეცოდება/სიბრალული, რომელიც განპირობებუ-  
ლია ბავშვის სპეციფიკური საჭიროებების გაცნობიერებით ან  
მისდამი ემოციური განწყობის ჩამოყალიბებით; პოზიტიური  
დისკრიმინაცია, რაც გადამეტებულ ზრუნვაში გამოიხატება.  
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზა-  
ცია განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება სხვადასხვა ინ-  
სტიტუტში.

---

<sup>42</sup> Government of Western Australia Mental Health Commisiion. See:  
<https://www.mhc.wa.gov.au/>

<sup>43</sup> იხ. იქვე.

- 1) საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამედიცინო დაწესებულებები, ოჯახი და საჯარო სივრცე არის ის ძირითადი სოციალური სივრცეები, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაცია ხდება.
- 2) სკოლები ხშირად მიმართავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა პოზიტიურ დისკრიმინაციას.<sup>44</sup> ეს მიდგომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა მშობლების მხრიდან მოწონებას იმსახურებს და არ აღიქმება დისკრიმინაციად.
- 3) სამედიცინო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაცია უკავშირდება სამედიცინო პერსონალის დაბალ კომპეტენციას შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში, რაც თავის მხრივ, აყალიბებს პაციენტის მიმართ თავის არიდებას, მომსახურების გაწევის შიშსაც კი. სამედიცინო პერსონალი, მეორე მხრივ, მშობელთა სტიგმატიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მაპროვოცირებელია, რადგან ზოგ შემთხვევაში მშობლებს აწვდის ან არასაკმარის, ან არასწორ ინფორმაციას.
- 4) ოჯახს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისგან აქვთ მიღწევის დაბალი მოლოდინები, რადგან მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების გამო ისინი გარკვეული ცოდნის ათვისებასა და პროფესიულ საქმიანობას უმეტესწილად ვერ მოახერხებენ.

---

<sup>44</sup> მაგ. ნიშნების მომატება, შეღავათები გაკვეთილებზე დასწრებაში და სხვ.

სტიგმატიზაციის ინსტიტუციურ მიზეზებს მიეკუთვნება: საბჭოთა სეგრეგაციული პოლიტიკის ინერცია, საბჭოთა დროს ეს ადამიანები დევნიაციურ ჯგუფად განიხილებოდნენ. აღქმა იყო ასეთი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი უნდა ჩამოშორდეს მშობლებს, რათა ხელი არ შეუშალოს მათ საბჭოთა კეთილდღეობის მშენებლობაში. ეს ჯგუფი იყო მთლიანად გარიყული გადამალული და სოციალიზაციის პროცესში არ იყო ჩართული.<sup>45</sup> დღესდღეობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინსტიტუციური მხარდაჭერის მხოლოდ ორი ინსტრუმენტი არსებობს: ინკლუზიური სკოლები და დღის ცენტრები. თუმცა, მათში არსებობს ხარვეზები, კერძოდ, სკოლა არ არის სათანადოდ მომზადებული, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სრულფასოვანი ინკლუზია მოახდინოს და ხშირ შემთხვევაში ასეთი ჩართვა ფორმალურად ხდება.<sup>46</sup> რაც შეეხება დღის ცენტრებს, მათთან ორი მნიშვნელოვანი პრობლემა დაკავშირებულია: ა) დღის ცენტრები ცოტაა, არ არის საკმარისი და ბ) დღის ცენტრები ვერ ახერხებენ მიიღონ ადეკვატური ბენეფიციარი - შედარებით მძიმე ფორმის შეზღუდულობის მქონე ბავშვები. ვერ ახერხებენ იმიტომ, რომ სკოლა, როგორც

---

<sup>45</sup> <http://liberali.ge/articles/view/25740/shshm-bavshvi-sashishia-skhva-bavshvebistvis---shshm-bavshvebis-mimart-arsebuli-stigmebi>

<sup>46</sup> არაკვალიფიციური სპეცპედაგოგები, დამხმარე პერსონალის არარსებობა, სტიგმა მასწავლებლების/სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან და სხვ.



ალტერნატიული სერვისი, სათანადო ინკლუზიას და სოციალიზაციას ვერ ახდენს.<sup>47</sup>

2005 წლიდან დაიწყო ინკლუზიური განათლების დაწერგვა საქართველოში: გაჩნდა 10 საპილოტე სკოლა. ამას პარალელურად მოჰყვა „საშუალო განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები.<sup>48</sup> ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა არ ჩამოუვარდება ევროპული ქვეყნების კანონმდებლობას. კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ ყველა ბავშვი თანასწორია და ყველა ბავშვმა, შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, უნდა მიიღოს განათლება იმ სკოლაში, რომელშიც სურს. დღესდღეობით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა) ვალდებულია მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. შესაბამისად, ინკლუზიურმა განათლებამ შეცვალა სტიგმა, რომ ბავშვი სკოლაში არ უნდა იყოს, თუ შეზღუდული შესაძლებლობები აქვს.<sup>49</sup>

## აფხაზეთში არსებული ბავშვების დისკრიმინაცია

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, აფხაზეთის რეგიონში არსებული მდგომარეობა მძიმეა. ეთნიკური დის-

---

<sup>47</sup> ამდენად, მშობლები იძულებულნი არიან ბავშვები ერთდროულად სკოლაშიც და დღის ცენტრებშიც ატარონ.

<sup>48</sup> სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი., „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაციის კვლევა“, თბ. 2016. გვ. 56.

<sup>49</sup><https://www.unicef.org/georgia/media/1176/file/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf>

კრიმინაცია, მუქარა, იძულება, ღირსების შემლახველი მოპყრობა. რეგულარულად ირღვევა ფუნდამენტური უფლებები და ამ კუთხით განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა გალის რაიონში, სადაც ბევრი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. სკოლებსა და ბაღებში აქტიურად ტარდება რუსიფიკაციის პოლიტიკა; აკრძალულია მშობლიურ ენაზე სწავლება და კომუნიკაცია; მიუწვდომელია ხარისხიანი განათლება; მიმდინარეობს ომის პროპაგანდა; ადგილი აქვს ეთნიკურ დისკრიმინაციას და ქართული იდენტობის დათრგუნვას; ქართველი ბავშვების, მშობლების და მასწავლებლების მიმართ ხორციელდება ღირსების შემლახველი მოპყრობა, მუქარა და იძულება; ხდება ბავშვთა ფსიქიკასა და თავისუფალ ნებაზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ მენტალურ განვითარებაზე. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის მოხსენების მიხედვით, ბავშვები ერთგებიან სამხედრო სიმულაციურ თამაშებში, ხდება ომისა და მტრის ხატის პროპაგანდა. შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულე-ბით აქტიური მუშაობა.<sup>50</sup>

რეალურად ყოველივე ეს წარმოადგენს ძალიან დიდ პრობლემას, ვინაიდან აფხაზეთი არის საქართველოს ტერიტორია. სამწუხაროდ დღეს ის ოკუპირებულია რუსეთის მიერ და საქართველო ვერ ავრცელებს საკუთარ იურისდიქციას, მაგრამ ერთ დღეს აუცილებლად მოხდება ტერიტორიების დაბრუნება და როდესაც ეს მოხდება, დავდგებით ძალი-

---

<sup>50</sup> <http://liberali.ge/articles/view/40662/diskriminatsia-muqara-idzuleba--ragamotsvevebia-afkhazetshi-bavshvta-uflebebis-mkhriv>

ან დიდი პრობლემის წინაშე, თაობები, რომლებიც იქ იზრდებიან მოწყვეტილნი არიან საქართველოს და არ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ ქართულ ტრადიციებზე აღიზარდონ და სწორედ იქ მცხოვრებებსა და ჩვენს შორის იქნება დიდი დიფერენციაცია, რაც გაართულებს თანაცხოვრებას.

### **ბავშვთა დისკრიმინაცია ეთნიკური და კულტურული კუთვნილების მიხედვით (ბოშა ბავშვები საქართველოში)**

ისევე, როგორც კულტურული რასიზმის შემთხვევაში, რომლის თანახმად, კონკრეტული კულტურები სხვებზე მაღლა დგას, ეთნიკური და კულტურული კუთვნილების მიხედვით, დისკრიმინაცია ზოგიერთ კულტურას, ჩვეულებრივ, უმცირესობათა კულტურებს, იმთავითვე მეორეხარისხოვნად და არასასურველად მიიჩნევს. ისტორიულად დისკრიმინაციის ამგვარი ფორმისგან ყველაზე მეტად ევროპელი ებრაელები და ბოშები ზარალდებოდნენ. ბოშები, რომლებსაც არასწორად „ციგნებს“ უწოდებენ, ევროპაში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ. საკუთარი სამშობლოს გარეშე ბოშებმა შეინარჩუნეს მშობლიური ენა და კულტურა მაშინ, როცა ისინი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ.<sup>51</sup> ბოშების ცხოვრების სტილი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ბავშვებზე. ისინი გაფანტულად ცხოვრობენ და ბევრი ერისთვის ისინი მიუღებლები არიან და საბოლოო ჯამში გარიყულნი რჩები-

---

<sup>51</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-preferences---00-3-1-00-0-0-01-1-1utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL1.1&d=HASH01738c378e268e0408ad0c37.8.3>

ან. შემოდგომა ვთქვა, რომ საქართველოში ბოშათა უმრავლესობის ცხოვრების სტილი იწვევს აგრესიას, რომელიც ვრცელდება მთლიანად ეთნოსის მიმართ. აგრესია, რომელიც სუფევს საზოგადოებაში, გამოხატულებას პოვეს ბავშვების მიმართაც. ისინი მიუღებლები არიან სხვა მშობლებისთვის, ვინაიდან არ სურთ მათმა შვილებმა იმეგრობრონ და ჰქონდეთ ურიერთობა ბოშა ბავშვებთან. საინტერესოა ასევე, რამდენად ჩართულნი არიან ბოშა ბავშვები სწავლა-განათლების პროცესში?! ასევე, საქართველოში ხშირია ბოშა ბავშვების „თავდასხმები“ ქუჩაში, საიდან მომდინარეობს ყოველივე ეს და სად უნდა ვეძიოთ ამ ყველაფრის აღმოფხვრის გზები?! ამგვარი სიტუაცია იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფოს არ აქვს არჩეული სწორი პოლიტიკა მსგავსი მიმართულებებისთვის. რაც შეეხება ბოშა ბავშვებს საქართველოში, სახელმწიფოს აქვს სუსტი პოლიტიკა და დგამს არასაკმარის ნაბიჯებს. ბოშათა ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მათ შესთავაზოს სხვა ცხოვრება და პირობები. პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა არ იცხოვრონ ქუჩაში და არ იყვნენ გარეთ გასულები „ფულის საშოვნელად“. თუმცა მინდა ასევე ვთქვა, რომ თავდაპირველად უნდა მოხდეს არა ბავშვების, არამედ დიდების ინტეგრაცია საზოგადოებაში. მოხდეს მათი თვითშეგნების ამაღლება და მოქალაქეობრივი განათლების მიცემა. მათში უნდა აღმოიფხვრას ის ქცევები, რომლებიც გაღიზიანებას და აგრესიას იწვევს საზოგადოებაში. სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს მათ ალტერნატიული ცხოვრება, რაც მათ დაინტერესებას გამოიწვევს და ასევე უნდა მოხდეს მათი უფლებრივი მდგომარეობის გათვა-

ლისწინება. რეალურად ბოშა ბავშვების რაოდენობა, რომლებიც საჯარო სკოლებში ირიცხებიან მცირეა. ჩარიცხულთა უმრავლესობა კი სკოლას ტოვებს და თავს ქუჩაში ცხოვრებით ირჩენს.

### **განათლება დისკრიმინაციის წინააღმდეგ**

განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანთა ჩამოყალიბებასა და ინტეგრაციაში. მნიშვნელოვანია ბავშვთა განვითარებისთვის რა სახის მეთოდებს იყენებს სახელმწიფო. რა ხერხებია გამოყენებული იმისათვის, რომ რაც შეიძლება შემცირდეს ადამიანთა და ბავშვთა შორის დისკრიმინაცია და ყოველგვარი ძალადობრივი ხასიათი ქმედება. ალბათ ყველა ვთანხმდებით, რომ ადამიანის ხასიათი და ბუნება ყალიბდება ბავშვობაში. განათლების სფეროს მუშაკები აღიარებენ საჭიროებას, ყველა ბავშვში განავითარონ შემწყნარებლობა, დისკრიმინაციის გამომრიცხავი დამოკიდებულება და შექმნან ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც აღიარებს და იგნორირებისა და აკრძალვის ნაცვლად, სარგებლობას იღებს მრავალფეროვნებიდან. მათ, ვინც ბავშვებთან მუშაობს, და თავად ბავშვებმაც, უნდა გააცნობიერონ საკუთარი და სხვათა დისკრიმინაციული ქცევა. პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც ბავშვებს აძლევს როლების გათამაშების და თანაგრძნობის გამოხატვის საშუალებას, ეხმარება ბავშვებს ცოდნის მიღებაში და თანაგრძნობის განვითარებაში, ასევე, უვითარებს ფიზიკურ და სულიერ მდგრადობას ბავშვებს, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან, და უბრუნებს მათ საკუთარ თავში რწმენას.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული ევროპული პროგრამები ევროპის საბჭომ ჩამოაყალიბა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ორგანო და პროგრამა. რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია, რომელიც 1993 წელს ჩამოყალიბდა, რეგულარულად აქვეყნებს კვლევებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში რასიზმისა და შეუწყნარებლობის მოვლენის შესახებ. ევროპის საბჭო აწყობს მრგვალ მაგიდებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად და ამზადებს ზოგად პოლიტიკურ რეკომენდაციებს, რომლებიც მთავრობებისთვის არის განკუთვნილი. ევროკავშირის დამოუკიდებელი ორგანო - ძირითად უფლებათა სააგენტო - 2007 წელს ჩამოყალიბდა და ის ექსპერტთა გამოცდილებას სთავაზობს წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც იღებენ კანონებს ძირითადი უფლებების საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ის ცდილობს, გაზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით და ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან. რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ ჩამოაყალიბა ერთგვარი სახის ეროვნული თანასწორობის ორგანო, რომელიც დისკრიმინაციის წინააღმდეგ არის მიმართული და ხელს უწყობს თანასწორობას და შემწყნარებლობას.<sup>52</sup>

---

<sup>52</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00--off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-preferences---00-3-1-00-0-0-01-1-1utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL1.1&d=HASH01738c378e268e0408ad0c37.8.3>

## ბავშვთა სიღარიბე

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისთვის. საზოგადოება და ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბეში, არ აქვთ ცხოვრების ადეკვატური და შესაბამისი ცხოვრების პირობები. მაგ: ადეკვატური საცხოვრებელი და სამოსი, ჯანსაღი საკვები და სუფთა სასმელი წყალი, საკმარისი შემოსავალი, სამსახური; მათთვის არ არის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურება, განათლება და სოციალური მომსახურება. სიღარიბეს შედეგად ბევრი კატასტროფული შედეგი შეიძლება მოყვეს. ზოგიერთი შიმშლობის ბოლო ზღვარზე დგას; ზოგიერთი ოჯახი ბავშვებს აბარებს შესაბამის ორგანოებში, რადგან არ შეუძლიათ ბავშვების მოვლა და შედეგად უამრავი ბავშვი რჩება მშობლების მზრუნველობის გარეშე; საფრთხე ექმნება სიცოცხლის უფლებასაც. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით<sup>53</sup>, როდესაც მდიდარ ქვეყნებში მხოლოდ ასიდან ერთი ბავშვი ვერ აღწევს თავის მეხუთე დაბადების დღეს, ღარიბ ქვეყნებში სიცოცხლეს კარგავს ასიდან ათი ბავშვი. ამასთან დავამატებ, რომ მდიდარი ქვეყანა არ ნიშნავს იმას, რომ იმ ქვეყანაში არ აქვს ადგილი სიღარიბეს. ბავშვთა სიღარიბის შესახებ გაერო-ს ბავშვთა ფონდის ანგარიში ამტკიცებს, რომ მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების მაცხოვრებელი ბავშვების სამიდან ოცდახუთ პროცენტამდე

---

<sup>53</sup> [http://siteresources.worldbank.org/ECAEXT/Resources/Skills\\_2012\\_Georgian.pdf](http://siteresources.worldbank.org/ECAEXT/Resources/Skills_2012_Georgian.pdf)

ცხოვრობს სიღარიბეში. ამავე ანგარიშის თანახმად 47 მილიონი ბავშვი ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის 29 წევრი ქვეყნიდან ანუ ყოველი მეექვსე ცხოვრობს სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ, რომელიც განსაზღვრულია, როგორც საშუალო ეროვნული შემოსავლის ნახევარი. ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე მუხლი აღიარებს ბავშვის უფლებას, ჰქონდეს ცხოვრების ადეკვატური დონე შესაბამისად მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარებისა და მოუწოდებს სახელმწიფოს, რომ დაეხმარონ იმ ოჯახებს, რომელთაც არ შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი შვილებისთვის ეს ელემენტარული პირობები, განსაკუთრებით კვების, სამოსისა და საცხოვრებლის თვალსაზრისით. კონვენციის 26-ე მუხლი შემდგომ გამოყოფს ბავშვის უფლებას, რომ მიიღოს სოციალური დაზღვევის შეღავათები, რომლებიც ეხმარება ბავშვს განვითარებაში და ნორმალურ ცხოვრებაში. მაგრამ, ბევრ სახელმწიფოს არ გააჩნია ფინანსური სახსრები ან პოლიტიკური ნება, რომ დააკმაყოფილოს ბავშვების მოთხოვნილებები. მდიდარ ქვეყნებშიც კი ბავშვების დიდი რაოდენობა ცხოვრობს გაჭირვებაში. გაერთიანებულ სამეფოში, მაგალითად, ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს სიღარიბეში.<sup>54</sup>

საქართველოში, სიღარიბე არის ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც აიძულებს ოჯახს რომ ბავშვი ინტერნატში მოა-

---

<sup>54</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-preferences---00-3-1-00-0-0-01-1-1utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL1.1&d=HASH01738c378e268e0408ad0c37.8.12>



თავსონ. ხშირ შემთხვევაში, ოჯახს არ შესწევს უნარი იზრუნოს ბავშვებზე, ვერ უზრუნველყოფს მათ ადეკვატური საარსებო და განვითარების პირობებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახს განცალკევებული ყველა ბავშვის უფლება მიიღოს სათანადო მხარდაჭერა და მზრუნველობა სახელმწიფოსაგან. უნდა გატარდეს შესაბამისი რეფორმები, რათა ბავშვებმა თავი იგრძნონ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და არ აღმოჩნდნენ გარიყულნი. ბავშვთა უფლებათა კონვენციის მეოცე მუხლის თანახმად, "ბავშვი, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობითა და მხარდაჭერით სარგებლობდეს. დიდი ზომის დაწესებულებები ყველაზე ნაკლებადაა აღიარებული საერთაშორისო დონეზე. ალტერნატივები კი გულისხმობს მცირე ტიპის ბავშვთა სახლებსა და მინდობით აღზრდას."<sup>55</sup>

გაჭირვებასა და სიღატაკეში მცხოვრები ბავშვები თავს გარიყულად და სტიგმატიზირებულად გრძნობენ. ზო-

---

<sup>55</sup><http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/52942-%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/2/>

გიერთს სილატაკეში ცხოვრების გამო უწევს, რომ გავიდეს ქუჩაში და იქ იშოვოს ფული ან მათ ამას მშობლები აიძლებენ, რის შედეგადაც, ქუჩაში მძიმე ცხოვრების, უამრავი ტკივილისა და დამცირების გამოვლა უწევთ. სახეზეა ისეთი საზოგადოება, რომელიც მათ არ აღიქვამს, როგორც ბავშვებად, რომელთაც მათი თანადგომა სჭირდებათ. ისინი საზოგადოებისგან იღებენ დამამცირებელ მოპყრობასა და შეურაწმყოფელ სიტყვებს. საქართველოში ბავშვები უფრო მეტად დგანან სიღარიბის საფრთხის წინაშე, ვიდრე მოსახლეობის სხვა რომელიმე ჯგუფი. ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნია ყოვლისმომცველი, ბავშვებისდმი მგრძობიარე სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც ეხმარება ოჯახებს მოულოდნელი დარტყმების დაძლევისა და გაძლიერებაში. დღემდე ბევრი ხარვეზია ბავშვზე ორიენტირებული კანონმდებლობის/პოლიტიკის, ფულადი დახმარებისა თუ სოციალური სერვისების თვალსაზრისით. ბევრი დაუცველი ოჯახი ამ სერვისების მიღმა დარჩენილი. პირველ რიგში, ესენი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვები და ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან.

დაუცველობის მაღალ ხარისხს ხშირად ისეთი სიტუაციებიც განაპირობებს, როცა ადამიანები მოულოდნელად ღარიბდებიან. ეს შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა დარტყმებმა, როგორცაა უმუშევრობა, ავადმყოფობა ან ოჯახის წევრის სიკვდილი, რამაც შეიძლება უცებ გააღარიბოს ოჯახი. ეს პრობლემა ხშირად ახალგაზრდა (20-30 წლის) მშობლების შემთხვევაში ვლინდება: ამ ასაკობრივ კატეგორიაში განსა-

კუთრებით მაღალია უმუშევრობის დონე და ნაკლებია სახელმწიფოს დახმარება. გარდა ამისა, ბავშვებსა და მათ ოჯახებს არ აქვთ წვდომა სოციალურ მომსახურებებსა და ოჯახების დახმარების სერვისებზე, განსაკუთრებით ქალაქგარეთ.<sup>56</sup> ქუჩაში ცხოვრება ძალიან მძიმე გავლენას ახდენს ბავშვებზე, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს არ მიუწვდებათ ხელი განათლებაზე და ჯანდაცვის სათანადო მომსახურებაზე, ისინი ხშირად არც არიან რეგისტრირებულნი და სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. არასტაბილური ცხოვრების წესის და არაადეკვატური საცხოვრებელი პირობების გამო, ეს ბავშვები საზოგადოების ყველაზე დაუცველი ჯგუფია.<sup>57</sup> სტრესი და ის მძიმე სიტუაციები, რისი ატანა და გადატანაც უწევთ, სამუდამოდ ტოვებს კვალს ბავშვების ფსიქიკაზე. მათ მთელი ცხოვრება მიჰყვებათ ის უარყოფითი ემოცია, რაც განიცადეს. ამასთან, ბავშვები, რომლებიც ბაღში ან სკოლაში უნდა იყვნენ, არიან ქუჩაში, როდესაც სახლში უნდა იყვნენ და სწავლობდნენ და იღებდნენ განათლებას, ჰქონდეთ თბილი ოჯახური გარემო, არიან გარეთ ცივ და სასტიკ გარემოში, სადაც არავინ არ იცავს მათ უფლებებს. ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მიმართ არსებული სტიგმის გამო,

---

<sup>56</sup><https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90>

<sup>57</sup> იხ. იქვე.

მათ ხშირად ჩვეულებრივ ბავშვებად არ აღიქვამენ, რომელთაც ასაკის შესაბამისი მოთხოვნილებები შეიძლება ჰქონდეთ, დოკუმენტების არარსებობის გამო კი, სახელმწიფო საერთოდ ვერ ხედავს მათ. ისინი სტატისტიკად ქცეულ კვლევებშიც კი არ ხვდებიან. ქუჩაში სხვადასხვა მიზეზით გამოსული ბავშვები ბავშვობაწართმეული ადამიანები არიან. ბავშვები ქუჩაში სხვადასხვა მიზეზით გამოდიან და ეს მიზეზი ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურია, თუმცა ერთი რამ ყველა მათგანისთვის საერთოა - ეკონომიკური სიდუხჭირე, არსებობისთვის აუცილებელზე ხელმიუწვდომლობა. ზოგიერთი ოჯახისთვის ქუჩაში მოწყალების თხოვნა შემოსავლის ტრადიციული წყაროა და ბავშვიც ხშირად მშობლის მოთხოვნით გამოდის გარეთ, დღის განმავლობაში მოგროვებულ ფულსაც სწორედ მათ აძლევს. არიან ისეთებიც, სახლიდან ძალადობას რომ გაურბიან და ქუჩაში ცხოვრებას ამჯობინებენ. 2013 წელს გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის დახმარებით ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფო მექანიზმი შეიქმნა.<sup>58</sup> ბავშვთა იდენტიფიცირებისა და მათთვის სხვადასხვა სერვისის შეთავაზების მიზნით მობილური ჯგუფები ჩამოყალიბდა, 24 საათიანი განთავსებისთვის ტრანზიტული და კრიზისული ინტერვენციის ცენტრები შეიქმნა, დღის განმავლობაში სხვადასხვა სერვისით სარგებლობისთვის კი - დღის ცენტრები. მაგრამ მათი რაოდენობა საკმაოდ მწირია. საქართველოში სულ 4 მობილური ჯგუფი არსებობს: 3 - თბილისში და 1 - ქუთაისში. რაც შეეხება ცენტრებს, თბილისში 1

---

<sup>58</sup> <https://www.unicef.org/georgia/>

ტრანზიტული და 3 დღის/კრიზისული ინტერვენციის ცენტრია, ქუთაისში 1 დღის ცენტრი, ხოლო რუსთავში - 1 ტრანზიტული ცენტრი.<sup>59</sup>

მობილურ ჯგუფში არიან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და თანასწორ-განმანათლებელი. ეს ის პირია, ვისაც წარსულში ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება ჰქონდა და იმის გათვალისწინებით, რომ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან კომუნიკაცია არც ისე ადვილია, მობილურ ჯგუფს მათთან ურთიერთობის დამყარებაში სწორედ ის ეხმარება. ერთ-ერთი მობილური ჯგუფის ფსიქოლოგის თქმით, უნდობლობის გამო, მათთან კომუნიკაციის დამყარებას ზოგჯერ თვეები სჭირდება. ვითარებას კიდევ უფრო ართულებენ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რომლებისთვისაც ბავშვი შემოსავლის წყაროა და მისი დაკარგვის შიშით ბავშვებს მობილური ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობას უკრძალავენ. ამიტომ, მობილური ჯგუფის მიერ, ბავშვის ნდობის მოპოვება გაცნობით, ჰიგიენური საშუალებების ჩუქებით, თამაშის ან დღის ცენტრში წაყვანის შეთავაზებით იწყება.

აგრეთვე, ბავშვების სიღარიბე ხდება მათი დისკრიმინაციის მიზეზი. ყოვლად დაუშვებელია, ისეთი უმწეო არსებობის გარეთ გაშვება სამუშაოდ, როგორც ბავშვია. ბავშვების ადგილი არის ოჯახში, სადაც მუდამ ზრუნავენ მასზე, მის განათლებასა და ნათელ მომავალზე. თუმცა, ეს მოვალეობა მშობლებთან ერთად აკისრია სახელმწიფოსაც, რომელიც ვალდებულია ბავშვებს შეუქმნას ისეთი ცხოვრების პირობები, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოციალურ

---

<sup>59</sup> <http://liberali.ge/articles/view/22091/bavshvebi-quchebidan>

ცხოვრებაში და მოხდეს მათი პიროვნების ღირსეული ჩამოყალიბება. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველო სოციალური სახელმწიფოა და ზრუნავს ადამიანთა ღირსეული ცხოვრებისთვის. მოქმედი კანონმდებლობა ბავშვს იცავს მოძალადე ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლისაგან. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილია ცვლილებების შეტანა, რომლის ერთ-ერთ პუნქტად შემოთავაზებულია „სხვა პირის“ ცნება, რომელიც შესაძლოა, ძალადობდეს მოზარდზე. ამ ცვლილების მიზეზი ის გარემოებაა, რომ ხშირად შეუძლებელია დადგენა, კონკრეტულად, ვინ ძალადობს მიუსაფარ ბავშვზე. კანონპროექტის მიღების შემდეგ სოციალური მუშაკი შეძლებს, დაეხმაროს ბავშვს მის მიმართ ნებისმიერი პირისაგან განხორციელებული ძალადობის ან უფლებელყოფის შემთხვევაში. მას უფლება ექნება, მიიღოს ბავშვის მოძალადე მშობლისგან, კანონიერი წარმომადგენლისგან ან სხვა პირისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება; აუცილებლობის შემთხვევაში კი, მოხდება მშობლის უფლებების შეჩერება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენება და ბავშვზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა შეძლონ მისთვის დახმარების, მათ შორის, სამედიცინო დახმარების, შეთავაზება.<sup>60</sup>

---

<sup>60</sup> <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5086>

## ბულინგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

### გიორგი ჯანგირაშვილი *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლი- სა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი*

ყოველდღიურად ილახება ბავშვთა უფლებები, ღირსება და პატივი. ახლაც კი, როდესაც ჩვენ ამ თემაზე ვსაუბრობთ უამრავი ბავში სკოლებსა თუ სხვადასხვა გარემოში ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი. ბულინგი მომდინარეობს ინგლისური ენიდან და ქართულად ნიშნავს ჩაგვრას, აბუჩად აგდებას.<sup>61</sup> ეს არის უარყოფითი, აგრესიული ქცევა, რომელიც ყველაზე ხშირად ვლინდება სკოლის ასაკის ბავშვებში. ბულინგი სოციალური მოვლენაა, სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ იგი ვლინდება ძირითადად რამოდენიმე ბავშვისაგან შემდგარი ბავშვთა კოლექტივისაგან და მისი გამოვლინების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ადგილი არის სკოლა.<sup>62</sup>

ბულინგი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს როგორც საქართველოსათვის, ასევე, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვის. ეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმაა, რომელიც მოზარდებს შორის არის გავრცელებული და

---

<sup>61</sup><http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/82229-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/93/>

<sup>62</sup> იხ. იქვე.

ერთი მხარის მიერ მეორის დაჩაგვრასა და დაცინვაში გამოიხატება, რის შედეგადაც ვიღებთ ძალზედ ცუდ მდგომარეობას, უმეტეს წილად წყდება ბავშვების სწორი მიმართულებით განვითარება მათ დიდი ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ. ბულინგის მიერ გამოწვეული შედეგები შეიძლება დავუკავშიროთ ბავშვის დაბალ თვითშეფასებას, რომელიც ძალიან უარყოფითად მოქმედებს პიროვნების განვითარებაზე. ჩაგვრა/აბუჩად აგდება შეიძლება იყოს ვერბალური<sup>63</sup> ან ფიზიკური,<sup>64</sup> ფარული/შეფარული<sup>65</sup> ბულინგი, კიბერბულინგი, რომელიც ხორციელდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ფარული ან აშკარა დაშინების მიზნით. "კიბერბულინგში" მოიაზრება: სოციალურ ქსელებში შეურაცხმყოფელი ფოტოების ან ვიდეოს განთავსება, უხამსი ჭორების გავრცელება, მავნე მოკლეტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, სხვათა სახელით გვერდებისა და ანგარიშების შექმნა და სხვ.<sup>66</sup> უმეტესად ჩაგვრა ემოციური ძალადობის ხასიათს ატარებს, იგი მიმართულია დამცირებაზე, დამუქრებაზე, გამომალვავზე, გაღიზიანებაზე. შესაძლოა ჩაგვრა განხორციელდეს დისტანციური გზითაც - სატელეფონო ზარით, მესიჯებით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ელექტრონული საშუალებებით. შეუძლებელია გამოვყოთ ერთი მიმართულება,

---

<sup>63</sup> მაგალითად, ნეგატიური, დამამცირებელი კომენტარების გაკეთება, ყვირილი, ჭორების გავრცელება და სხვ.

<sup>64</sup> მაგალითად დარტყმა, ნივთების სროლა და სხვ.

<sup>65</sup> რთული მისახვედრია როდის ხორციელდება, რადგან მოძალადე "ჩაგრული" პერსონის ზურგს უკან მოქმედებს, რათა საფრთხე შეუქმნას მის რეპუტაციას და დაამციროს საზოგადოების წინაშე.

<sup>66</sup> <http://kiberbulingi.blogspot.com/p/blog-page.html>



რომელიც უფრო მეტად მოქმედებს ადამიანზე, ნებისმიერი სახის ჩაგვრამ შეიძლება მიგვიყვანოს თვითშეფასების დაცე-  
მამდე. სამწუხაროა, თუმცა ბულინგის მსხვერპლი ბავშვი ყო-  
ველთვის არ იწვევს საზოგადოების თანაგრძნობას. ბავშვის  
სისუსტე და მისი ჩაგვრა ზოგიერთ შემთხვევაში გარშემომ-  
ყოფთა ზიზღსა და მისი გარიყვის სურვილს იწვევს. მოზარ-  
დთა გარემოში შეიძლება ჩამოყალიბდეს ნეგატიური დამო-  
კიდებულება სასკოლო ძალადობის მსხვერპლის მიმართ იმ  
პრინციპით, რომ „ყველაფერში თავადაა დამნაშავე, რადგან  
წინააღმდეგობას ვერავის უწევს“.<sup>67</sup> თავად ჩაგრული კი ამ  
შემთხვევაში ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარდება, რადგან  
გრძნობს აბსოლუტურ უიმედობას, სიტუაციის გამოუვალო-  
ბასა და სრულ უმწეობას, რადგან განიცდის დაუძლეველ  
შიშს მჩაგვრელისა და იმ ახალი დამცირებების წინაშე, რომ-  
ლებიც ჯერ კიდევ წინ ელის, ის გრძნობს სირცხვილს საკუ-  
თარი უმწეობის გამო. ხშირად, მოზარდი-მსხვერპლი ამ  
მდგომარეობაში საკუთარ თავსაც კი იდანაშაულებს, ფიქ-  
რობს რომ არაფერი არ შეუძლია, ამიტომ რაც მოხდა ამას ნამ-  
დვილად იმსახურებს.<sup>68</sup>

ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შე-  
იძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი. განსაკუთრებით და-

---

<sup>67</sup> ბალათურია ვ., „ძალადობა, რომელზეც თვალს ვერ დაგვუჭავთ“.,

იხ. <https://storybuilder.jumpstart.ge/ka/dzaladobaromelzetstvalsverdavkhuchavt>

<sup>68</sup><http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/82229-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/76/>

უცველები არიან ბავშვები, რომლებიც განსხვავდებიან თავისი თანატოლებისგან როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური მახასიათებლებით. რისკ-ჯგუფში ხვდებიან განსხვავებული ფიზიკური მონაცემების მქონე, თავისებური ხასიათისა და ქცევის, სხვა ეროვნების და ა.შ ბავშვები. ბულინგის მოტივაცია კი მრავალფეროვანია – შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა, ხასიათის თავისებურებები.<sup>69</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა იმ ბავშვების დაცვა, ვისი უფლებებიც დაირღვა ან ირღვევა, ამიტომ სასურველია ყველა ბავშვმა იცოდეს თავისი უფლებების შესახებ და მათი დარღვევის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის ორგანოებს. ასევე, ჩემი აზრით, პრობლემის თავდაპირველი გამოვლინების და საკითხის მოგვარების კუთხით მშობელს/მეურვეს ეკისრება ყველაზე დიდი და მთავარი პასუხისმგებლობა, რადგან რიგ შემთხვევებში ძალადობის მსხვერპლი ბავშვი სირცხვილის, მორიდების ან დამატებით მოძალადის მხრიდან შიშის გამო ვერ ახერხებს ძალადობის ფაქტის შესახებ საუბარს, ამიტომ საჭიროა მშობლის დიდი ყურადღება, საუბარი და ასევე ბულინგთან დაკავშირებული თემების თუ შემთხვევების განხილვა რათა ბავშვმა შეძლოს ამა თუ იმ წინააღდეგობის გადალახვა და ისაუბროს გულწრფელად მშობელთან. აუცილებელია ბავშვის ცვალებადობის შემჩნევისთანავე, ასევე, მანამდეც პრევენციის მიზნით, მშობელი არკვევდეს თუ ვისთან მეგობრობს მისი შვილი, ხომ არ არიან მათ შორის ისეთები,

---

<sup>69</sup> იხ. იქვე.

ვინც შემჩნეულია ძალადობასა და ჩაგვრაში ან სხვა უარყოფით ქმედებებში. ნებისმიერ ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან, საქართველოს კანონმდებლობითა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. აგრეთვე, ყველა ბავშვი უნდა იყოს დაცული ძალადობისაგან, სახელმწიფო იცავს ბავშვს მასზე მზრუნველი ნებისმიერი პირის მხრიდან ძალადობისა და უხეში მოქცევისგან და ქმნის ძალადობის აღმკვეთ პროგრამებს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის თავისუფლების, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. ამავე კონვენციის მე-16 მუხლი ითვალისწინებს, რომ არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების განხორციელებაში ნებისმიერი ან უკანონო ჩარევის ან მისი ღირსების და რეპუტაციის შელახვის ობიექტი. ხოლო, ბავშვს უფლება აქვს კანონით იყოს დაცული ასეთი ჩარევისგან ან ხელყოფისგან. ძალადობრივი ქცევის გამომწვევი ფაქტორებიდან, ყველაზე ახლოა ოჯახის თემა, ბავშვის არაჯანსაღი სოციალური გარემო,<sup>70</sup> მოძალადე მშობლები ან ნათესავეები. ძალადობის შემცველ ფილმებსა და ვიდეოთამაშებს ამ მხრივ, გაცილებით

---

<sup>70</sup> განსაკუთრებით კი - თანატოლები.

ნაკლები დატვირთვა აქვთ, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, მიზეზი მაინც პრობლემის კომპლექსურობაში უნდა ვეძებოთ.

არსებობს სხვაობა ორ მოვლენას – ბულინგსა და შევიწროებას შორის. ბულინგი – ეს არის პირდაპირი ძალადობა, საკმაოდ უსიამოვნო ფაქტი, რაც კი შეიძლება მოხდეს სკოლის არეალში. რაც შეეხება შევიწროებას, ეს ჩნდება მაშინ, როდესაც მოსწავლე განიცდის ბულინგს, მისი პიროვნული მახასიათებლების გამო. ანუ, განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება მოსწავლის გენდერი, წარმომავლობა ან ქმედუუნარობა.

ბულინგისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია შემდეგი გარემოებები: ეს არის აგრესიული სახის ქცევა, რომელსაც განმეორებადი ხასიათი აქვს, კერძოდ, მჩაგვრელს აქვს მეტი ძალაუფლება ვიდრე დაჩაგრულს.<sup>71</sup> მჩაგვრელის ქმედება არის წინასწარ განზრახული ან მჩაგვრელი არ იღებს პასუხისმგებლობას ჩადენილ საქციელზე და ხშირად აღნიშნავს, რომ მსხვერპლმა „დაიმსახურა“ ასეთი მოპყრობა.<sup>72</sup> ხშირ შემთხვევაში ბავშვი, რომელიც არის ჩაგვრის მსხვერპლი, არ საუბრობს საკუთარ პრობლემებზე მშობლებთან. თუმცა შეიძლება არსებობდეს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვს ჩაგრავენ და სჭირდება უფროსების მხრიდან მხარდაჭერას.<sup>73</sup>

---

<sup>71</sup> პირთან, რომელიც უფრო ძლიერია ფიზიკურად, ან სტატუსით უფრო მაღლა დგას.

<sup>72</sup> მიქაია ნ., “ბავშვის ჩაგვრა/აზუჩად აგდება“, იხ. <http://www.childrenofgeorgia.cog.ge/bullying.html>

<sup>73</sup> იხ. იქვე.

შედეგი, რომელიც მოჰყვება ამ ქმედებას შესაძლოა ხანმოკლე დროში გამოვლინდეს, თუმცა რიგ შემთხვევებში მას სჭირდება გარკვეული დრო. ძალადობის ბავშვზე ზემოქმედების განსაზღვრა საკმაოდ რთულია, იგი თითქმის შეუძლებელია, რადგან შეიძლება ერთ ადამიანზე ბულინგის რომელიმე სახემ ნაკლებად იმოქმედოს, ხოლო მეორეზე ძალიან დიდი ზეგავლენა იქონიოს. თვითშეფასება კი ისეთივე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის, როგორც პიროვნების შენების პროცესი, რომელიც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

ბულინგს ქმნიან ის ადამიანები, ვისთვისაც მისაღებია აგრესიაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ადამიანები, რომლებიც ამართლებენ რაღაცის მოპოვებას სხვისი ჩაგვრის ხარჯზე. რა შეიძლება იყოს წინაპირობა ბულინგის წარმოშობისა: „ფიზიკური დეფექტები, სოციალური სტატუსი, განსხვავებული რელიგიური მრწამსი, განსხვავებული შეხედულებები ხშირად მოზარდებში დამამცირებელი მოპყრობის, სიძულვილის ენით ურთიერთობისა და ზოგჯერ ფიზიკური ძალადობის მიზეზიც კი ხდება. ყველაფერი ეს სათავეს მაინც არასწორი აღზრდიდან იღებს, რაშიც ოჯახი მოიაზრება, თუმცა, გარემო ფაქტორებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.<sup>74</sup>

აღსაღნიშნავია, რომ ბულინგის გახშირების ხელისშემწყობი ფაქტი კომპიუტერული თამაშებიც არის. განსა-

---

<sup>74</sup><http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/82229-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/165/>

კუთრებით პრობლემური ასაკი 10-დან 18 წლამდეა.<sup>75</sup> არც თუ იშვიათად, ბავშვი, რომელიც თავადაა ძალადობის მსხვერპლი, იგივეს იმეორებს სხვა სივრცეში. ამიტომ ბუ-ლინგის პრევენციისთვის დასჯა გამოსავალი არ არის. საჭი-როა ისეთი პოლიტიკა ოჯახებშიც და სკოლებშიც, რომელიც კონფლიქტს არამალადობრივი მეთოდებით გადაჭრის.<sup>76</sup> ზოგჯერ თავად მშობელს ჰგონია, რომ ბულინგი სასკოლო ოინია, არადა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმეტესობა, ვინც მო-ზარდობაში ჩაგვრა განიცადა, შემდეგში თავადაც კრიმინა-ლურ გზას ირჩევს, რადგანაც მასში დალექილი აგრესია უკ-ვალოდ არ ქრება.<sup>77</sup>

ბულინგი ძირითადად გავრცელებულია და ყველა-ზე დიდ პრობლემატურ საკითხს სკოლის ასაკის ბავშვებში წარმოადგენს. ჩემი აზრით, სკოლა ერთ-ერთი ყველაზე ხელ-საყრელი ადგილია მოძალადეებისათვის, მათთვის ვისაც უნ-და როლური ურთიერთობებითა და დამცინავი თუ მჩაგვრე-ლი მოქმედებებით საკუთარი პიროვნების სიძლიერეს სხვე-ბის თვალში ხაზი გაუსვას და ამით საკუთარი პიროვნების უფრო მაღლა დგომას. სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში არ არსე-ბობს ბულინგის ოფიციალური სტატისტიკა რამდენი მოს-წავლე ვისი მხრიდან და რა ფორმით ხდება ბულინგის მსხვერპლი, შესაძლოა მისი არ არსებობა დავუკავშიროთ სა-ხელმწიფოს გულგრილობას ამ საკითხის მიმართ, რაც ნაწი-ლობრივ დაკავშირებულია ბულინგის ამოცნობის სირთუ-

---

<sup>75</sup> იხ. იქვე.

<sup>76</sup> [http://www.psnews.ge/index.php?m=149&jur\\_id=332](http://www.psnews.ge/index.php?m=149&jur_id=332)

<sup>77</sup> იხ. იქვე.

ლესთან. ხშირია შეემთხვევა, როდესაც მასწავლებლები ან მშობლები სიტყვიერ, ფიზიკური აგრესიის შემცველ ქცევას ბავშვურ საქციელად მიიჩნევენ და ამაზე ყურადღებას არ ამახვილებენ.

სახელმწიფოსგან განსხვავებით, სტატისტიკის წარმოება სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, რამოდენიმე ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ სცადა. ერთ-ერთი იყო „გაეროს ბავშვთა ფონდი“ (UNICEF). ორგანიზაციის მიერ, 2012 წელს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში გამოკითხული ბავშვების 80%-ს ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური ან/და ფიქოლოგიური ძალადობა.<sup>78</sup> რაც დრო გადის თითქოს ძალადობის ფორმებიც იხვეწება, დარწმუნებული ვარ, რომ დღეს კიდევ უფრო მეტი ბავშვი ხდება ძალადობის მსხვერპლი. ვიდრე ეს წლების წინ იყო, ხშირად მოსწავლე ვერც კი ხვდება, რომ ის ბულინგის მსხვერპლია.<sup>79</sup>

საკუთარი გამოცდილებით, რომელიც ასევე სკოლის ასაკში მივიღე და ვხედავდი, იმას თუ რამდენად დიდი როლი აქვს მასწავლებელს ბულინგის შემთხვევების თავიდან აცილებასა და პრევენციაში, ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ სკოლა უმეტესადაა ბულინგისთვის ხელსაყრელი ადგილი. პირველ რიგში მასწავლებლები უნდა იყვნენ სწორად შერჩეულნი და მომზადებულნი, რომ უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების დაცვა ყველანაირი ზემოქმედე-

---

<sup>78</sup> ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ., გარეოს ბავშვთა ფონდი., „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში., თბ. 2013. გვ. 25.

<sup>79</sup> <https://edu.aris.ge/news/skola-bulingis-sivrce.html>

ბისა, თუ მიზანმიმართული ჩარევისაგან. მასწავლებლები ასევე, უნდა ზრუნავდნენ ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. სკოლა კი უნდა ზრუნავდეს ბავშვების ინფორმირებაზე, მათთვის სასკოლო პროგრამების შექმნასა, ბულინგის უარყოფითი ზეგავლენის და შედეგების გაცნობიერებაში უნდა ეხმარებოდნენ, რის საშუალებასაც უნდა იძლეოდეს განათლების სისტემა.

ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთი ვალდებულებაა. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და უფლიერო პატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფმხედველობრივი კუთვნილებისა. ამავდროულად, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიხედვით, სკოლის ფუნქცია არის აღზარდოს ტოლერანტი მოქალაქე, რომელიც პატივს სცემს სხვა ადამიანის უფლებებს. სახელმწიფოს მხრიდან სათანადოდ არ არის გაცნობიერებული ბულინგის დამაზიანებელი ეფექტი, რამაც შესაძლოა გააუარესოს როგორც მსხვერპლის, ასევე სხვა მოსწავლეების მდგომარეობა. ხშირ შემთხვევაში ბულინგის განმახორციელებელზე ხდება მთელი რიგი შეტევა, რაც არასწორია. აბსოლუტურად ყველა ბავშვი იმსახურებს იმას, რომ არ იყოს გარიყული და სტიგმატიზირებული.<sup>80</sup> ზოგჯერ, სასწავლო დაწესებულებებში პრობ-

---

<sup>80</sup> <https://www.speqtri.ge/sazogadoeba/ganathleba/article/25820-bulingis-prevenia-skolebshi>



ლემაზე ხდება სრული იგნორირება, ამ დროს ბუღინგი ვისკენაცაა მიმართული, ის სრულიად მარტო რჩება, რასაც მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს. მასწავლებლები არა თუ არ ერევიან, შეიძლება მაპროვოცირებლებიც კი გახდნენ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექვემდებარება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი.<sup>81</sup> დღეისათვის საქართველოში ასეთი სულ 5 ცენტრია: თბილისში, რუსთავეში, ბათუმში, თელავსა და გორში. ის ფსიქოლოგების, ბავშვთა ფსიქიატრებისა და სოციალური მუშაკებისგან არის დაკომპლექტებული და ფსიქო-სოციალურ მომსახურებას უწევს ქცევითი, ასევე, ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეებსა და მათი ოჯახის წევრებს, ამასთან, დახმარებას უწევს სხვადასხვა საკითხების მოწესრიგებაში, მათ შორის, თანატოლებთან პრობლემური ურთიერთობის მოგვარებაში. როგორც ზემოთ უკვე ავლნიშნეთ საქართველოს საჯარო სკოლებში ბუღინგის შემთხვევების ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. სკოლაში ძალადობის ეროვნული კვლევა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდმა ერთობლივად განახორციელა 2007 წლის შემდეგ არ ჩატარებულა.<sup>82</sup> 2007 წელს განხორციელებულმა კვლევამ კი დაადგინდა, რომ სხვადასხვა ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ბავშვების 80%-ს ჰქონდა განცდილი. აქედან 47%-ზე ძალადობა უშუალოდ სკოლაში ხორციელდებოდა.<sup>83</sup> მარ-

---

<sup>81</sup> <http://www.mes.gov.ge/content.php?id=8833&lang=geo>

<sup>82</sup> <https://www.unicef.org/georgia/>

<sup>83</sup> იხ. იქვე.

თალია, ბოლო დროს დაიწყო ბულინგზე ღია საუბარი და განათლების სამინისტროს მიერ აღიარება, რომ სკოლებში ეს პრობლემა არსებობს, თუმცა განათლების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები განათლების სამინისტროსა და სკოლების მხრიდან ბულინგის აღმოფხვრის, ან შემცირების მხოლოდ ფორმალურ ღონისძიებებზე მიუთითებენ. ბულინგზე არც კანონი "ზოგადი განათლების შესახებ" აქცენტირებს. იგი არც კანონმდებლობაში და არც კანონქვემდებარე აქტებში არ არის მოხსენიებული. სასურველი შედეგის მისაღწევად საზოგადოების სწორი ჩართულობაა აუცილებელი, რაც გულისხმობს მეტ ცოდნას ამ თემის ირგვლივ და მეტ ეფექტურ გამოყენებას პრაქტიკაში. თუმცა, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტურობა ნაკლებად მოხდება საკითხის მასშტაბის გააზრების გარეშე. განათლების სამინისტრომ, დიდი ხანი არ არის რაც ბულინგი პრობლემად სცნო. მანამდე მას „უწყინარ“ სასკოლო ყოვედღიურობად მიიჩნევდა, რომელიც სერიოზულ დამოკიდებულებას არ იმსახურებდა. ამიტომ განათლების სამინისტროს დღემდე არა აქვს შესწავლილი თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს ბულინგს, მათ შორის - ფატალურიც. პრობლემის არაღიარებამ შეაფერხა შედეგების გაზომვაც, რომელიც დასკვნების გასაკეთებლად და სწორი სამოქმედო გეგმის დასახვისთვის მნიშვნელოვან მონაცემად მიაჩნიათ სპეციალისტებს. მათი თქმით, განათლების სამინისტროს მხრიდან სკოლებში ბულინგის მიმართულებით წარმოებული სამუშაოები ნაკლებად ეფუძნება კონკრეტულ კვლევებს.<sup>84</sup> აუცილებელია წინასწარ გაიზომოს იმ კონკრე-

---

<sup>84</sup> <https://www.kutaisipost.ge/statiebi/ganathleba/article/7083-daudzleveli-bulingi->

ტულ მიკროსოციუმში რა სახის და ტიპის ბულინგია გავრცელებული. შემდეგ ჩატარდეს მუშაობა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, კი გაიზომოს მუშაობის შემდგომი მდგომარეობა, იმისთვის, რომ შემოწმდეს ჰქონდა თუ არა შედეგი კონკრეტული მიმართულებით წარმოებულ აქტივობას. სხვა შემთხვევაში ჩაითვლება, რომ საქმე კეთდება, თუმცა შეუძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ რა ასახვა ჰპოვა მუშაობამ პრაქტიკაში. ბულინგს არც ახალისებს და არც აკავებს საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ". კანონმდებლობაში ბულინგთან დაკავშირებით სპეციალური ჩანაწერი არ არსებობს. იგი ერთიანდება ზოგადად ძალადობის ფორმებთან.<sup>85</sup> ბულინგი ძალადობაა, თუმცა მას გააჩნია სპეციალური მახასიათებლები, რომლებიც ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი. ძალადობის შემცირების კუთხით ზოგადი ჩანაწერები კანონში, საკმარისი არ არის ბულინგის აღმოსაფხვრელად.

---

[brdzolis-susti-meganizmebi-da-favoritizmi-skolebshi?fb\\_comment\\_id=1318779104866431\\_1572316342846038](https://www.facebook.com/brdzolis-susti-meganizmebi-da-favoritizmi-skolebshi?fb_comment_id=1318779104866431_1572316342846038)

<sup>85</sup> ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-13 და მე-20 მუხლები.

## აპატრიდი ბავშვები გზა უხილავობიდან მოქალაქეობამდე

ავტორი: სოფიკო დარჩია

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და  
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მე-4 კურსის  
სტუდენტი*

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მოქალაქეობის არმქონე ბავშვების სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა, მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევა.

### ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მოქალაქეობა ნიშნავს პირსა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივ კავშირს და იგი არ ასახავს პირის ეთნიკურ წარმომავლობას. მოქალაქეობის არმქონე პირი ანუ აპატრიდი არის ის, ვინც არ არის მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე და არ გააჩნია საბუთი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ის უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა<sup>86</sup>. მოქალაქეობის არმქონე პირები დიდი ხანია სხვა და სხვა პრობლემის წინაშე დგებიან. მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი რეგიონი, რომელიც დგას ამ პრობლემის წინაშე, რომლებსაც მოქალაქეობის არ ქონამდე მივყავართ. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში მოქალაქეობის არ მქონე პირთა ზუსტი რიცხვი უცნობია. ამ საკითხის მოსაგვარებლად არამარტო სახელმწიფოები თავიათი შიდა კანონ-

---

<sup>86</sup> <<“Convention relating to the Status of Stateless Persons, article 1(1)”.>>

მდებლობით არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები ზრუნავენ. განსაკუთრებით სენსიტიურია მოქალაქეობის არ მქონე ბავშვების საკითხი. იმის გათვალისწინებით რომ მოქალაქეობის არ მქონე ბავშვებს ხშირად ერღვევათ უფლებები, ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლი. როცა ბავშვის მშობლებიც მოქალაქეობის არ მქონენი არიან რთულია დადგინდეს ასეთ შემთხვევაში რომელი ქვეყნის მოქალაქედ უნდა მივიჩნიოთ იგი. განსხვავდება მოქალაქეობის სტატუსის მისანიჭებელი კრიტერიუმები ქვეყნების შიდა კანონმდებლობაშიც. მოქალაქეობის არ მქონე ბავშვი ხდება მაშინ თუ მისი რეგისტრაცია არ მოხდა დაბადებისას, თუ გაჩნდა ისეთ ქვეყანაში სადაც არ მოქმედებს ეგრეთწოდებული მიწის პრინციპი, ან იმ შემთხვევაში თუ ის ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული პირია, მსგავსია სიტუაციაა ბოშათა თემის შემთხვევა არ ხდება მათი აღრიცხვა, ხშირია მათი უფლებების დარღვევისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევები.

სტატისტიკურად მოქალაქეობის არმქონე პირთა მესამედზე მეტი ბავშვია. ბევრი მათგანი დაბადებისთანავე ხდება არამართო დისკრიმინაციის არამედ „კანონმდებლობის მსხვერპლიც“. მათი ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც მათ განვითარებას უნდა ემსახურებოდა ჩაგვრის, დისკრიმინაციის და უთანასწორობასთან ბრძოლაში გადის. ისინი დაბადებიდანვე მიეკუთვნებიან იმ კატეგორიას, რომლებსაც პოტენციურად უარყოფითან აღიქვამენ, სახელმწიფოები მათ იშვიათად უქმნიან მოქალაქეობის მქონე ბავშვთან გათანაბრებულ გარემოპირობებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ვისაუბროთ იმ რეალობაზე და

პრობლემებზე რაც დღეს დღეობით ისევ აქვთ მოქალაქეობის არმქონე ბავშვებს.

## **საერთაშორისო სტანდარტები და პრობლემები ბავშვე- ბისთვის მოქალაქეობის მინიჭები საკითხში**

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე საუკუნეა მოქალაქეობის არმქონე პირები არსებობენ, საერთაშორისო თანამეგობრობამ მხოლოდ XX საუკუნის შუა წლიდან შეუფოთდა და დაიწყო ზრუნვა პრობლემის აღმოფხვრაზე. 1951 წლის 28 ივლისს შეიქმნა კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ რომელიც, მოიცავდა მხოლოდ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც ამავე დროს ატარებდნენ ლტოლვილის სტატუსს, ამიტომ ძალიან ბევრი ადამიანი ვერ ხვდებოდა ამ კონვენციის მოქმედების სფეროში. საჭირო გახდა ახალი რეგულირება და შეიქმნა მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენცია, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსს განსაზღვრავს და მათ სამართლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს. 1961 წელს კი მიიღეს კონვენცია მოქალაქეობის არქონის პრევენციისა და შემცირების შესახებ ამ კონვენციის ხელშემკვრელი მხარე საქართველო გახდა 2012 წლის 22 მარტიდან, ამის შემდეგ დაიწყო შიდა საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა. შედეგად მივიღეთ კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა მათი უფლებების და-

საცავად. მოქალაქეობის უფლებას, თუმცა განსხვავებული ფორმულირებით აღიარებს ადამიანის უფლებათა არაერთი დოკუმენტი ასეთებია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი , რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია. რაც შეეხება 1997 წლის ევროპულ კონვენციას მოქალაქეობის შესახებ იგი ადგენს სტანდარტებს კერძოდ ადგენს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს, განსაზღვრავს რომ მოქალაქეობის უფლება აქვს ყველას, დაუშვებელია მოქალაქეობის თვითნებურად ჩამორთმევა, არც ქორწინება და არც ქორწინების შეწყვეტა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქესა და უცხოელს შორის, არც რომელიმე მეუღლის მიერ ქორწინებისას მოქალაქეობის ცვლილება ავტომატურად არ უნდა შეეხოს მეორე მეუღლის მოქალაქეობას, სახელმწიფოების მიერ თავიდან უნდა იქნეს აცილებული მოქალაქეობის არქონა. დღესდღეობით მოქალაქეობის მინიჭებისას სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ ორი ძირითადი პრინციპით *jus soli* "right of the soil" რაც გულისხმობს მოქალაქეობის მიღებას მიწის პრინციპით ანუ დაბადების ადგილის მიხედვით და *Jus sanguinis* "right of blood" , ბავშვი მშობლების მოქალაქეობას იღებს, მიუხედავად იმისა რომელი ქვეყანაში დაიბადა იგი. ბევრმა სახელმწიფომ განსაზღვრა თავისი მოქალაქეობა ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე, რასაც დიდი ჯგუფების გამორიცხვა მოჰყვა. ეს

არღვევდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო კანონებს. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტმა 2014 წლის 1 ოქტომბერს განაცხადა, რომ "რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე მოქალაქეობის ჩამორთმევა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებების დარღვევას, რომელიც უზრუნველყოფს დისკრიმინაციის გარეშე სტატუსის მინიჭებას"<sup>87</sup>.

მოქალაქეობის არმქონე ბავშვები ძირითადად იყოფიან ორ კატეგორიად ერთია, როდესაც დევნილობაში იმყოფებიან და აიძულებენ დატოვონ თავიანთი სახლები მაგალითად ასეთი ვითარება შეიქმნა სირიის კონფლიქტის დროს. კვლევების თანახმად სირიელ ლტოლვილებს 50 ათასზე მეტი ბავშვი გაუჩნდათ სხვადასხვა ქვეყანაში. მათ ლეგიტიმურად ეკუთვნით სირიის მოქალაქეობა, თუმცა იმის გამო, რომ უმეტესობა არის დაბადების რეგისტრაციის გარეშე მათ გაუჭირდებათ მომავალში იმის დამტკიცება, რომ ეკუთვნით სირიის მოქალაქეობა, იმის გათვალისწინებით რომ ასეთი კონფლიქტებისას მათმა მშობლებმა შესაძლოა დაკარგონ ყველა საბუთი, რომელიც ამის დამტკიცებაში დაეხმარებათ. მეორე კატეგორია კი არის ის ბავშვები, რომელთა რეგისტრაცია არ ხდება დაბადებისას, ან სახელმწიფო რეგისტრაციის მიუხედავად არ ანიჭებს მათ მოქალაქეობას. 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენციით ხელშემკვრელი სახელმწიფოები

---

<sup>87</sup> *"Nationality and Statelessness: Handbook for Parliamentarians N° 22". United Nations High Commissioner for Refugees. July 2014. p. 30.*



ვალდებულნი არიან უზრუნველყონ, რომ ყველა ბავშვმა მოიპოვოს მოქალაქეობა.<sup>88</sup> კონვენცია მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა განახორციელონ ეს დებულება, მაშინ, თუ ბავშვი სხვაგვარად დარჩება მოქალაქეობის არმქონე და იმგვარად, როგორც ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება. მოქალაქეობის არმქონე ბავშვებს ხშირად იყენებენ, როგორც იაფ მუშახელს, მაღალია ტრეფიკინგში ჩართვის რისკები. მოქალაქეობის არმქონე ადამიანები ვერ ხდებიან ჯანდაცვის სისტემის მონაწილე. ამან შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი ჯანმრთელობის დაზიანება, მაგალითად, თუ დედა არ იღებს წინასწარ სამედიცინო მომსახურებას მოქალაქეობის არქონის გამო ამით საფრთხე ემუქრება არამართო დედის არამედ ბავშვის სიცოცხლესაც. მოქალაქეობის არმქონე ბავშვები მოკლედბულნი არიან სახელმწიფოსგან სოციალურ სარგებლის და ბენეფიტების მიღებას, როგორცაა სოციალური დაზღვევა ან ჯანდაცვა განათლება და ა.შ. ბოლო წლებში გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა თავის წევრ სახელმწიფოებს რამდენიმე რეკომენდაცია წარუდგინა, რათა შეემცირებინა მოქალაქეობის არმქონეთა რიცხვი, მაგრამ მოქალაქეობის არმქონეობის შესახებ ჯერ კიდევ არსებობს მოუგვარებელი პრობლემები, რასაც იწვევს ქვეყნების შიდა კანონმდებლობა და პოლიტიკა.

გვხვდება განსაკუთრებული შემთხვევები და პრაქტიკა როდესაც, მოქალაქეობის არ მქონე ბავშვი შესაძლოა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც სულაც სუროგაციის გზით არის

---

<sup>88</sup> *UN General Assembly (20 November 1961). "Convention on the Rights of the Child". United Nations Treaty Series. p. 3.*

დაბადებული. სამწუხაროდ არსებობს ისეთი ქვეყნები რომელშიც სუროგაციის მეშვეობით დაბადებულ ბავშვს უზღუდავს იმ ქვეყნის მოქალაქეობის მიღების უფლებას, რომლის მოქალაქეა ერთ-ერთი მშობელი. 2014 წლის ივნისში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასრულა სუროგაციის შესახებ ორი საქმის განხილვა მენესონი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ და ლაბასი საფრანგეთის წინააღმდეგ. ევროპულმა სასამართლომ საფრანგეთი აიძულა ფრანგი ბავშვისთვის მიეცა მოქალაქეობა. საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ ქვეყანამ უარი თქვა ბავშვისთვის მიენიჭებინა საფრანგეთის მოქალაქეობა ვინაიდან იგი დაბადებული იყო სუროგაციის შედეგად და არ გაითვალისწინა ის გარემოება რომ ერთ-ერთი მშობელი იყო საფრანგეთის მოქალაქე. ECtHR- ის განცხადებით, ბავშვის წარმოშობის აღიარებაზე უარის თქმა ბავშვის იდენტობას არღვევდა და ბავშვისთვის გაურკვეველ სამართლებრივ მდგომარეობას ქმნიდა.<sup>89</sup> გარკვეულწილად ეს იყო დისკრიმინაციული მიდგომა ვინაიდან საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით თუ ბავშვი საფრანგეთში დაიბადება და მისი ერთ-ერთი მშობელი ამ ქვეყნის მოქალაქეა მას ენიჭება მოქალაქეობა. ამის წინაპირობა იყო ის, რომ ეროვნულმა სასამართლოს, არ აღიარა საფრანგეთში მშობლისა და შვილის ურთიერთობა, რომელიც სამართლებრივად საზღვარგარეთ წარმოიშვა. ევროპულმა სასამართლომ ორივე საქმეში მიუთითა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, რომელიც ეხებოდა

---

<sup>89</sup><https://www.humanrights.ch/en/switzerland/internal-affairs/groups/children/stateless-children-a-status-contradicting-childrens-rights>>>

ბავშვთა უფლებას, პატივი სცენ მათ პირად ცხოვრებას. სასამართლომ შენიშნა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ, რომ ბავშვები ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულნი იყვნენ როგორც ბ-ნი და ქ-ნი ლაბასის შვილები, მომჩივნებს ეს სტატუსი ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით არ მიაკუთვნა დასუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იდენტობა ექვეყნე დააყენა. სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ სასამართლო პრაქტიკა სრულებით გამორიცხავდა სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას კანონიერი სუროგაციის შედეგად უცხოეთში დაბადებულ ბავშვებსა და მათ ბიოლოგიურ მამას შორის. აღნიშნული აჭარბებდა სახელწმიფოებისთვის მინწებულ უფლებას და წარმოადგენდა უხეშ ჩარევას ადამიანის სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის უფლებაში, მიელო სხვა ბავშვების მსგავსად საფრანგეთის მოქალაქეობა. საფრანგეთისაგან განსხვავებული ვითარებაა ლატვიაში, ამ ქვეყანამ ლიბერალური პოლიტიკა გაატარა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და მოქალაქეობის არმქონე ბავშვებს უფლება მისცა გამარტივებული წარმოებით მიელო მოქალაქეობა მათ ტერიტორიაზე დაბადების შემთხვევაში. ლატვიაში, 2011 წლიდან მოქალაქეობასთან დაკავშირებით განაცხადი ბავშვისათვის, რომელიც არ არის ლატვიის მოქალაქენი, მაგრამ არ არიან ლატვიელები ან რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქენი, შეიძლება წარუდგინონ არა მხოლოდ მოქალაქეობისა და მიგრაციის საქმეთა სამსახურს არამედ სამოქალაქო რეესტრის სამსახურსაც . 2013 წლის ოქტომბრიდან კი ბავშვის ლატვიის მოქალაქედ აღიარება შეიძლება ერთი მშობ-

ლის მიერ ბავშვის დაბადების რეგისტრაციით. ამის შედეგად მნიშვნელოვანად გაიზარდა იმ ბავშვთა რიცხვი, რომლებსაც ლატვიის მოქალაქეობა ამ გზით მიენიჭა. 2013 წლის დასაწყისიდან 2014 წლის დასაწყისამდე „ლატვიის არამოქალაქე მშობლების მიერ გაჩენილ ბავშვთა შორის ეს მაჩვენებელი 52 პროცენტიდან 88 პროცენტამდე გაიზარდა,<sup>90</sup> რაც წინ გადადგომი ნაბიჯია ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში.

გაერთიანებულ სამეფოში მოქალაქეობის არმქონე ბავშვებისთვის, მოქალაქეობის მინიჭების საკითხის გადაწყვეტაში, მნიშვნელოვანი როლი აკისრია სასამართლოს. ბრიტანეთის სასამართლომ განიხილა მოქალაქეობის მინიჭების საკითხი. საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ (MK) ბრიტანეთში დაიბადა 2010 წლის ნოემბერში. მისი მშობლები იყვნენ ეროვნებით ინდოელები. MK- მა ბრიტანეთის მოქალაქეობის რეგისტრაციის შესახებ განაცხადი შეიტანა 1981 წელს გამოცემული აქტის საფუძველზე. ამ კანონის მე -2 ნაწილის თანახმად, ბრიტანეთში დაბადებული ბავშვი ან ახალგაზრდა ადამიანი შეიძლება დარეგისტრირდეს, როგორც ბრიტანეთის მოქალაქე, თუ იგი არის და ყოველთვის იყო მოქალაქეობის არმქონე ან ცხოვრობდა დიდ ბრიტანეთში 5 წელი განაცხადის გაკეთებამდე.<sup>91</sup>

ბრიტანულ კანონმდებლობაში, არსებობს კიდევ ერთი დათქმა, რომელიც სახელმწიფო მდივანს ანიჭებს უფლე-

---

<sup>90</sup> სვეტლანა დიაჩკოვა, ლატვიაში ბავშვთა შორის მოქალაქეობის არქონის სიტუაციის შემცირება , ლატვიის ადამიანის უფლებათა ცენტრი ENS კონფერენციაზე, 2015 წლის 7 აპრილი.

<sup>91</sup> ბრიტანეთის 1981 წლის მოქალაქეობის აქტი თავი 61 1981 წლის 30 ოქტომბერი, <http://www.Refworld.org/docid/3ae6b5b08.html>.

ბამოსილებას გადაწყვიტოს მოქალაქეობის მიკუთვნების საკითხი. სწორედ ეს უფლება გამოიყენა (MK)-მ, განცხადების გაკეთებისა და სახელმწიფო მდივანისთვის მიმართვის შემდეგ მიღებული უარის გასაჩივრების დაიწყო სასამართლო პროცესი. იყო გარკვეული სირთულეები მტკიცების საკითხის გადაჭრისას, განსაკუთრებით სირთულეს წარმოადგენდა ინდოეთისა და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის გამოყენება ისე რომ ბავშვი არ დარჩენილიყო მოქალაქეობის გარეშე.

სახელმწიფო მდივანისათვის მიმართვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ბავსვი მოქალაქეობის არ მქონეა. ამ ტიპის განაცხადის მიზნებისათვის პირი მოქალაქეობის არმქონეა, თუ მას არ აქვს მოქალაქეობა - და მოქალაქეობის მიღების უნარი (პუნქტი 36) ამ დათქმაში იგულისხმება ყველა პირი, რომელიც მოქალაქეობის არმქონეა და რომელიც ამავდროულად ვერ მიიღებს ვერც ერთი ქვეყნის მოქალაქეობას ვინაიდან არ აქვს სხვა ქვეყანასთან კავშირი.<sup>92</sup> ინდოეთის მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად ინდოეთის გარეთ ინდოელი მშობლების შვილს უფლება აქვს სათანადო ადმინისტრაციული პროცედურების გავლით მიიღოს მოქალაქეობა (მე-13 პუნქტი) MK-ს საქმეში მისმა მსობელებმა ვერ წარმოადგინეს ის მტკიცებულება, რომლითაც დასტურდებოდა და MK მიიღებდა ინდოეთის მოქალაქეობას (მე-10 პუნქტი). ხოლო სახელმწიფო მდივანს ვერ წარუდგინეს საბუთი, რომელიც დაასტურებდა რომ ბავშვი ვერ მიიღებდა

---

<sup>92</sup> იგულისხმება არ რომ არც ერთ მშობელს არ აქვს მოქალაქეობა ან ასეთი ბავშვების მშობლების ვინაობა დაუდგენელია.

ინდოეთის მოქალაქეობას. სწორედ ამ საფუძვლით სახელმწიფო მდივანმა უარი უთხრა MK-ს მოქალაქეობის მიღებაზე. უზენაესმა სასამართლომ განმარტა რომ მსგავს შემთხვევებში სახელმწიფო მდივანი არ იყო უფლებამოსილი, დაეწესებინა მოთხოვნები, რომლებიც შეუძლებელს ხდიდა ინდივიდს, მიეღო სარგებელი მოქმედი წესდებით.<sup>93</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ უნდა არსებობდეს მოქნილი სისტემა მსგავსი შემთხვევისთვის (პუნქტი 40)<sup>94</sup>. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე განისაზღვრა, რომ MK-სთვის მიენიჭებინათ ბრიტანეთის მოქალაქეობა. სახელმწიფო მდივნის უფლებამოსილება არის დისკრეციული მაგრამ მისი გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არის თუ არა ბავშვი მოქალაქეობის გარეშე დარჩენის საფრთხის წინაშე. მსგავსი უფლებამოსილება სახელმწიფო მდივანმა გამოიყენა მამინ, როდესაც საქმე ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ სუროგატი დედების მიერ ბრიტანეთის მოქალაქე მშობლების მიმართვის საფუძველზე გაჩენილი ბავშვების მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტას და მათთვის ბრიტანეთის მოქალაქეობის მინიჭებას.<sup>95</sup> მოქალაქეობის არ ქონა ნიშნავს სახელმფოსთვის „უხილავობას“, ეს განსაკუთრებით მძიმეა როცა საქმე ბავშვს ეხება, სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული.

---

<sup>93</sup> ამ შემთხვევაში ბრიტანეთის მოქალაქეობა.

<sup>94</sup> Jeddah-SSHD [2013] UKSC 62 და Pham v SSHD [2015] UKSC 19

<sup>95</sup> “არასრულწლოვანთა რეგისტრაცია დისკრეციულად“ ინსტრუქციები მოქალაქეობის შესახებ UK visas and immigration, home office, ტომი 1, თავი 9.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ბავშვთა უფლებების გაეროს კონვენციის (UNCRC) მე -7 მუხლის საფუძველზე (დაბადების რეგისტრაციის, სახელწოდება, მოქალაქეობა და მოვლის შესახებ) 1. ბავშვი დაბადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დარეგისტრირდეს და დაბადებისთანავე სარგებლობდეს სახელი უფლებით, უფლება აქვს მიიღოს მოქალაქეობა და რამდენადაც შესაძლებელია, იცნობდეს მის მშობლებს და ზრუნავდნენ მასზე. 2. მონაწილე სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ამ უფლებების განხორციელება მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულონ, თუ ბავშვი სხვაგვარად იქნება მოქალაქეობის არმქონე. CCLC, რომელიც დიდ ბრიტანეთში ბავშვთა დახმარების ცენტრია ამ გადაწყვეტილების სრულად მხარდაჭერას უცხადებს და აღნიშნავს პრობლემის აქტუალურობას. ეს გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს ბრიტანეთის მოქალაქეობის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას.

## **გენდერული დისკრიმინაციის გავლენა მოქალაქეობის არ მქონე ბავშვთა უფლებებზე**

სქესის მიხედვით დისკრიმინაციის მკაფიო ფორმა, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უფლებათა უარყოფაა. არსებობს ქვეყნები, რომლებმაც შეინარჩუნეს კანონები, გენდერულ დისკრიმინაციის გავლენით, განსაკუთრებით კი ქალთა მიმართ დისკრიმინაციას, ბავშვებისთვის ან მეუღლე-

ებისთვის მოქალაქეობის მიღების, შეცვლის, შენარჩუნებისა და შეზღუდვიდ გზით.

მსგავსი კანონები ხშირად კოლონიალური ქვეყნების სამართალმემკვიდრეების სისტემებშია დაფუძნებული, რომლებიც ქალებს არათანაბარ მდგომარეობას უქმნიდნენ. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ეროვნული კანონმდებლობა ეწინააღმდეგება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW), რომელიც მკაფიოდ ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ქალთა თანაბარი ეროვნების უფლებები და გარანტიები (მუხლი 9)<sup>96</sup>. როდესაც სახელმწიფო უარყოფს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ უფლებას მიიღოს მოქალაქეობა, გენდერული თანასწორობა ასეთ სახელმწიფოში ვერ განხორციელდება. ეს არის მაგალითი „დაკანონბენული დისკრიმინაციის“.

მართალია განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრას, მაგრამ ალბათ გასაკვირია რომ ჯერ კიდევ არსებობს 25 ქვეყანა, რომლებიც გენდერული ნიშნით ზღუდავს ისეთ მნიშვნელოვან უფლებას, როგორც არის მოქალაქეობა. კანონმდებლობა უარყოფს ქალების უფლებას შეიძინოს, შეიცვალოს ან შეინარჩუნოს მოქალაქეობა. დისკრიმინაციის ეს ფორმა ადამიანის უფლებებში უხეში ჩარევაა და არღვევს საერთაშორისო კანონმდებლობით განმტკიცებულ უფლებებს. მოქალაქეობის მინიჭების ასეთი სტანდარტი ზღუდავს ბავშვებისთვის მოქალაქეობის მინიჭებასაც. არსებობს ქვეყნები რომლის კანონმდებლობითაც დედის ხაზით მოქალაქეობას

---

<sup>96</sup> <https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/>



არ ანიჭებს ბავშვებს და ქმნის საფრთხეს მოქალაქეობის ამ მქონედ აქციოს ისინი თუ მამის ვინაობა უცნობია ან მსგავსი პრობლემის წინაშე დგას ისიც. ასეთი ქვეყნებია, ირანი, იორდანია, კირიბატი, ლიბანი, ქუვეითი, ლიბერია, ლიბია, მალაიზია, ბაჰრეინი, ბურუნდი არაბთა გაერთიანებული საამირო და სხვა. გენდერის მიხედვით დისკრიმინაციას არამარტო მდედრობითი სქესი განიცდის. არსებობენ ქვეყნები, სადაც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებენ მამებს თავიანთი შვილებისთვის მოქალაქეობის მინიჭებისას, ესენია: ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი და მალაიზია. აქ დაბადებულ ბავშვებს მოქალაქეობის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თუ დედა არის მათი მოქალაქე.

ეროვნულ კანონმდებლობაში გენდერული დისკრიმინაცია მოქალაქეობის არმქონე პირების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. ადამიანის უფლებების დარღვევების გარდა, მოქალაქეობის არმქონე პირებს უარი ეთქვათ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე, მათ შორის, ხმის მიცემაზე. ეროვნულ კანონებში გენდერული დისკრიმინაციის დამთავრება მნიშვნელოვანია მოქალაქეობის არმქონე პირების რიცხვის შესამცირებლად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა გლობალური სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად განსაზღვრა მოქალაქეობის არმქონე პირთა გლობალური სამოქმედო გეგმის შესახებ, რომელიც 2024 წელს უნდა დასრულდეს. სამოქმედო გეგმა მოუწოდებს სახელმწიფოებს იმუშაონ გლობალურ კამპანიასთან თანაბარი ეროვნების უფლებები ამ მიზნის მისაღწევად, რათა არც ერთი ადამიანი არ დარჩეს მოქალაქეობის გარეშე.

## უფლებების შეზღუდვა მოქალაქეობის სტატუსის არქონის გამო

მოქალაქეები, რომლებიც ჩვეულებ ვსარგებლობთ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით, ბენეფიტებით ვერც ვაცნობიერებთ თუ რამდენად დიდი პრობლემის წინაშე დგანან მოქალაქეობის არ მქონე პირები. განსაკუთრებით კი ბავშვები, მოქალაქეობის არ ქონა მათ ხელს უშლის მიიღონ განათლება. ზოგიერთ ქვეყანაში ისინი ვერ აკეთებენ განცხადებას საჯარო სკოლაში სწავლისთვის სანამ ყველა მოქალაქეობის მქონე ბავშვი არ დარეგისტრირდება. მსგავსი მდგომარეობაა უმაღლესი განთლების კუთხით. მოქალაქეობის გარეშე დარჩენილ ბავშვს ყველა უფლება შეზღუდული აქვს. მათ შორის მძიმე საკითხია განათლების უფლება და განათლების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდები არიან ის ფენა, რომელიც განწირულნი არიან უმუშევრობისთვის, ან და დაბალი ანაზღაურებისთვის, ცუდი ცხოვრებისთვის.

### ბავშვები ბოშათა თემიდან

განსაკუთრებით რთულია მდგომარეობა, როდესაც საქმე გვაქვს ბოშა ბავშვებთან, სტატისტიკურად მოქალაქეობის არ მქონე ბავშვების ყველაზე დიდი ნაწილი ევროპაში ბოშათა თემიდანაა. მსგავსი სტატისტიკა გვაქვს საქართველოში. ბოშათა თემის წარმომადგენლები ხშირად ხვდებიან უთანასწორო მდგომარეობაში. მსგავსი შემთხვევა მოხდა ჩეხეთში, ამ საქმემ კი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლომდე მიაღწია. საქმეზე დ.<sup>3</sup> და სხვები ჩეხეთის წინააღ-

მდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში სპეციალურ სკოლაში მყოფი ბავშვების უმეტესობა ბოშათა თემიდან იყვნენ. საშუალო ინტელექტის გამო ბოშა ბავშვებს ფსიქოლოგიური ტესტის საფუძველზე ხშირად ათავსებდნენ აღნიშნულ სკოლებში, ვინაიდან ეს ფსიქოლოგიური ტესტი ადაპტირებული არ იყო მათ ეთნიკურ წარმომავლობასთან. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ იმ დროს არსებულ კანონმდებლობას ბოშა ბავშვებზე, პროპორციულობის დაუცველობით,<sup>97</sup> მავნე გავლენა ჰქონდა, რაც არღვევდა კონვენციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა) 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან (განათლების უფლება) ერთად.<sup>98</sup>

მსგავსი დისკრიმინაციული მიდგომა იგრძნობოდა საქმეზე ორსუსი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ აღნიშნული საქმე ეხებოდა ბოშური წარმომავლობის თხუთმეტ ხორვატიელს, რომლებიც ჩიოდნენ, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ, რადგან ისინი მოათავსეს კლასში, სადაც მხოლოდ ბოშები სწავლობდნენ და შედეგად, მათ განიცადეს ფსიქოლოგიური და ემოციური ზიანი. მოცემულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ სკოლებში სპეციალურ კლასებში მხოლოდ ბოშა ბავშვებს ათავსებდნენ. ხორვატიის მთავრობა მოსწავლეთა განცალკევების მიზეზად ხორვატიული ენის ცუდად ცოდნას ასახელებდა; თუმცა, ტესტი, რომელიც გან-

---

<sup>97</sup> D.H. and other v. D.H. and others v. the Czech Republic. 13.11.2007.

<sup>98</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნომბრის კონვენცია.

საზღვრავდა მათ ამგვარ კლასებში მოხვედრას ორიენტირებული არ იყო ენის ცოდნაზე, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ბოშა ბავშვებს შემდეგში უნდა გაევლოთ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე არ ამახვილებდა ყურადღებას და ამ კუთხით მოსწავლეთა წინსვლის მონიტორინგიც არ ხორციელდებოდა. შესაბამისად, მომჩივნების მოთავსება იმ კლასში, სადაც მხოლოდ ბოშა ბავშვები იყვნენ, გაუმართლებელი იყო, რაც არღვევდა კონვენციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა) პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან ერთად (განათლების უფლება).<sup>99</sup>

ბოშათა თემის წარმომადგენელ ბავშვებს აქვთ სხვა ყოფითი პრობლემები დაბადებისას მათი აღრიცხვა არ ხდება შესაბამისად არ გაიცემა დაბადების მოწმობა და სრულწლოვანობის მიღწევის შემთხვევაში არიან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე. სამწუხაროდ ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ რამდენი ბოშა ბავშვია მოქალაქეობის არ მქონე , რადგანაც აღრიცხვის გარეშე მათი ინეტიფიცირება შეუძლებელია. ბოშა ბავშვები ხშირ შემთხვევაში ხდებიან დისკრიმინაციის, ძალადობის, იძულების მსხვერპლი. მათ ხშირად ამუშავებენ, იყენებენ დანაშაულის ჩასადენად, მათ არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სრულფასოვანი განათლება . განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ათასობით ბოშათა მდგომარეობას და მათ ოჯახებს, რომლებიც კონფლიქტის მსხვერპლნი იყვნენ და იძულებულნი იყვნენ გადასახლებულიყვნენ მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის ბო-

---

<sup>99</sup> Oršuš and Others v. Croatia, 16.03.2010  
<http://www.errc.org/cikk.php?page=10&cikk=3613>

ლოდროინდელი კონფლიქტის მიმდინარეობისას, მათ მოუწიათ გადასახლება, არც ერთი სახელმწიფო არ იღებს პასუხისმგებლობას მათზე. ბოშა ბავშვები ხშირად საკუთარი ოჯახის, მშობლების მსხვერპლიც ხდებიან სწორედ ისინი ავალებენ მათ დანაშაულებრივ საქმიანობას ფულის მისაღებად, მათხოვრობას,ს ქურდობას და ა.შ. სამწუხაროდ უფროსი თაობა თავს იკავებს მათი შვილებისთვის სათანადო განათლების მიღებისგან და ამის აუცილებლობასაც ვერ ხედავს. სკოლისთვის დასათმობ დროს ისინი ფულის შეგროვებისთვის და ოჯახის რჩენისთვის იყენებენ, განათლების გარეშე დარჩენილი თაობა კი რუტინულად წინაპართა ბედს იზიარებს. გარდა იმისა რომ საშინელ სიღარიბეში უწყვეტ ცხოვრება აქვთ ენის ბარიერი და ამას დამატებული საიდენტიფიკაციო დოკუმენტის არ ქონის გამო ისინი საშუალო განათლების მიღებასაც ვერ ახერხებენ. სახალხო დამცველის ანგარიშში ჯერ კიდევ 2010 წელს იყო რეკომენდაცია იმისა რომ უნდა ეზრუნათ ბოშა ბავშვების განათლებაზე, თუმცა ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია. მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების არ არსებობა არამარტო განათლების მიღების ბარიერს ქმნის არამენ ჯანდაცვის და სხვა სახელმწიფო ბენეფიტების. მაგალითად როდესაც საჭიროა სამედიცინო მომსახურება და ყველა სამედიცინო დაწესებულება ითხოვს სათანადო მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტაციას.

საქართველოსგან განსხვავებული მდგომარეობაა ევროპის ქვეყნებში, სადაც ბოშები საკუთარი ძალებით ცდილობენ აღმოფხვრან მათი შვილების დისკრიმინაცია და მიიღონ სათანადო განათლება, როგორც ზემოთ ავღნისნე ხორვა-

ტიში ისინი საკუთარი ძალებით ცდილობენ დაიცვან შვილები დისკრიმინაციისგან და მისცენ სათანადო განთლება.

მოქალაქეობის არ ქონა არამარტო პირების პრობლემაა, არამედ სახელმწიფოსიც. ამიტომ პრიორიტეტი უნდა იყოს მათთვის მოქალაქეობის მინიჭება, განსაკუთრებულად რთულია საკითხის გადაჭრა როდესაც სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პირის ასაკს. მოქალაქეობის არ მქონე პირების შემთხვევაში, რთულია ამ საკითხის გადაჭრა სპეციალური ექსპერტიზის გარეშე, რომელმაც უნდა დაადგინოს პირის ზუსტი ასაკი წინააღმდეგ შემთხვევაში მას ვერ დავაკისრებთ პასუხისმგებლობას. სამართალწარმოებისას ჩნდება დიდი პრობლემა ვინაობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია ვინაიდან არ არსებობს მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი და უცნობია სახელიც კი. ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ქმედითი ნაბიჯები და უზრუნველყოს რომ მოქალაქეობის არ მქონე პირების შესწავლა დაიწყოს. იშვიათია ასაკის დადგენისას ექსპერტმა ზუსტად განსაზღვროს იგი ამიტომ არსებობს რისკი რომ ასეთი ბავშვები განმეორებით ჩაიდენენ დანაშაულს. სახელმწიფოსგან ძალიან დიდ რესურსს მოითხოვს მათთვის სათანადო პირობების შექმნა მაგრამ ჩემი აზრით, მათი რეგისტრაციის გარეშე ყოფნისას სახელმწიფო უფრო მეტად ზარალდება. არსებობს მეორე თვალსაზრისი როგორც უნდა ვაიმულოთ მათ გახდნენ მოქალაქეები, მართალია იუსტიციის სამინისტროს

რეფორმის შედეგან მათ შეუძლიათ გამარტივებულად მიიღონ მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტები, მაგრამ ისინი თავად ამბობენ უარს, მიაჩნიათ რომ ასე უკეთ ცხოვრობენ და სახელმწიფოს მხრიდან ვერც ერთი კანონიერი გზით არ იქნება ჩარევა მართლებული მიიღონ მოქალაქეობა ნების საწინააღმდეგოდ. ალბათ ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალია, მათი დარწმუნება, სწორი აქცენტების გაკეთება, იმ სიკეთის მიღების პირობა რაც მათ ელოდებათ მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში. იმედია რამდენიმე წლის შემდეგ მსგავსი პრობლემა აღარ იარსებებს და ყველა ბავშვს ექნება მოქალაქეობა, სრულფასოვანი ცხოვრების გარანტია.

## ბავშვთა იძულებითი შრომა და ექსპლუატაცია

ნინო ყაველაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლი-  
სა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის  
მე-2 კურსის სტუდენტი*

„ბავშვებისადმი მცირეოდენი სიყვარული გამოავლი-  
ნეთ და სანაცვლოდ უსაზღვრო სიყვარულს მიიღებთ მის-  
გან”, - სწორედ ამ სიტყვებით იწყებს ჯონ რასკინი საუბარს,  
როდესაც ეხება ბავშვთა აღმზრდელობით საკითხებს. მსოფ-  
ლიოში უამრავი მაგალითია იმისა, თუ როგორი უსამარ-  
თლობის მსხვერპლნი არიან ბავშვები.

ადამიანები საუბრობენ საკითხებზე, რომლებიც არ-  
ღვევს ბავშვთა უფლებებს, თუმცა ისინი მხოლოდ ლაპარაკო-  
ბენ და განიხილავენ ისე, თითქოს ეს მათ არ ეხებათ, მათი  
პრობლემა არ არის. როგორც ვიცით, ბავშვები მიმზადველი  
არსებები არიან, განსაკუთრებით 6 წლამდე, აქედან გამომ-  
დინარე, შეიძლება ითქვას, რომ რასაც ბავშვი ხედავს მის  
გარშემო იმავეს იმეორებს და ითვისებს. საზოგადოებას სასი-  
ცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ჩამოყალი-  
ბების პროცესში. სწორედ ეს საზოგადოება უნდა შეეცადოს,  
რომ არ დაარღვიოს მათი უფლებები და მოიქცეს ისე, რომ სა-  
მაგალითო იყოს მოზარდისთვის, მისი მომავლის ჩამოყალი-  
ბებისას. რეალობიდან გამომდინარე, რომელიც მეტყველებს  
ბავშვთა მიმართ ჩადენილ უამრავ უსამართლობაზე, ძალა-  
დობაზე, ექსპლუატაციაზე, დისკრიმინაციაზე, იძულებით



შრომაზე და ა.შ., რიგმა სახელმწიფოებმა საჭიროდ ჩათვა-  
ლეს, რომ მიეღოთ და შეემუშავებინათ დოკუმენტი აღჭურ-  
ვილი ისეთი მექანიზმებით, რომელიც აღმოფხვრიდა ზემოთ  
ჩამოთვლილ პრობლემებს და დაიცავდა მათ უფლებებს.

ბავშვები ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ადამიანის  
უფლებების სრული სპექტრით სარგებლობენ, რომლებიც  
გარანტირებულია სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმებით  
აღჭურვილ დოკუმენტებში. „ბავშვთა უფლებათა კონვენ-  
ცია“, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბის იურიდი-  
ულ დოკუმენტს, მიღებულ იქნა 1989 წელს გაეროს გენერა-  
ლური ასამბლეის მიერ. კონვენციაში ჩამოყალიბებულია  
ბავშვთა სამოქალაქო და სოციალური უფლებები, ამასთანა-  
ვე, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებიც. მასში მოცე-  
მული საკითხებით რეგულირდება ბავშვთა უფლებები მათი  
სიცოცხლის და გადარჩენის შესახებ, რომ მათ აქვთ განათ-  
ლების უფლება, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობე-  
ბის გამოვლენის უფლება, მათ აქვთ უფლება დაცული იყ-  
ვნენ ექსპლუატაციისგან, ომისგან, აგრესიისგან, რომ გააჩ-  
ნდეთ საკუთარი აზრი და თავისუფლად გამოხატონ შეხე-  
დულებები.<sup>100</sup> ეს მხოლოდ თეორიულ მსჯელობას არ წარმო-  
ადგენს, სხვადასხვა ქვეყნებში გატარებულია უკვე ის მექა-  
ნიზმები, რომლებიც ამ უფლების დასაცავად მოქმედებენ,  
მათ პრიორიტეტულ მიზნად აქვთ დასახული ბავშვთა უფ-  
ლებების აღიარება და ამასთანავე მათი დაცვა. კონვენცია

---

<sup>100</sup> საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე  
საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/4/532,533, 8 ოქტომბერი,  
2014.

აწესებს ყველა ქვეყნისთვის მკაცრ და რელიგანტურ სტანდარტებს, მათი სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული დამახასიათებელი რეალობიდან გამომდინარე. ამ დოკუმენტმა ფაქტობრივად, ბავშვები გახადა არა როგორც ქველმოქმედების ობიექტი, არამედ ის უშუალო სუბიექტი, რომელსაც გააჩნია ინდივიდუალური და დამოუკიდებელი უფლებები სხვადასხვა სფეროში.<sup>101</sup>

ბავშვთა უფლებებმა მსოფლიო უფრო ჰუმანური გახადა, ვიდრე აქამდე იყო, ასევე, დიდი წვლილი შეიტანა სხვადასხვა სისტემების მოდერნიზების საქმეში. ადამიანის უფლებებს, რომელსაც ეფუძნება ბავშვთა უფლებები, საკმაოდ დიდხნიანი ისტორია აქვს, მათ წინამორბედად გვევლინება მსოფლიო ფილოსოფია და უდიდესი რელიგიები. ამ უფლებათა მიზანს წარმოადგენს მსოფლიოში ჰუმანურობის დაცვა და შენარჩუნება, ისინი ხმამაღლა აღიარებენ: არა ჩავვრას, არა დისკრიმინაციას, არა იძულებას, არა ძალადობას!<sup>102</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენ დღეს ვერ დავასახელებთ სახელმწიფოს, სადაც ბავშვთა უფლებები სრულიად დაცულია და არ ირღვევა. ისინი ირღვევა ბავშვთა ძირითადი უფლებების თითქმის ყველა ქრილში, მაგალითისთვის, მოზარდთა იძულებითი შრომა. იბადება კითხვა-რატომ უწევთ არასრულწლოვან ბავშვებს მუშაობა? მათი მუშაობა ხდება როგორც ნებით, ასევე, იძულებით. რა შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი ბავშვების ნებით მუშაობას მცირეწლოვნობის ასაკში? ისინი საკმარისად კარგად ვერ იაზრებენ არსე-

---

<sup>101</sup> „ბავშვთა უფლებების შესახებ“ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია.

<sup>102</sup> იხ. იქვე., მუხლი 2.

ბულ რეალობას, თუ რა ხდება მათ ოჯახში, რა მდგომარეობაში უწევთ ყოფნა და ა.შ. ამის მიუხედავად, ისინი ცდილობენ საკუთარი შეგნებიდან გამომდინარე, დაეხმარონ ოჯახის წევრებს მატერიალურად, საკუთარი მხრებით. აღნიშნულის გამომწვევი მთავარი მიზეზი, ოჯახის მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირეა. საკითხს თუ ჩავუღრმავდეთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამ პრობლემის ერთადერთ, ძირითად და მთავარ მიზეზს წარმოადგენს ქვეყნის სათავეში მდგომი ხელისუფლება. მთავრობა, რომელიც არ ზრუნავს თავისი ქვეყნის მოსახლეობაზე, არ არის საკმარისი სამუშაო ადგილები და სხვ. ბავშვები თავს ანებებენ განათლებას, შორდებიან თანატოლებს, ამხანაგებს. ყველაზე ცუდი და მძიმე საკითხია ის, როცა ბავშვი საჭიროზე ადრე ანებებს თავს განათლებას. მოზარდისათვის საბაზისო განათლება უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია, ისინი უნდა ღებულობდნენ ახალ ინფორმაციას, ახერხებდნენ საზოგადოებაში ინტეგრაციას და თავის დამკვიდრებას სწავლობდნენ იმისთვის, რათა აიშენონ მომავალი, ჩამოყალიბდნენ და მიაღწიონ განვითარების იმ ზენიტს, რომ თავად შეძლონ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და ბრძოლა ამ დაუნდობელ და კონკურენციით სავსე სამყაროში. ამ ყველაფრის არ ქონა კი მათ პიროვნულ განუვითარებლობაზე მიანიშნებს. ბავშვს სრული უფლება აქვს, რომ მიიღოს განათლება, რომლის უფლებასაც მას კონსტიტუცია ანიჭებს. მისი არ ქონა კი უკვე დანაშაულია საზოგადოების, რომელიც ამ ყველაფერში მონაწილეობს. დამატებით ობიექტურ დამნაშავეთა წრეს წარმოადგენს სკოლა, მასწავლებელი, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ მოზარ-

დთა განვითარების საკითხში. ისინი არ ცდილობენ გამოიკვლიონ ბავშვის პრობლემები, მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში კი, მიმართონ შესაბამის უწყებებს, სწორედ ეს ეტაპი წარმოადგენს ამ მწვავე საკითხის ერთ-ერთ მაპრევენციურებელ გარემოებას. არის თუ არა სიღარიბე არასრულწლოვანთა დასაქმების ერთ-ერთ მთავარი მიზეზი? სარისკო სამუშაოებისკენ ბავშვებს როგორც წესი სიღარიბე უბიძგებს. მომუშავე ბავშვების მშობლები ხშირად უმუშევარი მშობლები არიან, რომლებიც ათასგვარ ძალადობას ახორციელებენ მათზე. ისინი აიძულებენ ბავშვებს სახლიდან საათობით გავიდნენ და ლუკმა პურის ფული იშოვონ, რაც გამოიხატება ასევე, შემდგომ ძალადობაშიც. მოზარდები იძულებული ხდებიან დათანხმდნენ ისეთ სამსახურს, რომელიც მათი როგორც ფიზიკური, ასევე, ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რთულია, თუმცა მათ იციან, რომ დღის ბოლოს შესაძლოა უფრო მკაცრი ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, ამიტომ, ისინი ეგუებიან ამ რთულ გარემოს და უთქმელად ასრულებენ ყოველგვარ სამუშაოს. მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვებს ძალიან ცოტას უხდიან, ან სართოდ არ უხდიან. სამუშაოსთან დაკავშირებული უამრავი მოთხოვნები მათი უფროსების მითითებებზეა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში ისინი არც ფიზიკური და სექსუალური ძალადობისაგან არიან დაცულები. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს კიდევ დამატებითი მიზეზები თუ რისთვისაც შეიძლება ამუშავებდნენ არასრულწლოვნებს იძულებით მათი დამსაქმებლები.

რაც შეეხება ადამიანების კომერციული მიზნების-  
თვის ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციას, ეს უკანასკნე-  
ლიც ერთგვარ სამუშაოს წარმოადგენს ბავშვებში, განსაკუთ-  
რებით გოგონებში. ყოველ წელს ათასობის გოგონა ხდება  
სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი.<sup>103</sup> ყველაზე და-  
მამძიმებელ მდგომარეობას კი ის წარმოადგენს, რომ არას-  
რულწლოვანი გოგონები, რომლებსაც სექსუალური ექსპლუ-  
ატაციის გზით აიძულებენ მუშაობას, ვერ ახერხებენ ფიზი-  
ოლოგიურად ბოლომდე ჩამოყალიბებას, რაც შემდგომ მათ  
ჯანმრთელობაზე აისახება.<sup>104</sup> მნიშვნელოვანი როლი ამ შემ-  
თხვევაშიც აკისრია სახელმწიფო აპარატებს და მათ თანამ-  
შრომლებს, რომლებმაც უნდა შეისწავლონ ბავშვთა მიმართ  
სავარაუდო მძიმე ექსპლუატაცია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროცენტულად  
დიდი ოდენობით ბავშვებს იყენებენ როგორც სამრეწველო,  
ასევე პლანტაციების მუშებად, გაუსადლის სიცხეებში და აუ-  
ტანელ პირობებში.<sup>105</sup> მათი დასაქმება ხდება როგორც ქვეყნის  
შიგნით, ასევე, საზღვრებს გარეთაც. მოზარდებს ამ შემთხვე-  
ვაში იმდენად საშიშ ადგილებში უწევთ მუშაობა, რომ ხში-  
რად ხდებიან სხვადასხვა დაავადების მატარებელნი. შესაბა-  
მისად, პრობლემის თავი და თავი ის სტრუქტურებია, რომ-  
ლებიც არ ახდენენ ბავშვთა უფლებების დარღვევის აღმოჩე-  
ნას და აღმოფხვრას. უპირატესად მნიშვნელოვანია, რომ ქვე-

---

<sup>103</sup> <https://netgazeti.ge/news/346969/>

<sup>104</sup> იხ. იქვე.

<sup>105</sup> ნიკო ნიკოლაძის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო  
სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული., გურამ თავართქილაძის  
სასწავლო უნივერსიტეტი., თბ. 2013. გვ. 108.

ყანაში არსებობდეს შრომის პირობების ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმები და ასევე ინსპექცია, რომელიც მიმართული იქნება მსგავსი ფაქტების გამომჟღავნებაზე, რეაგირებაზე და პრევენციაზე. არის საკითხი, რომელიც ასევე, აიძულებს ბავშვს გამოვიდეს ქუჩაში სამუშაოდ, ეს არის ოჯახის რთული მდგომარეობა, როდესაც მოზარდი ფიქრობს, რომ გარეთ უკეთეს სიტუაციაში იქნება ვიდრე სახლში. თუმცა, საბოლოოდ აღმოაჩენენ, რომ გარეთ უფრო დიდი საფრთხის და შეურაცხყოფის ქვეშ იმყოფებიან. გარეთ გასულ მომუშავე ახალგაზრდებს ათასი უბედურება ხვდებათ თვალწინ. ისინი ხდებიან ბულინგის მსხვერპლი, ისმენენ ათას შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სიტყვებს. ეს ის დიდი პრობლემაა, რომელიც წარმოშობს უფრო დიდ პრობლემას, რასაც სუიციდი ჰქვია. სუიციდი იმის გამო, რომ მათ უწევთ იძულებით გააკეთონ ის, რაც მათ არ სწადიათ. ვეღარ ახერხებენ ფიზიკურად გაუმკლავდნენ იმ სამუშაოს, რომელსაც ასრულებენ, იღლებიან არსებულთ და ფიქრობენ, რომ გამოსავალი ერთ რამეშია, მოისპონ სიცოცხლე და მოწყდნენ ამ საშინელ რეალობას სამუდამოდ. მოზარდების ფიზიოლოგიური განუვითარებლობის სტადია, პერიოდი, როდესაც ბავშვი იზრდება, ვითარდება, ყალიბდება. ეს ასაკი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია მათ შემდგომ განვითარებისთვის. ხოლო. როდესაც ამ ჩამოყალიბების ასაკში იგი იწყებს ისეთი სამუშაოების შესრულებას, რომელიც მისი ორგანიზმისთვის უცხო ხილს წარმოადგენს, პრობლემები ჩნდება, რომლის მოგვარების აღბათობაც შემდგომ ძალიან მცირეა. ბავშვი ასრულებს ისეთ სამუშაოებს, რომლებიც საშიშია მისი ჯანმრთელობისათვის.

უმრავლეს შემთხვევაში მოზარდები ვერ ხვდებიან რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენს მათ ასაკში ფიზიკური მუშაობა. ამგვარი სახის ექსპლუატაცია საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მათ ემოციურ განვითარებაზეც.

დღესდღეობით მრავალი ორგანიზაციაა ჩამოყალიბებული, რათა აღმოფხვრას მსგავსი პრობლემები. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გამოწვევას წარმოადგენს ბრძოლა ბავშვთა შრომის წინააღმდეგ. მათი სამართლებრივი ინსტიტუტები თვლიან, რომ ეს საკითხი წარმოადგენს დაუძლეველ პრობლემას მთელს მსოფლიოში, ასევე, საქართველოშიც, სადაც სიტუაციას ამძიმებს ქვეყნის გაუართავი საკანონმდებლო ბაზა და ამ საკითხზე მომუშავე სუსტი ინსტიტუტები. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა იძულებითი შრომა ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, საზოგადოებაში არიან ბავშვები, რომლებიც თავისი მთელი არსებით ჩართულნი არიან მძიმე ფიზიკურ შრომის ფორმებში, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა, სამშენებლო საქმეები და ა.შ. საქართველოში ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა იმისა, რომ დამსაქმებლებს არასრულწლოვნები გაჰყავთ ქვეყნის გარეთ და ამუშავენ მათ ანაზღაურების გარეშე მძიმე პირობებში, ახორციელებენ მათზე ფიზიკურ ძალადობას, დამცირებას, ტერორს, გოგონებზე ახორციელებენ სექსუალურ ექსპლუატაციას, რომლის შედეგადაც ილუპება ბევრი ახალგაზრდა, ან მრავალი მათგანი სიცოცხლეს სუიციდით ასრულებს. საქართველოს მაგალითზე თუ ვისაუბრებთ, ყველაზე მძიმე შედეგი გურიისა და აჭარის რეგიონებში ფიქრიდება, საიდანაც მოზარდები ან საზღვარგარეთ გაჰყავთ სამუშაოდ, ან ად-

გილზე ამუშავებენ ყოველგვარი ადამიანური პირობების გარეშე.<sup>106</sup> სწორედ ეს ბავშვები, რომლებიც მსგავსი სამუშაოებით არიან დაკავებულნი, არ აქვთ მშობლის თანხმობა. თავიდან ისინი საკუთარი ნებით იღებენ გადაწყვეტილებას, მაგრამ როდესაც აღმოაჩენენ, რომ საქმე უფრო სერიოზულადაა, ვიდრე ეს მათ ეგონათ, უკვე გვიანია. ისინი დგანან აშკარა ძალადობის და იძულების თვალწინ, პრობლემის თვალწინ რომელსაც მარტო და დამოუკიდებლად ვერ აღმოფხვრიან.

„ბავშვთა უფლებათა კონვენცია“, მოზარდებს ანიჭებს იმის უფლებას, რომ დაცული იყვნენ ყოველგვარი ეკონომიკური ექსპლუატაციისგან,<sup>107</sup> ფიზიკური შრომისგან, რომელიც ხელს უშლის მათ ჯანსაღი ცხოვრების წარმართვაში. მინდა დავამატო, რომ ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილი უნდა მიუძღვოდეს სახალხო დამცველს, რომლის როლიც საკმაოდ დიდია, სწორედ მის ფუნქციას წარმოადგენს სიტუაციის შესწავლა, მათზე რეაგირება და შესაბამისად, საჭირო რეკომენდაციების შემუშავება შემდგომ საკანონმდებლო ორგანოებისთვის. მიუხედავად ბოლო დროს გატარებული პოლიტიკური ცვლილებებისა, ქვეყანას არ გააჩნია მყარი პოლიტიკა ბავშვთა იძულებითი შრომის წინააღმდეგ, ქვეყანა ვერ ახერხებს შიდა კანონმდებლობით შესაბამისობაში მოიყვანოს გაეროს ბავშვთა დაცვის კონვენციასთან. ბავშვთა იძულებითი თუ ნებელობითი შრომა წარმოადგენს სიღარიბეში მუდმივად ჩარჩენის გარანტს. მხოლოდ გა-

---

<sup>106</sup>[http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty\\_reduction/agriculture-development-in-ajara.html](http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty_reduction/agriculture-development-in-ajara.html)

<sup>107</sup> „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის 32-ე მუხლი.



ნათლებულ ბავშვს შეუძლია დააღწიოს თავი სიღარიბეს და იცხოვროს იმ ღირსეული ცხოვრებით, რომელსაც ის იმსახურებს.

სახალხო დამცველის ანგარიშში ხშირად ვაწყდებით თემას, სადაც იგი ასახავს დღევანდელ მდგომარეობას ამ საკითხის სიმწვავესთან დაკავშირებით და ამბობს, რომ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა ვერ ახორციელებს საჭირო ბერკეტებს, რათა აღმოფხვრას ეს პრობლემა. პროცენტულ მაჩვენებელს თუ გადავავლებთ თვალს, ნახავთ რომ 64 პროცენტი მოზარდებისა ეწევა სახიფათო შრომით საქმიანობას.<sup>108</sup> საქართველოში არსებული კოალიციები, რომლებიც შექმნილნი არიან ბავშვთა უფლებების დასაცავად, აცხადებენ, რომ პრევენცია უნდა მოხდეს ბავშვთა ადრეულ ასაკში სკოლის მიტოვების, მთავრობამ კი უფრო მოქნილი და მგრძობიარე მექანიზმები უნდა შეიმუშაოს, რათა არ დაირღვეს კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებები. ბავშვებს აქვთ შრომის უფლება, რაც დაშვებული და შემუშავებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით, თუმცა „ბავშვთა შრომა“ არ ნიშნავს მათ გამოყენებას თითქოს ისინი მონები არიან, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უნდა დასაქმდნენ ისეთ სამსახურში, რომელიც მათი განვითარების დონეს სცდება. საქართველოში მცხოვრები 5-დან 17 წლამდე მცხოვრები ბავშვების დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი უდრის 5-ს. ყოველი მე-5 ბავშვი

---

<sup>108</sup> <https://netgazeti.ge/news/142161/>

კი, სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.<sup>109</sup> ასევე, 16 ათასამდე ბავშვია ჩართული ისეთ სამუშაოებში, რომელთა შესრულებაც მათთვის აკრძალულია. ამ ბავშვებიდან უმეტესობა მუშაობს ხმაურის ან ვიბრაციის ფონზე, უკიდურეს სიციხეში და სიცივეში.<sup>110</sup>

აღსაღნიშნავია ის გარემოებაც, რომ ბავშვთა შრომაში ჩართულობის კოეფიციენტი არც ისე მაღალია, სხვა ქვეყნებთან შედარებით. განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც შრომის ინსპექცია შეიქმნა, ქვეყანაში ბავშვთა შრომის უფლებების დარღვევის ფაქტებმა, დიდი ალბათობით, არსებითად იკლო. რაც შეეხება ქუჩაში მომუშავე ბავშვებს, ეს უკანასკნელი გამომდინარეობს იქიდან, რომ ბავშვები ოჯახში განიცდიან ძალადობას, მათზე ახდენენ როგორც ფიზიკურ, ასევე, ფსიქოლოგიურ ძალადობას. ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის, საჭიროებს სიყვარულსა და გაგებას. იგი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა იზრდებოდეს მშობლების ყურადღებისა და პასუხისმგებლობის ქვეშ და, ნებისმიერ შემთხვევაში, სიყვარულისა და მორალური თუ მატერიალური დაცვის ატმოსფეროში; მცირეწლოვანი ბავშვი, განსაკუთრებული გარემოებების გარდა, არ უნდა იქნას დედისაგან დაშორებული. საზოგადოებასა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ ოჯახისა და საარსებო საშუალებების გარეშე დარჩენილ ბავშვებზე ზრუნვა. სახელმწიფოს მხრიდან სასურველია მრავალშვი-

---

<sup>109</sup> <http://liberali.ge/news/view/26015/UNICEF-saqartveloshi-yoveli-mekhute-bavshvi-sigharibis-zghvars-mighma-tskhovrobs>

<sup>110</sup> იხ. იქვე.

ლიანი ოჯახებისათვის ფინანსური და სხვაგვარი დახმარების აღმოჩენა.<sup>111</sup> შეუძლებელია აღმოფხვრილ იქნეს არასრულწლოვან ბავშვთა დასაქმების პრობლემა, მანამ, სანამ არ იქნება გამოვლენილი რიგი პრობლემები, როგორც სკოლაში, ასევე, ოჯახში და იმ გარემოში, სადაც ბავშვი თანატოლებთან ერთად იზრდება. არასრულწლოვან ბავშვთა იძულებითი შრომა და ექსპლუატაცია, სრულყოფილად არაა შესწავლილი. არ არსებობს მექანიზმები, რომელიც ამ პრობლემას გადაწყვეტს.

---

<sup>111</sup> <https://rm.coe.int/1680495967>

## ოჯახური ძალადობა ბავშვთა უფლებების ჭრილში

ვაჟა ნიბლიაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი*

ადამიანის უფლებები ჯავშანივითაა, ის გიცავთ თქვენ, ისინი წესებივით მოქმედებს, რადგანაც ის გეუბნებათ თქვენ, როგორ მოიქცეთ. მოსამართლეებივით არიან, რადგანაც შეგიძლიათ მიმართოთ მათ. ისინი აბსტრაქტულია-ემოციების მსგავსად, ეკუთვნის ყველას და არსებობენ ყველაფრის მიუხედავად. ადამიანის უფლებები ბუნებას ჰგავს, რადგანაც შეიძლება ხელყოფილ იქნას, ასევე, ჰგავს სულს, რადგანაც არ შეიძლება განადგურდეს. დროის მსგავსად, ჩვენ ყველას ერთნაირად გვხვება-მდიდრებს და ღარიბებს, მოხუცებს და ახალგაზრდებს, მალლებს და დაბლებს. პატივს გვცემენ ჩვენ და გვავალებენ პატივისცემით მოვეკიდოთ სხვებს. სიკეთის, ჭემშარიტებისა და სამართლიანობის მსგავსად, საზოგადოება ვერ თანხმდება მის განსაზღვრებაზე, თუმცა ვალიარებთ მას, როდესაც ვხედავთ.<sup>112</sup> არ უნდა დაგვავიწყდეს,

---

<sup>112</sup> Garzon Valdes „Confusiones acerca da la relevancia moral de la diversidad cultural“ CLAVES de Razon Practica, No. 74, Madrid, Julio/Agosto, 1997

რომ ადამიანის უფლებები იწყება ბავშვის უფლებებით, “არ არსებობენ ბავშვები არსებობენ-ადამიანები”.<sup>113</sup>

საქართველოში ბოლო სამი ათასწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და გარდატეხა მოხდა, რამაც რა თქმა უნდა ადამიანებზე თავისებური ზეგავლენა მოახდინა, გამოიწვია უამრავი პრობლემები, გაჭირვება, კრიმინალი, არეულობა, შესაბამისად, იჩინა თავი უამრავმა პრობლემამ, მაგალითად, გახშირდა ოჯახური ძალადობა და საჭირო გახდა მისი აღმოფხვრა პრევენციის გზით. სიტყვა „ოჯახი“ ასოცირდება კომფორტულ, წყნარ, მშვიდ გარემოსთან. ადამიანი სადაც არ უნდა იმყოფებოდეს მისთვის პრიორიტეტი ზუსტადაც რომ ოჯახია. ოჯახი არის ადგილი, სადაც აღიზრდება ადამიანი ხდება მისი განვითარება. სამწუხაროდ, ბოლო წლებში განმავლობაში, ოჯახი იქცა „ძალადობის“ კერად. როდესაც ხდება ოჯახური ძალადობა, ხშირ შემთხვევაში მსხვერპლნი არიან ბავშვები, მაგრამ ეს ხდება ლატენტურად, რადგან, საზოგადოებას დახურული აქვს ღიაობის და გახსნილობის „კარი“, როდესაც საკითხი ეხება ძალადობას. უყურადღებოდ რჩება ის გარემოება, რომ საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, არსებობას და ყველა იმ ძირითად უფლებას, რომელიც გააჩნია ადამიანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ბავშვებს, რომლებიც განიცდიან ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ და კიდევ უამრავ ძალადობას, რაც ფატალურ შედეგებს იწვევს მათში სამომავლოდ და შემდგომში განვითარებას უშლის ხელს. ბავშვის მი-

---

<sup>113</sup> Janusz Korczak., *The Child's Right to Respect.*, Council of Europe Publishing., See: <https://rm.coe.int/janusz-korczak-the-child-s-right-to-respect/16807ba985>

მართ ძალადობრივი ქცევა შეიძლება იყოს ერთჯერედა აქტი, როგორცაა ცემა, ბავშვის ტირილის შეწყვეტის ან დაუმორჩილებლობის მიზნით. ფსიქოლოგიური ზეწოლა შეიძლება იყოს მუქარა, დაცინვა და სხვ., რაც შემდგომში ძალიან ცუდ შედეგებს იწვევს მათში, რადგან ბავშვები მიმართავენ სუიციდს, ან ხდებიან პოტენციური მოძალადეები.

სექსუალური ძალადობა, ბავშვის მიმართ გამოიყენება სექსუალური მიზნებისათვის, სხეულით ვაჭრობა, პორნოგრაფიული ფილმებისა ყურების იძულება, გაუპატიურება და ა.შ

ასევე, უგულბელებოვა ნიშნავს ბავშვისთვის აუცილებელი საკვების არ მიცემას, სასმელის წყლის არ მიწოდება, საჭირო ნივთებისა და საგნების მიცემაზე უარის თქმა. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები კი არის სიღარიბე, ფსიქური გაუწონასწორობა, დომინანტობის სურვილი ოჯახის წევრთა შორის და სხვ. ძალადობის შედეგები ისევე არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს, როგორც მისი გამომწვევი მიზეზები, მაგრამ პოზიტიური შედეგის არ ქონა ამ შემთხვევაში პირდაპირ გულისხმობს უარყოფით და ნეგატიურ მდგომარეობას. სპეციალისტთა მტკიცებით, ბავშვთა მიმართ ძალადობა უკვალოდ არ ქრება, შედეგად ხშირად ვიღებთ სიკვდილს სკოლამდელ ასაკში, მომავლის შიშს, კონფლიქტებს, აგრესიულობას, უვითარდებათ დაბალი თვითშეფასება, ეძლევიან ალკოჰოლს, ექცევიან კრიმინალური სამყაროს გარემოცვაში, მისდევენ პროსტიტუციას, უმეტეს შემთხვევაში

თავადაც ხდებიან მოძალადენი.<sup>114</sup> ქალების შეთმხვევაში, ისინი პოტენციური მოძალადეები ხდებიან შვილების მიმართ, კარგავენ საკუთარი თავის რწმენას, აქვთ მარტოობის და უსმართლობის განცდა. ერთად ან ცალ-ცალკე გამოხატული ყველა ეს შედეგი მნიშვნელოვან ადამიანური რესურსის გაფლანგვა და არაჰუმანური საზოგადოების სიმპოტომატიკაა.

ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება – მისი ის ბუნებითი უფულებები,<sup>115</sup> რაც ადამიანს დაბადებისთანავე წარმოეშობა. ასევე, ილახება მისი კონსტიტუციით უშუალოდ მინიჭებული ძირითადი უფლებები, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია, რაც აშკარად ირღვევა ბავშვზე ძალადობის დროს, როდესაც ხდება მისთვის შეურაცხყოფის მიყენება, დამცირება. უშუალოდ ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით გარანტირებული სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, როდესაც ხდება მასზე ფიზიკური ძალადობა. ირღვევა ადამიანის თავისუფლება, თუ ვერ ხდება მისი თავისუფლად გადაადგილება, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიხედვით, დედათა და ბავშვთა უფლებებს იცავს კანონი, თუმცა მაინც ხდება ოჯახური ძალადობა და ბავშვები ხდებიან მსხვერპლნი. გარდა ამისა, ბავშვთა უფლებები დაცულია „ბავშვის უფლებათა კოდექსით“, რომლის მიზანია ბავშვის კეთილ-

---

<sup>114</sup> ახდენენ რა იდენტიფიცირებას მოძალადესთან.

<sup>115</sup> მაგ: ბედნიერების, სამართლიანობის, თავისუფლების უფლება და სხვ.

დღეობის უზრუნველყოფა.<sup>116</sup> გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმაც აჩვენა, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები.<sup>117</sup> საგანგაშოა ძალადობაზე გაეროს ბავშვთა ფონდისა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული კვლევის შედეგები.<sup>118</sup> გამოკითხულთა 45% ბავშვთა მიმართ ფიზიკურ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს, ხოლო 60%-სთვის ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდები შედეგიანია, – ასეთია იმ კვლევის შედეგები, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF-მა) საქართველოში ჩაატარა.<sup>119</sup> ამავე კვლევის მიხედვით, ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალთა (მასწავლებლების, მანდატურების და სოციალური მუშაკების) 60%-ის აზრით, ოჯახში არსებული ძალადობა მათი პირადი საქმე არ არის და სხვები არ უნდა ერეოდნენ, ასევე, 38%-მა არ იცის შესაბამის ორგანოებთან მიმართვის ფორმების შესახებ.<sup>120</sup> კვლევის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით 3284 ოჯახი და 61 პროფესიონალი, მათ შორის მასწავლებლები, მანდა-

---

<sup>116</sup> „ბავშვთა უფლებების შესახებ“ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

<sup>117</sup> <https://www.unicef.org/georgia/media/2066/file>

<sup>118</sup> <https://www.unicef.org/georgia/media/1186/file/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98.pdf>

<sup>119</sup> იხ. იქვე.

<sup>120</sup> იხ. იქვე.



ტურები და სოციალური მუშაკები გამოიკითხნენ.<sup>121</sup> საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ბავშვის მიმართ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემი კი, შედეგს ნათლად აღწერს.<sup>122</sup> ბავშვთა მიმართ ძალადობა 21-ე საუკუნეშიც აქტუალურ თემად რჩება. ჩვენმა ქვეყანამ, ბოლო წლებში უამრავი ნაბიჯი გადადგა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, თუმცა, სამწუხაროდ, შედეგები ვერ იქნა მიღწეული. სახელმწიფო პოლიტიკა სოციალური თუ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მიდრეკილია ბავშვთა უფლებების ავტონომიისაკენ. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია და ბავშვის უფლებების კონვენცია შეიცავს წინადადებას: „ბავშვს განსაკუთრებული მზრუნველობისა და დახმარების მიღების უფლება აქვს“.<sup>123</sup> შესაბამისად, ბავშვს განსაკუთრებული ყურადღება, მოპყრობა სჭირდებათ, რადგან ისინი „რისკის“ ქვეშ მყოფნი და პრობლემურნი არიან. კონვენციამდე და მათ შორის სხვადასხვა უფლებების მინიჭებამდე, ბავშვთა უფლებები განიხილებოდა, როგორც დაცვას დაქვემდებარებული კატეგორია, რომლის პროგრესირება შემდგომ მოხდა.

---

<sup>121</sup> <https://www.mes.gov.ge/content.php?id=9043&lang=geo>

<sup>122</sup> <https://fortuna.ge/fortuna/post/bavshvta-mimart-dzaladoba-da-sagangasho-statistika>

<sup>123</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ. 25-ე მუხლი; ბავშვის უფლებების კონვენცია, 1989 წ. პრეამბულა და მე-4 პუნქტი.

უფლებებთან დაკავშირებით, ერთ-ერთი საკვანძო კითხვაა, ვალდებულება ადამიანის უფლებას რამდენად შეესაბამება. არსებობს კონცეფცია, რომლის თანახმად, ის ვინც რამეს იღებს, სანაცვლოდ უნდა გასცეს.<sup>124</sup> მორალური და სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს მისაღები დებულებაა. თუმცა უფლებების სფეროში მდგომარეობა რა თქმა უნდა განსხვავებულია. ადამიანის უფლებები მინიჭებული არ არის ისინი უბრალოდ არსებობს, მათი აღიარების მიუხედავად.<sup>125</sup> სახელმწიფომ, როგორც ვალდებულების მატარებელმა უფლების აღიარებისთვის, მის დასაცავად და მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად მექანიზმები უნდა აამოქმედოს, მიუხედავად ამისა, ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, უფლების განხორციელება ვალდებულებას ამ უფლების სუბიექტსაც აკისრებს.<sup>126</sup> “ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის შესახებ” 1990 წლის აფრიკული ქარტია<sup>127</sup> 31-ე მუხლით განამტკიცებს ბავშვის ვალდებულებას „მისი ოჯახის და

---

<sup>124</sup> ნამიჭიშვილი ს., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში - სისტემის გაუმჯობესების რეკომენდაციები და განვითარების სამომავლო სტრატეგიები“, თბ. 2015. გვ. 19-20.

<sup>125</sup> იხ. იქვე., გვ. 20.

<sup>126</sup> M. Nowak, J. Klok and I. Schwarz (et al), Human Rights: Hand Book for Parliamentarian, No:8, 2005.

<sup>127</sup> „ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის შესახებ“ 1990 წლის აფრიკული ქარტია. იხ. <https://www.academia.edu/>

თემის, სახელმწიფოსა და სამართლებრივად ჩამოყალიბებული სხვა თემებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიმართ“, რაც უჩვეულო ფორმულიერებაა, ვინაიდან ჯერ მისი უფლებები რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს არ არის დაცული, რათა შემდგომ უკვე ვალდებულება შეასრულოს რადგან, თუ არ ექნება უფლებები ვერ იქნება მოვალეობები შესრულებული.

ყველა ადამიანის ღირსების პატივისცემის ნიადაგზე ბავშვთა უფლებების კონვენცია ბავშვს საკუთარი უფლებების მატარებლად აღიარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვის უფლებები არ არის წარმოებული მისი მშობლების ან სხვა ნებისმიერი ზრდასრული ადამიანის უფლებებიდან. სწორედ ეს არის ბავშვთა უფლებების კონცეფციის ფუძემდებლური პრინციპი, რომ ბავშვი როგორც ღირსების მატარებელი სუბიექტი და საზოგადოების სრულფასოვანი მოქალაქე, უფლებამოსილია, გააპროტესტოს და შეცვალოს მისთვის მიუღებელი დისკრიმინაციული მიდგომა და ქმედებები. საზოგადოებამ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს ბავშვების კეთილდღეობაზე ყოველთვის. “ნუთუ შესაძლებელია, არსებობდეს იმაზე წმინდა ვალდებულება, როგორცაა ბავშვის უფლებების დაცვის მოვალეობა ისევე გულმოდგინედ როგორც სხვა ნებისმიერი ადამიანის უფლებებს ვიცავთ, ნუთუ შესაძლებელია, არსებობდეს იმაზე დიდი გამოცდა ლიდერებისათვის, როგორცაა ყველა

ბავშვისათვის ამ თავისუფლებების უზრუნველყოფის ამოცანა ნებისმიერ ქვეყანაში, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ?!<sup>128</sup>

მართალია, ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ დასაშვებია ოჯახში ბავშვის აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება და რომ ძალადობის შემთხვევაშიც კი არ არის მიზანშეწონილი ოჯახის შიდა საქმეებში ჩარევა, მაგრამ საქართველოში გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ფიზიკური ძალადობა წარმოადგენს პრობლემას, რომელიც უნდა გადაიჭრას.<sup>129</sup> გავრცელებული ტოლერანტული დამოკიდებულება ფიზიკური სასჯელის, როგორც დისციპლინური მეთოდის მიმართ, დასტურია იმისა, რომ ასეთი პრაქტიკის შეცვლის ნება არსებობს. საქართველოს მოსახლეობის 29% მიიჩნევს, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე ბავშვთა მიმართ ძალადობა მზარდ პრობლემად იქცა. ეს მონაცემები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. ამ მოსაზრებას ეთანხმება შიდა ქართლის მოსახლეობის 61% , რაც ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მომდევნო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიღებულ იქნა თბილის-

---

<sup>128</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4---4---0-0l--11-en-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-OutfZz-8-10&cl=CL4.3&d=HASHfb846b36a6403d837daa38.12&gt=1>

<sup>129</sup> <https://www.unicef.org/georgia/media/2066/file>

სა (37%) და რაჭა-ქვემო სვანეთის რაიონში (35%).<sup>130</sup> ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე. მოსახლეობის 85% მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ უნდა აღიმრას სისხლის სამართლის საქმე. ძალადობის სხვა ფორმის შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულბელობა, უპირატესობა ენიჭება ძალადობის ჩამდენ პირთა რეაბილიტაციას/სამედიცინო მკურნალობას. ეს შედეგები ემთხვევა კვლევის სხვა შედეგებს, რომ, მაგალითად, საზოგადოება ძალადობის ყველა ფორმას ერთნაირად სერიოზულ დანაშაულად არ მიიჩნევს. ამკარაა, რომ სექსუალური ძალადობა უფრო სერიოზულ კრიმინალურ დანაშაულად ითვლება, ვიდრე ბავშვთა მიმართ ჩადენილი სხვა სახის ძალადობა.<sup>131</sup> ბავშვთა მიმართ ძალადობა არის ძალზედ მტკივნეული თემა, ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცივილიზაციამ განვითარების პიკს მიაღწია, მათ შორის განვითარდა ადამიანის გონება, მიეცა მეტი შესაძლებლობები იმისთვის რომ იყოს უფრო მეტად პროდუქტიული. ჩვენ ვცდილობთ ჩავებათ ევროპული ქვეყნების განვითარების ტემპში, მათ შორის გავხდეთ ერთ-

---

<sup>130</sup> იხ. იქვე.

<sup>131</sup> იხ. იქვე.

ერთი საუკეთესო წამყვანი ქვეყანა. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია, რომ საქართველოს არის სამართლებრივი სახელმწიფო, შესაბამისად, სამართლებრივ სახელმწიფოდ ვერ იქცევა ვერც ერთი ქვეყანა თუ ჩვენ ბავშვის უფლებებს ვერ დავიცავთ, რომელიც პრიორიტეტულია, რადგან სწორედაც რომ ის ბავშვი რომელიც გაიზრდება უნდა გახდეს ქვეყნის სახე, მომავალი თაობის წარმომადგენელი, რომელმაც უნდა ჩაუყოს საფუძველი საქართველო წინსვლას, უნდა ააღორძინოს ქვეყანა და აიღოს ხელში ქვეყნის მართვის სადავეები.

სახელმწიფოც თავის მხრივ ვალდებულია აამაღლოს საზოგადოებაში თვითშეგნება, ძალადობასთან საბრძოლველად, ან მომავალში პოტენციურად ძალადობის ასაცილებლად. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ბავშვები საჭიროებენ სპეციფიკურ მიდგომას. მნიშვნელოვანია და ხაზგასასმელია ეკლესიის როლი ამ კონკრეტულ საკითხში ვინაიდან სიყვარულის, სიმშვიდის, აგრესიისგან თავის შეკავების, საუკეთესო საშუალებები გააჩნია ეკლესიას, როგორც მორალური, ასევე, ადმინისტრაციული თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს სკოლებში სისტემატიური შეხვედრები და მათი მხრიდან მოწოდებები თუ რა შედეგების მომტანია ძალადობა. ამასთან, მნიშვნელოვანი რეფორმებია განსახორციელებელი განათლების სისტემის მხრივ, რადგან უამრავი სამარ-

თლებრივი ნორმით, დაცულია ბავშვთა უფლებები კანონიერად, რისი პრაქტიკაში სწორი აღსრულება უნდა მოხდეს. აგრეთვე, არსებითია მეტი ღიაობის, სისტემატიური მსჯელობის, მკაცრი პრევენციული ზომების მიღება და საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობა. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, 19 ნოემბერს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მსოფლიო დღე აღინიშნება. ეს იმის მანიშნებელია, რომ მსოფლიოსათვის ბავშვთა მიმართ ძალადობა უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა.

# მიუსაფარ ბავშვთა სოციალურ-სამართლებრივი პრობ- ლემები საქართველოში

გიორგი ბიჭიკაშვილი

*ივანე ჯავახიშვილი სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი*

დღევანდელ რეალობაში, მიუხედავად მსოფილიოს განვითარების სწრაფი ტემპისა, მაინც უამრავი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე დგას საზოგადოება. ერთი შეხედვით, სახელმწიფოების უმრავლესობას, საკანონმდებლო დონეზე იდეალურად აქვს მოწესრიგებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ასპექტი, თუმცა პრაქტიკაში ყველაფერი განსხვავებულია. ერთ-ერთი ასეთი საკითხი მიუსაფარი და ქუჩის ბავშვების არსებობაა ჩვენ გვერდით. განვითარებულ სახელმწიფოებშიც კი შეხვდებით არასრულწლოვნებს, რომლებიც ქუჩაში დგანან და მოწყალებას ითხოვენ, რაც სამწუხაროდ არა არის უცხო ჩვენი ქვეყნისთვისაც. დღის ნებისმიერ მონაკვეთში გადააწყდებით მცირეწლოვნებსაც კი, მოხეტიალეებს, იმ იმედით რომ ვინმე დახმარების ხელს გაუწვდით და საკვების ფულს მოაგროვებენ. ამ დროს, სწორედ ამ ასაკშია უმნიშვნელოვანესი, რომ მოზარდი მინიმუმ ნორმალური სოციალური პირობებით იყოს უზრუნველყოფილი, რაც ბევრ ასპექტს მოიცავს თავის თავში, მათ შორის სილატაკისგან დაცვას, ადეკვატური განათლების მიღებას, ჯანმრთელობის დაზღვევას,



საცხოვრებელი ადგილის ქონას და სხვ. მოზარდი, სწორედ, ასეთ უზრუნველყოფილ გარემოში უნდა იზრდებოდეს იმისთვის, რომ პიროვნებად ჩამოყალიბდეს და ჰქონდეს შეგრძნება, რომ საზოგადოების სრულფასოვანი წევრია, თუმცა დღესდღეობით ასეთი პირობების არქონა უამრავი არასრულწლოვანის პრობლემაა. მათ უწევთ, რომ იცხოვრონ საკმაოდ მძიმე და ბევრისთვის გაუსაძლის პირობებში, ყოველგვარი სოციალური მხარდაჭერის გარეშე, რაც მათ მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობასაც განაპირობებს. მათი ერთი ჩვეულებრივი დღე დაუღალავ ბრძოლას გულისხმობს იმისთვის, რომ გადარჩნენ, ამიტომაც, რომ ისინი მეტად აგრესიულები, ძალადობისკენ მიდრეკილები და ჩაკეტილები არიან. მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ არ იღებენ განათლებას, ამასთანავე, ასეთი მდგომარეობა მავნე ჩვევებსა და დამოკიდებულებებს იწვევს მათში, მაგალითად, ნარკოტიკები, აზარტული თამაშები, ალკოჰოლიზმი და ა.შ. ხშირად, საზოგადოებაც დაუნდობელია მათ მიმართ, ასეთ ბავშვებს ისე ეპყრობიან თითქოს არ იყვნენ სრულფასოვნები, უხეშები არიან მათთან. ბავშვებს კი ასეთი დამოკიდებულების დანახვა, ნიჰილიზმს უჩენთ ყველას და ყველაფრის მიმართ. ამით მათი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება, გამოსავალს კი ვერსად ხედავენ, გარდა ისეთი საშუალებისა, რაც საზიანოა არასრულწლოვანისთვის, უყალიბდებათ არასწორი და არასათანადო სამოქალაქო მარლთმეგენბა, რაც არაერთი დანაშაულის საფუძველიც კი შეიძლება გახდეს. ამიტომ არის აუცილებელი, რომ სახელმწიფომ გაატაროს რეფორმები, რათა თავიდან იქნას არიდებული მსგავსი შემთხვევები, თუმცა რეალურად,

არ არსებობს ერთიანი პრევენციული მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მეტად იქნება დარეგულირებული ეს საკითხი. არ გვაქვს სისტემური მიდგომა, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა ბავშვის კეთილდღეობა. მართალია, საქართველო წარმოადგენს „ბავშთა უფლებების შესახებ“ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს, ამასთან, მოქმედებს საქართველოს მთავრობის დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშთა ზრუნვის შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას, მათ თავშესაფარში მოთავსებას, ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასა და ინტეგრაციას, თუმცა, რეალობა სხვა არის, არცერთი ჩამოთვლილი პუნქტი არ სრულდება ისე, როგორც საჭიროა პრობლემის მოსაგვარებლად. საქართველო ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა სოციალური დაცვის უფლების რეალიზებას და შესაბამისად, ვერ პასუხობს ევროდირექტივების მოთხოვნებს, მნიშვნელოვან საერთაშორისო რეგულაციებს, რომლებიც ამ სფეროში ფუნდამენტს ქმნიან. დღემდე ათასობით ბავშვია უსახლკაროდ დარჩენილი, რისკის ქვეშაა მათი ჯანმრთელობა, არაერთი შემთხვევა ფიქსირდება მათი გარდაცვალებისა. სწორედ ამგვარი პირობების გამო, ბევრმა მათგანმა წერაკითხვაც კი არ იცის, არ იცის როგორ დაიცვას საკუთარი უფლებები და თავისუფლებები და როგორ არ შელახოს სხვისი. ეს ყველაფერი კი პრობლემების დაუსრულებელ ჯაჭვს ქმნის, რომელთა გადაწყვეტა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ისეთ სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

ტერმინი „ქუჩის ბავშვი“ პირველად 1980 წელს გაჩნდა<sup>132</sup> და 1994 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ შემდეგნაირად განიმარტა: „ქუჩის ბავშვად ითვლება ნებისმიერი გოგონა, თუ ბიჭი, რომელიც პასუხისმგებელი პირების მიერ სათანადოდ არ არის დაცული, არ არის მეთვალყურეობის ქვეშ და რომლისთვისაც ქუჩა არის საცხოვრებელი და არსებობის მთავარი წყარო“.<sup>133</sup> ამასთან, ბავშვების ეს კატეგორია, თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- ბავშვები, რომლებიც მუშაობენ ქუჩაში და ღამეს სახლში ათევენ;
- ბავშვები, რომლებიც პერიოდულად ცხოვრობენ ქუჩაში;
- ბავშვები, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ ქუჩაში;
- ბავშვები, რომლებიც ოჯახთან ერთად ცხოვრობენ ქუჩაში და ა.შ.<sup>134</sup>

დღემდე მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, რომ ტერმინი „ქუჩის ბავშვი“ დისკრიმინაციულია, ბუნდოვანია და განსხვავებული მახასიათებლებისა და საჭიროებების მქონე ბავშვთა დიდ ჯგუფს აერთიანებს.<sup>135</sup> ამ სიტყვათშეთანხმების გამოყენება გარკვეულ სირთულეებს უქმნის მკვლევარებს, პოლიტიკის შემქმნელებსა და განმახორციელებლებს, რის გამოც წლების განმავლობაში ჩნდებოდა ალტერნატიული სახელები: „ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები“,

---

<sup>132</sup> სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი., „სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით., თბ. 2017. გვ. 4.

<sup>133</sup> იხ. იქვე.

<sup>134</sup> იხ. იქვე.

<sup>135</sup> <<https://photos.state.gov/libraries/georgia/749756/zavrashviliex/HRR2015GEO.pdf>> [01.07.2019].

„ბავშვები ქუჩის სიტუაციებში“, „ქუჩაზე დამოკიდებული ბავშვები“, თუმცა საბოლოო ტერმინოლოგიაზე შეთანხმება ვერ ხერხდება.<sup>136</sup> მიუხედავად იმისა, თუ რა სიტყვებს გამოვიყენებთ ამ ბავშვების მოსახსენებლად, ეს არის ბავშვების ის ჯგუფი, რომელთა ცხოვრება, განვითარება, ურთიერთობები და კავშირები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქუჩასთან, რაც მათი იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს.<sup>137</sup>

საქართველოში ამ სფეროში მომუშავე როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო სექტორის მიერ საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ტერმინი „ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები“, რომელიც გვხვდება შესაბამისი ორგანიზაციების ზეპირსიტყვიერებაში, ასევე, წერილობით ანგარიშებში, კვლევებსა თუ სხვადასხვა პუბლიკაციებში. თუმცა, აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს კანონმდებლობაში, 2016 წელს დამკვიდრებული იურიდიული ტერმინი - „მიუსაფარი ბავშვი“,<sup>138</sup> რომელიც შემდეგნაირად არის განმარტებული: „მიუსაფარი ბავშვი - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე არასრულწლოვანი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად, „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პი-

---

<sup>136</sup> სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი., „სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით., თბ. 2017. გვ. 5.

<sup>137</sup> <<https://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/Pages/AllStoriesHRC.aspx>> [01.07.2019].

<sup>138</sup> სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი., „სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით., თბ. 2017. გვ. 6.

რობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანებით განსაზღვრული, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, რეფერირების პროცედურების შესაბამისად“.<sup>139</sup> საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მწვავედ დგას მიუსაფარი ბავშვების საკითხი. ამ პრობლემამ ქვეყანაში 90-იანი წლებიდან იჩინა თავი, როდესაც მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შედეგად უამრავი ბავშვი აღმოჩნდა სათანადო ყურადღების მიღმა. სამწუხაროდ, საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალობას და ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარების, ოჯახური კონფლიქტების, ძალადობისა თუ სხვა პრობლემების გამო უამრავი ბავშვი რჩება ქუჩაში. ქუჩაში ცხოვრება უაღრესად მძიმედ მოქმედებს ბავშვებზე. არასტაბილური ცხოვრების წესის, ასაკისთვის შეუფერებელი ცხოვრებისეული გამოცდილების, არაადეკვატური საცხოვრებელი პირობების და სხვა მრავალ მიზეზთა გამო, მიუსაფარი ბავშვები საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ. ეფექტური პოლიტიკისა და პროგრამული ღონისძიებების შემუშავებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მიუსაფარი ბავშვების მდგომარეობის წარმომშობი, დამცველი და დამაბრკოლებელი ფაქტორების სირთულე. ბავშვების ქუჩაში

---

<sup>139</sup> „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება.

ცხოვრების და მუშაობის მიზეზები მრავალფეროვანია. მათი დაყოფა შემდეგ კატეგორიებად შეიძლება:

- სიღარიბე და უსახლკარობა
- ოჯახის შემადგენლობის ცვლილება, მაგალითად, განქორწინება ან მშობლის ხელახალი ქორწინება
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლა
- ალკოჰოლიზმი, სხვადასხვა ნივთიერებაზე დამოკიდებულება, როგორც ბავშვის/ მოზარდის, ასევე მასზე მზრუნველი პირის მხრიდან
- ძალადობა: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური
- განათლების ნაკლებობა, პრობლემები საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სასწავლო პროგრამის სირთულე, პრობლემები თანაკლასელებთან, მათ მშობლებთან, პედაგოგებთან, ბუღინგი და ა.შ.
- ოჯახის წევრების ჯანმრთელობის პრობლემები
- სოციალური დაცვის არასაკმარისი პროგრამები
- ბავშვის დაცვის შიდა საზოგადოებრივი მექანიზმების არარსებობა
- მიუსაფარ ბავშვთა ოჯახების სოციალური იზოლაცია
- მიგრაცია
- სკოლის შეცვლა
- ორივე, ან ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალება
- სამეგობრო წრე, სამეგობრო წრეში თვითდამკვიდრების მცდელობა
- ფულის შოვნის სურვილი (საკუთარი ნებით, ოჯახის დასახმარებლად ან იძულებით, ასევე სხვა პირის იძულებით)
- თამაშზე დამოკიდებულება

- ოჯახური კონფლიქტები, უთანხმოება მზრუნველ პირებთან
- მშობლების მოლოდინი და წნეხი.<sup>140</sup>

სახლში არახელსაყრელი გარემოებებისგან თავის დასაღწევად ბავშვები ცდილობენ, ოჯახს გარეთ, დამოუკიდებლად გაიკვლიონ გზა და დაფუძნდნენ.<sup>141</sup> ქუჩაში მოპოვებულ თანხას საკუთარი ან მეგობრების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ხარჯავენ. ქუჩაში მცხოვრები უამრავი ბავშვი და მოზარდი თვლის, რომ შემოსავლის გამომუშავებით ოჯახს ეხმარება.<sup>142</sup> ხშირია შემთხვევა, ბავშვების იძულებისა ქუჩაში გამოიძუშაონ თანხა და ოჯახში მიიტანონ.<sup>143</sup> ბავშვს ქუჩისკენ შეიძლება საცხოვრებლის არარსებობამ ან არაშესაბამისმა საცხოვრებელმა პირობებმაც უბიძგოს. თუმცა, მხოლოდ სიღარიბე არ განაპირობებს ბავშვის ქუჩაში გასვლას. საქართველოში ოჯახების უმრავლესობა უკიდურეს ეკონომიკურ პირობებშიც კი ახერხებს ბავშვების სახლში შენარჩუნებას, თუმცა სიღარიბემ შეიძლება უკვე ისედაც დაუცველ ოჯახში არსებული სტრესი გააღრმავოს და პრიორიტეტების შეცვლა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ბავშვის კეთილდღეობა ყურადღების მიღმა რჩება.

---

<sup>140</sup> განსაკუთრებით შეძლებულ ოჯახებში - „ჩემზე იმედებს ამყარებენ, მე კი ვერ ვასრულებ მოლოდინს“.

<sup>141</sup> <<https://csdc.ge/media/1001362/2017/09/21/d28aa8027faa45e2e8573df2540b6502.pdf>> [01.07.2019].

<sup>142</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი., „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში“., თბ. 2018. გვ. 100.

<sup>143</sup> <<https://csdc.ge/media/1001362/2017/09/21/d28aa8027faa45e2e8573df2540b6502.pdf>> [01.07.2019].

მიუსაფარი ბავშვები საზოგადოების უკიდურესად მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. დღეს საქართველოში 5-17 წლის ასაკის 571 ათასი ბავშვი ცხოვრობს და აქედან 24,4 ათასი ბავშვთა შრომაშია ჩართული.<sup>144</sup> მათი დიდი ნაწილი - 84% სოფელში ცხოვრობს. ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების 63,9% ანუ დაახლოებით 15,6 ათასი ბავშვი, სახიფათო სამუშაოს ასრულებს.<sup>145</sup> საქართველოში დასაქმებისთვის დასაშვები მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 16 წელია. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.<sup>146</sup> საქართველოს კანონმდებლობით ისიც დადგენილია, რომ 16-17 წლის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს, ხოლო 14-15 წლის არასრულწლოვნებისთვის - 24 საათს.<sup>147</sup> კანონმდებლობა კრძალავს არასრულწლოვნის მუშაობას ღამის სამუშაოზე 22 საათიდან დილის 6 საათამდე.<sup>148</sup> მიუხედავად ამისა, ბავშვებს ხშირად უწყევთ ღამით მუშაობა, ზოგი იმ დროს მუშაობს, როცა სკოლაში უნდა

---

<sup>144</sup> <<http://liberali.ge/news/view/24698/kvleva-517-tslis-asakis-bavshvebis-42-chartulia-bavshvta-shromashi>> [01.07.2019].

<sup>145</sup> <[https://www.kvirispalitra.ge/economic/31658-bavshvtha-shromasagarthveloshi-sagangasho-statistika.html?add\\_new=1&all=0&rnd=1561426086.5597](https://www.kvirispalitra.ge/economic/31658-bavshvtha-shromasagarthveloshi-sagangasho-statistika.html?add_new=1&all=0&rnd=1561426086.5597)> [01.07.2019].

<sup>146</sup> საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლი.

<sup>147</sup> იხ. იქვე., მუხლი 14.

<sup>148</sup> იხ. იქვე., მუხლი 18.



იყოს, ზოგს კი ამის გაკეთება სკოლამდე და სკოლის შემდეგ უწევს.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ ბავშვთა შრომაში განსაკუთრებით ის ბავშვები არიან ჩართული, სადაც ოჯახებში სიღარიბის დონე მაღალია.<sup>149</sup> აქვე მინდა განვმარტო ცნებები "ბავშვთა შრომა" და "მომუშავე ბავშვები". შრომის ზოგიერთი სახე ბავშვისთვის, მისი უნარების განვითარებისთვის, შესაძლოა, სასარგებლოც იყოს, თუმცა განსაზღვრულ დონემდე, ბავშვთა შრომას კი ვუწოდებთ ისეთ მუშაობას, რომელიც ბავშვებს ართმევს ბავშვობას, მავნეა მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის. კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების ნახევარზე მეტი ჩართულია სახიფათო შრომაში, უმეტესობა ღამით მუშაობს, მესამედი კი დასაშვებზე მეტს.<sup>150</sup> სწორედ ამის შედეგია ის, რომ თუ ბავშვების საერთო სიმრავლეში სწავლას ტოვებს 1,9%, მომუშავე ბავშვებს შორის სწავლის მიტოვების მაჩვენებელი 10,1%,-ია ხოლო სახიფათო სამუშაოში ჩართულ ბავშვებში - 16%.<sup>151</sup> აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მოხდეს არა მხოლოდ ქუჩაში მოხვედრილი ბავშვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია, არამედ მომავალი შემთხვევების პრევენციაც. მხოლოდ ერთიანი და კოორდინირებული მიდგომით

---

<sup>149</sup> <<https://www.geostat.ge/ka>> [01.07.2019].

<sup>150</sup> <<https://www.bpn.ge/article/26801-bavshvta-shroma-sakartveloshi-sagangasho-statistika/>> [01.07.2019].

<sup>151</sup> იხ. იქვე.

შეიძლება ამ ბავშვების პრობლემების გადაჭრა და ოჯახების გაძლიერება. პირველ რიგში, აუცილებელია ასეთი ბავშვებისა და მათი ოჯახების სოციალური მხარდაჭერა. უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს გააერთიანებს და ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომას შეიმუშავებს, შექმნის ბავშვთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის და მხარდაჭერის სისტემას. სოციალური დახმარების პარალელურად, საჭიროა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და დასაქმების პროგრამების შექმნა. მიუსაფარ ბავშვებს ხშირად ხელი არ მიუწვდებათ განათლებაზე, რის გამოც საჭიროებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო - განვითარების პროგრამებსა და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას. ამ გზით მოხერხდება მათი რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მათი სამომავლო დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. პროგრამები, რომლებიც სკოლის მიღმა მყოფი მიუსაფარი ბავშვებისათვის განათლების მიწოდებას ითვალისწინებს,<sup>152</sup> სერტიფიცირებულ და ოფიციალურად აღიარებულ კურიკულუმს უნდა ეფუძნებოდეს. მათი ეფექტურობის გასაზომად უნდა არსებობდეს კონკრეტული ინდიკატორები. გარდა ამისა, აუცილებელია მოქნილი განრიგისა და მიწოდების მარტივი ფორმის შემუშავება, რათა ოჯახთან კავშირი არ დაირღვეს. პროგრამებმა შესაძლოა შემდეგ მიდგომებზე გაამახვილოს ყურადღება: მობილური ქუჩის განათლე-

---

<sup>152</sup> <<http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=8819>> [01.07.2019].

ბა, სადამოს არაფორმალური განათლება, წერა-კითხვის გაკვეთილები, „დასაწევი“ კლასები ან ინდივიდუალური მენტორის დანიშვნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ბავშვს სახლში ამეცადინებს. სასწავლო პროგრამების მნიშვნელოვანი კომპონენტია მშობლების/მზუნველების ინფორმირება განათლების მნიშვნელობაზე და მათი ხელის შეწყობა, დაეხმარონ ბავშვებს სკოლის დავალების მომზადებასა და სწავლაში. თუ ოჯახის ზრდასრული წევრები განათლების დაბალი დონის ან წერა-კითხვის უცოდინარობის გამო ვერ აძლევენ ბავშვს სათანადო ცოდნას, აუცილებელია ამ ხარვეზის აღმოფხვრა, გამოსავალის მოძებნა. შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ზრდასრულთა განათლების კომპონენტიც. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც მიუსაფარი ბავშვების სახელმწიფო სერვისებში ჩართვა ვერ ხერხდება, პირადობის დამადასტურებელი საბუთების არარსებობაა.<sup>153</sup> ვინაიდან, დაბადების მოწმობის, პირადობის მოწმობის არმქონე პირები რეგისტრირებულ მოქალაქეებს არ წარმოადგენენ, შეუძლებელია მათზე გავრცელდეს ადრეული განათლების პროგრამა (ბაღი), ზოგადი და საშუალო განათლება (სკოლა) და ა.შ. შესაბამისად, ილახება ბავშვის ფუნდამენტური უფლებები, ვლინდება პედაგოგიური და სოციალური ჩამორჩენა, რაც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ღრმავდება. ცხოვრების სტილის, საცხოვრებელი გარემო პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მიუსაფარ ბავშვებს ხშირად ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აღენიშნებათ. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ

---

<sup>153</sup> <[http://newspress.ge/staties\\_id/1924](http://newspress.ge/staties_id/1924)> [01.07.2019].

ბავშვებს ხშირად არ აქვთ პირადი ნომერი ან, უმეტესად უგულვებელყოფილნი არიან მშობლების მხრიდან, არ აქვთ ჩატარებული ეროვნული კალენდრით გათვალსიწინებული აცრები, არ აქვთ საკმარისი განათლება და არ არიან დაცულნი სხვადასხვა სახის სარისკო ქცევებისგან.<sup>154</sup> ყველაფერი ეს ზრდის მიუსაფარ ბავშვთა მოწყვლადობას ჯანმრთელობის თვასალზრისით. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ბავშვების ჩართვა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში.

ბავშვები, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობთ, გადარჩენის მძაფრი ინსტიქტით ხასიათდებიან.<sup>155</sup> მათ სხვა არჩევანი არც აქვთ. გარდა ზრდასრულთა ფუნქციების შეთავსებისა, ისინი მორგებულნი არიან ქუჩის ცხოვრებას. იციან, რა მეთოდებით იშოვონ ფული, როგორ გამოიყენონ „მიუსაფარი ბავშვის“ სტატუსი და როგორ დაიცვან თავი. მათ კარგად აქვთ გააზრებული და გათავისებული, რომ დამხმარე არავინ ჰყავთ და ვერავისგან მიიღებენ მზრუნველობას. ქუჩაში ცხოვრება მათ უკარგავს ბავშვობას, აიძულებს მუდმივ შიშში და ბრძოლაში ცხოვრებას, ართმევს ნორმალური განვითარებისა და განათლების მიღების შესაძლებლობას. ამ ხელისშემშლელი ფაქტორების გამო მიუსაფარ ბავშვებს უჭირთ, საზოგადოების სრულყოფილი წევრები გახდნენ. ამ ბავშვებს შეუძლებელი აქვთ მომავლის პერსპექტივები, დაბალია მათი განათლების დონე, რის შედეგადაც არათანაბარ სასტარტო პი-

---

<sup>154</sup> სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი., „სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით., თბ. 2017. გვ. 9.

<sup>155</sup> იხ. იქვე., გვ. 10.

რობებში იმყოფებიან ოჯახში გაზრდილ ბავშვებთან შედარებით.<sup>156</sup> საქართველოს სახელმწიფოსსგან ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი სოციალური სამსახურის შექმნაა, რომლის კომპეტენციაშიც არსებული პრობლემების წარმოჩენა და მათ გამოსასწორებლად საჭირო გზების მოძებნა შედის.

სახელმწიფომ, ასევე უნდა უზრუნველყოს ისეთი დაწესებულებების შესაბამისი ინფრასტრუქტურით და პერსონალით აღჭურვა, სადაც მშობლების გარეშე დარჩენილი, ობოლი და მიტოვებული ბავშვები მიიღებენ შესაბამის განათლებას და უზრუნველყოფს გონივრულ მისადაგებას. მნიშვნელოვანია, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების არსებობაც, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ყველა უფლების პატივისცემას და ეფექტიან რეალიზებას ბავშვის მონაწილეობის, საუკეთესო ინტერესების უპირატესობის, ღირსების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის და კანონის უზენაესობის პრინციპების საფუძველზე, ხორციელდება სპეციალიზებული პროფესიონალების მიერ და არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, აღქმადი, სწრაფი, სამართლიანი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული.

ამისათვის კი სახელმწიფო ვალდებულია გამოყოს შესაბამისი სახსრები, რათა უზრუნველყოს ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის აღსრულების მექანიზმის მუშაობა, ასევე, მისცეს სოციალურ მუშაკებს შესაბამისი ანაზღაურება, რათა მათი მოტივაცია და საქმისადმი დაინტერესება გაი-

---

<sup>156</sup> იხ. ოქვე, გვ. 11.

ზარდოს. დღეს-დღეობით, საქართველოში არ არსებობს სახელმწიფოებრივი ხედვა, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა. საქართველოს სახელმწიფო უწყებებს გააჩნიათ გარკვეული კანონები, კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც გარკვეულ წილად იცავს არასრულწლოვანთა უფლებებს, ასევე, სახელმწიფოს გააჩნია ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა, თუმცა მათი მოქმედების სფერო ვიწრო, სუსტი და საქართველოს მიერ გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციით ნაკისრ ვალდებულებების შესაბამისაა. არ არსებობს მექანიზმი და ერთიანი სისტემა, რის გამოც სახელმწიფო ვერ ახორციელებს ეფექტურ და რაციონალურ საქმიანობას. საქართველოსთვის აუცილებელია ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმის არსებობა, რადგან ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს ბავშვების დაცვა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ანალიზებდნენ მათ უფლებებსა და მოვალებებს, ასევე პასუხისმგებლობას და იცოდნენ საკუთარი უფლებების შესახებ.

სახელმწიფოს ერთ ერთი ვალდებულებაა იზრუნოს სოლიდარული და განვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, სადაც ადამიანები საკუთარის მსგავსად სხვის უფლებებს სცემენ პატივს, სადაც ადამიანები გრძობენ სოციალურ პასუხისმგებლობას და საკუთარი ქმედებით არ დაარღვევენ სხვა ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გამოყოს ამისათვის საჭირო ყველანაირი რესურსი და კონტროლის მექანიზმი ჩაუშვას მის აღსრულებაში.

## ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის სოციალური

### ასპექტები

*ვახტანგ ნოლაიდელი*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული

ფაკულტეტი,

მე-8 სემესტრი

### შესავალი

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და გაგნგრძობადი ხასიათი. ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება.<sup>157</sup> ძალადობა შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სახით: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, იძულება და სხვ. ოჯახში ძალადობა ხშირ შემთხვევაში იწვევს ჯან-

---

<sup>157</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1999 წ) 126<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი.

მრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რომელიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.

საქართველოში ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა. თუმცა, ეს ქართული საზოგადოებისათვის ტაბუდადებული თემაა, რადგან მენტალიტეტის გამო, იშვიათად ხდება მისი გამჟღავნება. თუმცა, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს. ძალადობის ხანგრძლივმა ხასიათმა შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები გამოიწვიოს: სხვადასხვა ემოციური, ფიზიკური და სომატური შედეგები, ქცევითი დარღვევები და სიკვდილიც კი. ბავშვის მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და სერიოზული პრობლემაა. ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ნებისმიერი ფორმით ძალადობისგან - იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ძალადობა, დაუდევარი მოქცევა, უხეში მოპყრობა თუ ექსპლუატაცია. ბავშვის მიმართ ძალადობა შეიძლება გამოხატული იყოს შემდეგი ფორმებით: ფიზიკური, სიტყვიერი, მატერიალური, სექსუალური ძალადობა და სხვა.

საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე განხორციელებული ბოლო ცვლილებების მიუხედავად, ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხი კვლავ აქტუალურ თემად რჩება. ბოლო პერიოდში არსებული კონკრეტული გახმაურებული ფაქტებიც მიუთითებენ აღნიშნულზე, მათ შორის 2019 წლის თებერვალში 4 წლის პატარა გოგონას ოჯახში დედის მხრი-



დან სავარაუდო ძალადობის შედეგად გარდაცვალების ფაქტი. ამდენად, საკითხი პრობლემად რჩება დღემდე და მოითხოვს გადაჭრის პრაგმატული გზების ძიებას. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა ხშირად ლატენტური ხასიათისაა, რაც სპეციფიკური მიდგომების დანერგვის აუცილებლობას განაპირობებს.

კვლევის მიზანს ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების სიღრმისეული შესწავლა წარმოადგენს, კერძოდ, ძალადობის გამომწვევი მიზეზების, აგრეთვე შედეგების ანალიზი, წარმოდგენილი იქნება სტატისტიკური მონაცემებიც, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ რეალურ ვითარებაზე ქართულ საზოგადოებაში. კვლევა დაფუძნებულია სოციოლოგიურ, ანალიტიკურ და შედარებით-სამართლებრივ მეთოდებზე.

## **1. ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ (ზოგადად)**

ბავშვის მიმართ ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც შეიძლება აზიანებდეს მის ფსიქიკას და ფიზიკურ მდგომარეობას, საფრთხეს უქმნიდეს მის ჯანმრთელობას და განვითარებას. ოჯახში ძალადობა მხოლოდ მოძალადის ან მსხვერპლის პრობლემა არ არის. იგი ნეგატიურად აისახება ასევე ოჯახის სხვა წევრებზე, რომლებიც შესაძლოა, არც იყვნენ ძალადობის პირდაპირი ობიექტები. ოჯახში ძალადობას განსაკუთრებით დამანგრეველი გავლენა აქვს ბავშვებზე, მიუხედავად იმისა, ბავშვი პირდაპირ

რი მსხვერპლია თუ ირიბი. ძალადობის განმეორების შესაძლებლობა და ალბათობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფი რეაგირებით და ადეკვატური მოქმედებით აღიკვეთება მოძალადის საქციელი და რამდენად სწრაფად მოხდება მსხვერპლის, მით უმეტეს, არასრულწლოვანი მსხვერპლის საჭიროებების გამოვლენა, მისი დახმარებისა და სრულფასოვანი რეაბილიტაციის მიზნით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობა და მისი რეციდივის აღკვეთა მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული. უალრესად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საზოგადოების ჩართულობას და პასუხისმგებლობის განცდას, რაც ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, სრულიად არაადეკვატურია. საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების გამო კი, მსხვერპლი ხშირად ვერ ბედავს, დაუპირისპირდეს ოჯახში ძალადობას, მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს, იზრუნოს ბავშვების მომავალზე და ა.შ. ამ დამოკიდებულებას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ხშირად და ბევრ კულტურაში, მათ შორის საქართველოშიც, ოჯახში ძალადობა მიიჩნევა ოჯახის საქმედ, მსხვერპლისა და მოძალადის პირად ურთიერთობად, რის შესახებაც კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებს განვიხილავთ ქვემოთ.

მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებს მოძალადის მიმართ ქალისა და ბავშვების დაქვემდებარებული როლი, რაც ხშირად ხდება ოჯახში ძალადობის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების მიზეზი. ამგვარი პრაქტიკისა და მიდგომის არსებობა დამანგრეველ გავლენას ახდენს

ბავშვის ფსიქიკაზე. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები ხშირად არათუ სასტიკ მოპყრობას სწავლობენ და ეჩვევიან, არამედ იმასაც ხედავენ, რომ ასეთი ქმედება დასაშვებია და საზოგადოება მას ქცევის დამკვიდრებულ ფორმად აღიქვამს. ბავშვობაში გადატანილი ოჯახში ძალადობის შემთხვევები კი, მძიმე გავლენას ახდენს ზრდასრულობის ასაკში მათ ოჯახურ ცხოვრებაზე. ბავშვის მიმართ ოჯახში განხორციელებული ძალადობის ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმების გარდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ასევე, ოჯახში ძალადობის სხვა ფორმები, თუმცა, წინამდებარე კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ბავშვის მიმართ ოჯახში ჩადენილი ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებსა და მათ გავლენაზე ბავშვის განვითარების პროცესში.

## **2. ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა**

ფიზიკური ძალადობა ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა. ამგვარ ძალადობად მიიჩნევა ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილის მომტანია ბავშვისთვის, ან სხეულის სხვადასხვა სახით დაზიანების გამომწვევია. ყველაზე გავრცელებული ფორმებია: დარტყმა, სილის გაწვნა, ხელის კვრა, ზოგიერთ შემთხვევაში, ცემა და წამებაც კი, ბავშვისთვის ფიზიკური ტკივილის ან ტანჯვის მიყენება. ფიზიკური ძალადობის გამოვლენა, ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით, გაცილებით იოლია, ვინაიდან ამ დროს სახეზეა ძალადობით გამოწვეული დაზიანებები, როგორცაა: სისხლჩაქცევები, კო-

პები, მოტეხილობები, ნაჭრილობევეები სხვადასხვა ხარისხის შეხორცებებით.<sup>158</sup> ასეთი რისკის ქვეშ განსაკუთრებით იმყოფებიან მდედრობითი სქესის ბავშვები, რომლებიც შეიძლება ხშირად არა მხოლოდ მოძალადე მშობლების, არამედ ოჯახის სხვა წევრების, დედამამიშვილების მხრიდანაც გახდნენ ძალადობის მსხვერპლები. არსებული კვლევებისა და ანგარიშების მიხედვით, საქართველოში 2-14 წლამდე ბავშვების 20%-ზე მეტს ფიზიკურად სცემენ და ამას უმეტესად მამები აკეთებენ.<sup>159</sup> მითითებული ძალადობის შედეგები არასრულწლოვნებზე სხვადასხვა ფორმით აისახება. ბავშვების უმრავლესობას, რომლებმაც ფიზიკური ძალადობა განიცადეს, მხოლოდ ზედაპირული დაზიანებები აღენიშნებათ, თუმცა, ძალადობის გავლენა უფრო ღრმაა. ბავშვებს უვითარდებათ შიში, შფოთვა, აგრესია, ქცევის უკიდურესი სისასტიკე, რაც ძირითადად მათი საპასუხო რეაქციაა განცდილი ძალადობის გამო. ხშირად ბავშვი იაზრებს, რომ ძალადობისგან თავის დაღწევა არ შეუძლია, იგი მოძალადეზეა დამოკიდებული და ვერსად წავა. შესაბამისად, მისი რეაქცია ან უკიდურეს მორჩილებაში ან სასტიკ ქცევაში გამოიხატება. მითითებული ერთნაირად საშიშია ბავშვის განვითარებისთვის. ფიზიკური სასჯელების გამოყენება ბავშვის მიმართ არცერთ შემთხვევაში ეფექტური არ არის და არ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც აღზრდის საშუალება და მეთოდი. ფიზიკური ძალადობის შემდეგ

---

<sup>158</sup>გაეროს ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ, 2006 წ, 65. იხ. <http://www.unicef.org/violencestudy/worldreportonviolenceagainstchildren.pdf>

<sup>159</sup> იხ. იქვე.

ბავშვს მხოლოდ მორალური ტრავმა, ფიზიკური ტკივილის განცდა და მოძალადის მიმართ ბრაზი რჩება.<sup>160</sup>

### 3. ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა

ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ხშირად ემოციური ძალადობის სახელითაც იხსენიებენ, ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა მოიცავს მის დაშინებას, ოჯახის წევრების მხრიდან კრიტიკას, აგრესიულ დამოკიდებულებას, ზოგ შემთხვევაში უსამართლო დადანაშაულებას, ბრალდებებს, მომეტებული კონტროლის პრაქტიკას, დაცინვას, ყვირილს, სისტემატურ შეურაცხყოფას,<sup>161</sup> ასევე, დამამცირებელ მიმართვას, მიტოვების მუქარას და ა.შ. ფსიქოლოგიური ძალადობა ძნელი ამოსაცნობია, განსაკუთრებით, როცა ის ბავშვის მიმართ ხორციელდება. ძალადობის ამ ფორმას გაცილებით მძიმე შედეგები მოაქვს, ვიდრე ფიზიკურ ძალადობას, ვინაიდან, აღნიშნული მიმართულია იმისკენ, რომ აკონტროლოს არასრულწლოვანი, მართოს მისი ნებისმიერი ქმედება. ძალადობის ამ ფორმის მიზანი,

---

<sup>160</sup> თ. მახარობლიძე, „არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, 2, 2017, 26.

<sup>161</sup> მ. მესხი, „არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართალწარმოებისას (გაერთიანებული ერების სამოდელო კანონმდებლობის მიხედვით)“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, 1, 2017, 37

ბავშვის სრული მორჩილების მიღწევას.<sup>162</sup> შედეგად, ვითარდება დაბალი თვითშეფასება, თვითიზოლაცია, ბავშვი კარგავს დამოუკიდებლობის შეგრძნებას. გარდა ფსიქოლოგიური ტრავმისა, ძალადობის ამ ფორმის სისტემატური განხორციელებისას, ბავშვებში ყალიბდება მეტყველების შეფერხება, თავის ტკივილი, ნევროზული ქცევა, თვითდაზიანება, ენურეზი და სხვა ტიპის ჯანმრთელობის პრობლემები. ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაცია ხანგრძლივადიან პროფესიულ ჩარევას საჭიროებს და კვლევის სარეკომენდაციო ნაწილში იქნება ჩამოყალიბებული.<sup>163</sup>

#### 4. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა

სექსუალური ძალადობა ბავშვის მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა. სექსუალური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ბავშვის მიმართ სექსობრივ კავშირში ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მისი უმწეობის გამოყენებით. სექსუალური ძალადობა შეიძლება გამოხატული იყოს როგორც სექსობრივი აქტით, ასევე შეხებით, ან სხვა ამგვარი ქმედებით, სექსუალური ხასიათის შენიშვნებით, პორნოგრაფიული სურათების და ფილმების ჩვენებით, ბავშვისთვის პორნოგრაფიული ხასიათის ფოტოების გადაღებით. ბავშვის მიმართ ოჯახში ჩადენილი სექსუალური ძალადობის შედეგები, გარდა ფსიქოლოგიური

---

<sup>162</sup> იქვე.

<sup>163</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რედ.ხათუნა ყვირალაშვილი, ბავშვთა მიმართ ძალადობა, თბილისი, 2018, 12

პრობლემებისა, გამოხატულია შემდეგი ხასიათის ფიზიკურ დაზიანებებში: სასქესო ორგანოების ტრავმები, მუცლის ტკივილები, კოშმარები, უძილობა, დეპრესია, კვების დარღვევა, ორსულობა, სქესობრივი გზებით გადამდები დაავადებები. სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვის თანხმობით მოხდა ეს თუ არა, ვინაიდან ხშირად ბავშვს არ შეუძლია, სრულად გააცნობიეროს მის მიმართ განხორციელებული ქმედების არსი. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით,<sup>164</sup> ქალთა მხოლოდ 3,9%-მა აღიარა, რომ ისინი ოჯახში სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ბავშვებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია, რაც საკითხის ტაბუირებით, არასრულწლოვნის შიშით, სირცხვილით ან სხვა გარემოებებით არის გამოწვეული. შესაბამისად, ეს კიდევ უფრო ართულებს არა მარტო ძალადობის ამ ფორმის იდენტიფიცირებას, არამედ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მიმართ შესაბამისი საჭიროებების კვლევას და მისი რეაბილიტაციისთვის გადაუდებელი ღონისძიებების ჩამოყალიბებას.<sup>165</sup>

## 5. ძალადობის გამომწვევი მიზეზები და შედეგები

უმუშევრობა და სიღარიბე ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ითვლება. უმუშევრობა იწვევს სტრესს და დამაბულ ურთიერთობებს ოჯახის წევრებს შორის; ქალის

---

<sup>164</sup> გაეროს ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ, 2018 წ.

<sup>165</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რედ.ხათუნა ყვირალაშვილი, ბავშვთა მიმართ ძალადობა, თბილისი, 2018, 13

ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე (რის გამოც შესაძლოა ქალი მაინც დარჩეს მოძალადე მამაკაცთან); მშობლები, რომელთაც წარსულში განიცადეს ძალადობა, ხშირად თავადაც ხდებიან მოძალადეები. ბევრ კულტურაში არსებობს წარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ. ამ როლის განსამტკიცებლად ისინი ხშირად მიმართავენ ძალადობას ოჯახის სხვა წევრების მიმართ, იქნება ეს ქალი თუ ბავშვი. მოძალადე მშობლები შესაძლოა მხოლოდ ასეთ ქმედებებს აღიარებენ ბავშვის აღზრდის საუკეთესო საშუალებად. ხშირ შემთხვევაში, ერთ-ერთი ან ორივე მშობლის გონებრივი შეზღუდულობაც წარმოადგენს ბავშვის მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობის, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მიზეზს. ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის პრობლემები ხშირად იწვევს გულგრილობას და უყურადღებობას ბავშვების მიმართ.

ძალადობის შედეგები ისევე არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს, როგორც მისი გამომწვევი მიზეზები, მაგრამ პოზიტიური შედეგის არ ქონა ამ შემთხვევაში პირდაპირ გულისხმობს უარყოფით და ნეგატიურ მდგომარეობას. სპეციალისტთა მტკიცებით, ბავშვთა მიმართ ძალადობა უკვალოდ არ ქრება, შედეგად ხშირად ვიღებთ მათ სიკვდილს სკოლამდელ ასაკში, მომავლის შიშს, კონფლიქტებს, აგრესიულობას, უვითარდებათ დაბალი თვითშეფასება, ეძალებიან ალკოჰოლს, ექცევიან კრიმინალური სამყაროს გარემოცვაში, მისდევენ პროსტიტუციას, უმეტეს შემთხვევაში თავადაც ხდებიან მოძალადენი (ახდენენ რა იდენტიფიცირებას მოძალადესთან). ქალების შეთმხვევაში ისინი პოტენციური მოძალადეები ხდებიან შვილების მიმართ, კარგავენ



საკუთარი თავის რწმენას, აქვთ მარტოობის და უსამართლობის განცდა. ერთად ან ცალ-ცალკე გამოხატული ყველა ეს შედეგი მნიშვნელოვან ადამიანური რესურსის გაფლანგვა და არაჰუმანური საზოგადოების სიმპტომატიკაა. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება – მისი ის ბუნებითი უფლებები (ბედნიერების, სამართლიანობის, თავისუფლების უფლება), რაც ადამიანს დაბადებისთანავე აქვს.

## **6. ქართულ საზოგადოებაში არსებული განწყობები და ვითარება ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხზე**

ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიკაციის და სათანადო ორგანოებისათვის შეტყობინების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად შეუძლია საზოგადოებას ძალადობის ყველა ფორმის ამოცნობა და რამდენად კარგად ესმის მას ვინ ითვლება ბავშვად და ვინ – ზრდასრულ პირად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 18 წლამდე ასაკის პირი ბავშვია. ამის მიუხედავად, მოსახლეობის 72% მიიჩნევს, რომ გოგოები ზრდასრული 18 წლის ასაკამდე ხდებიან, ხოლო ბიჭების 60% ხდებიან ზრდასრული 18 წლის ასაკამდე.<sup>166</sup>

---

<sup>166</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, თბილისი, 2013, 15

ბავშვობაში მიღებული გამოცდილება განსაზღვრავს, თუ როგორ ადამიანად ჩამოვყალიბდებით. თუ ბავშვი ფიზიკურ ძალადობას განიცდის, არსებობს მეტი ალბათობა, რომ ზრდასრულ ასაკში თავადაც ჩაიდინოს ძალადობა სხვების მიმართ.<sup>167</sup> აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად, მნიშვნელოვანია კარგად იყოს გაგებული მისი მასშტაბი. საქართველოში საზოგადოების 30% აღნიშნავს, რომ მშობლები მათ მიმართ ფიზიკურ ძალას იყენებდნენ (რეალური რიცხვი შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვინაიდან ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ზოგიერთი რესპონდენტი ცდილობს დამალოს, რომ მას ბავშვობაში სცემდნენ). მშობლების მხრიდან ბავშვობაში ფიზიკური ძალადობის ფაქტს მეტი მამაკაცი აღნიშნავს (34%), ვიდრე ქალი (26%).<sup>168</sup>

ამჟამად საქართველოში საზოგადოების 45 პროცენტს ბავშვების მიმართ ფიზიკური ძალადობა დასაშვებად მიაჩნია და თვლის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი „გაფუჭდება“.<sup>169</sup> თუ ადამიანს ბავშვობაში ძალადობა განუცდია, არსებობს მეტი ალბათობა, რომ მან ძალადობა დასაშვებად მიიჩნიოს. იმ პირებს შორის, ვისაც ბავშვობაში ფიზიკური ძალადობა გადაუტანია, თითქმის 60% აცხადებს, რომ ფიზიკური დისციპლინური დასჯა დასაშვებია.

---

<sup>167</sup> გაეროს ანგარიში მსოფლიოში ბავშვებზე ძალადობის შესახებ, 2006, 66 <http://www.unicef.org/violencestudy/3.%20World%20Report%20on%20Violence%20against%20Children.pdf>

<sup>168</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, თბილისი, 2013, 19

<sup>169</sup> <https://www.unicef.org/georgia/media/2066/file>

საზოგადოების იმ 66 პროცენტიდან, ვისაც ბავშვობაში ფიზიკური ძალადობა განუცდია, 40% ფიქრობს, რომ დასაშვებია ბავშვების მიმართ ფიზიკური დისციპლინური სასჯელის გამოყენება.<sup>170</sup> საზოგადოების 60% ფიქრობს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები. სტატისტიკურად ეს მაჩვენებელი განსხვავებული აღმოჩნდა კაცებსა და ქალებში. რეგიონების მიხედვით, აჭარასა (70%) და სამცხე-ჯავახეთში (69%) ყველაზე მაღალია მკაცრი აღზრდის მომხრეთა რიცხვი.<sup>171</sup> ქართველოში საკმაოდ ძლიერია პირადი ცხოვრების პატივისცემა და რწმენა, რომ ოჯახის შიდა საქმეებში ჩარევა არ შეიძლება. საზოგადოების 63% აღნიშნავს, რომ ბავშვი თავის მშობლებს ეკუთვნის და მხოლოდ მათ შეუძლიათ ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. ამ მოსაზრების მხარდამჭერთაგან ნახევარი მიიჩნევს, რომ ბავშვი ოჯახში უნდა დაჩეს მაშინაც კი, როდესაც ოჯახში ძალადობას აქვს ადგილი. რეგიონების მიხედვით მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა. დედაქალაქში მოსახლეობის 69% ფიქრობს, რომ ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ მშობლებს შეუძლიათ. მაჩვენებელი ყველაზე დაბალია მცხეთა-მთიანეთსა (44%) და შიდა ქართლში (37%). ზოგადი ტენდენციის მიხედვით, ამ მოსაზრების მხარდამჭერთა რიცხვი რეგიონებში უფრო დაბალია, ვიდრე თბილისში. ასეთი ტენდენცია

---

<sup>170</sup> იქვე.

<sup>171</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, თბილისი, 2013, გვ. 22.

ნაწილობრივ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ საქართველოს რეგიონებში ფართო ოჯახური კავშირები და მეზობლებთან ურთიერთობები უფრო ძლიერია, ვიდრე თბილისში.<sup>172</sup> კვლევამ აჩვენა, რომ ფართო საზოგადოებას კარგად არ ესმის, რას წარმოადგენს ძალადობა ბავშვების მიმართ. ყველაზე ნაკლებად გასაგებია ფსიქოლოგიური ძალადობა. არსებობს გავრცელებული წარმოდგენა, რომ ინფორმაციის მიწოდება ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ არის საოჯახო საქმეში ჩარევა. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საზოგადოება საკმაოდ დაბალ დონეზეა გათვითცნობიერებული ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმებში. ანალიზმა აჩვენა, რომ ცოდნა იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზრდის შემთხვევის შესახებ ბავშვთა დაცვის შესაბამისი სახელმწიფო სამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდების ალბათობას.<sup>173</sup>

## დასკვნა

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საზოგადოება საკმაოდ დაბალ დონეზეა გათვითცნობიერებული ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმებში. ანალიზმა აჩვენა, რომ ცოდნა იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზრდის შემთხვევის შესახებ ბავშვთა დაცვის შესა-

---

<sup>172</sup> იხ. იქვე., გვ. 23.

<sup>173</sup> იხ. იქვე., გვ. 37.

ბამისი სახელმწიფო სამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდების ალბათობას. აღნიშნული შედეგების საფუძველზე მთავრობამ და სხვა სახელმწიფო პარტნიორებმა კოორდინირებულად უნდა განახორციელონ ინვესტირება საზოგადოების ინფორმირების მიმართულებით, რაც გააძლიერებს ძალისხმევას ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით და გაზრდის ბავშვთა მიმართ ძალადობის ან ძალადობის ეჭვის მიწოდების შემთხვევებს ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების შესაბამისად. მშობლებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემისა და გავლენის შესახებ, ასევე, ოჯახსა და საზოგადოებაში ბავშვების ძალადობისგან დაცვის გზებისა და პოტენციური ძალადობისა თუ უკვე განხორციელებული ძალადობის ნიშნების გამოცნობის შესახებ. საქართველოში ბავშვის ძალადობისგან დაცვა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება. მაგალითად, სისხლის სამართლის 126 პრიმა მუხლი, რომლითაც კრიმინალიზებულია ოჯახში ძალადობა, ასევე გულისხმობს ბავშვის მიმართ ჩადენილ ძალადობასაც. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ რეგულაციებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი (172<sup>6</sup>) მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სასჯელები ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დარღვევისას,<sup>174</sup> თუმცა, აღნიშნული სასჯელები ქმედების საშიშ-

---

<sup>174</sup>[http://ssa.gov.ge/files/01\\_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/28.pdf](http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/28.pdf)

როების ადეკვატური არ არის და აუცილებელია მათი გამკაცრება.

საქართველოს კონსტიტუციის ბოლო ცვლილებებს რაც შეეხება, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის მიხედვით, აუცილებელია, ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციაში ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს. თუმცა, კონსტიტუცია საკმარისად არ ითვალისწინებს ბავშვის უფლებებს, მათ შორის ისეთ საკითხებს, რომლებიც სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით არის განსაზღვრული.<sup>175</sup> ამ პათოსს იზიარებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც, რომლის პოზიციის და მოსაზრების მიხედვით, კონსტიტუციაში ბავშვთა უფლებების ასახვა ბავშვის კეთილდღეობის პოლიტიკის გამოხატულებად და აუცილებელ ღონისძიებად უნდა იყოს მიჩნეული. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტში ასახული არ არის ბავშვის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორცაა ძალადობისგან დაცვა, შრომითი ექსპლუატაცია, სახელმწიფოს მიერ ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება, ბავშვთა განვითარების, ჭეშმარიტი ინტერესების უზრუნველყოფა. ამასთან, აღინიშნა, რომ, აუცილებელია, ბავშვი განიხილებოდეს როგორც უფლების სუბიექტი და არა მხოლოდ მზრუნველობის ობიექტი.<sup>176</sup> ამგვარი ჩანაწერი კონსტიტუციაში

---

<sup>175</sup> თ. მახარობლიძე, „არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, 2, 2017, 33.

<sup>176</sup> თ. მახარობლიძე, „არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, 2, 2017, 33.

მნიშვნელოვან ბერკეტს შექნის ძალდობისაგან ბავშვთა ეფექტური დაცვისათვის, რაც ზოგადეროვნულ ინტერესებს გამოხატავს (უნდა გამოხატავდეს).

## დიდობის ზადვარზე - ბავშვები ქუჩიდან

ნიკა საჯაია

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი*

ნაადრევი ქორწინება, ბულინგი, ძალადობა, სოციალური დაუცველობა, ეს იმ საკითხების მცირე ჩამონათვალია, რომელიც ბავშვთა უფლებების მიმართულებით პრობლემას წარმოადგენს, თუმცა ეს ის პრობლემებია, რომელზეც ხშირად ვსაუბრობთ. ნაკლები ინფორმაცია არსებობს "ბავშვთა სახლის ბავშვების" შესახებ, რომელთა წარმომავლობაც უმეტესად ქუჩიდან იწყება. ქვეყნის ცენტრალურ უბნებში, მეტრო სადგურებში, ზღვის სანაპიროებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, ადვილი შესამჩნევები არიან ბავშვები, რომლებიც ეწევიან ფიზიკურ სამუშაოს, ყიდიან ნივთებს ან ითხოვენ მოწყალებას. სახელმწიფო ამ ყოველივეს ბავშვთა ექსპლუატაციად არ განიხილავს და პოლიციაც, რომელიც თუნდაც ყველა მეტროსადგურის პლატფორმაზე მორიგეობს, გულგრილად შეჰყურებს ქუჩის ბავშვებს. ამასთან, საქართველოში 2007 წლის შემდეგ არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებით ზუსტ ინფორმაციას მოგვცემდა.<sup>177</sup> ბოლო მონაცემებით კი ეს რიცხვი, ოთხ დიდ ქალაქში,

---

<sup>177</sup> <http://www.tabula.ge/ge/story/126164-quchashi-mcxovrebi-da-momushavebavshvebi-realoba-da-gamotsvevebi>



1500-ს აღწევდა.<sup>178</sup> არც სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელსაც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე ზრუნვა ევალება და არც სტატისტიკის დეპარტამენტს არ აქვს ზუსტი მონაცემები, რამდენი ბავშვი ცხოვრობს და მუშაობს ქუჩაში. სახელმწიფო ბალანსზე მყოფი დაწესებულებების მსგავსი უპასუხისმგებლობა კი ზუსტად ასახავს იმ დამოკიდებულებას, რაც ამ ბავშვებთან მიმართებით სახელმწიფოს გააჩნია. საქართველოში ცნება „უსახლკარო ბავშვები“ აქამდე არც არსებობდა. იუსტიციის სამინისტრომ მხოლოდ ახლახანს წამოაყენა წინადადება, შევიდეს საქართველოს კანონმდებლობაში ამგვარი ცნება.<sup>179</sup> ამის პარალელურად, საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტომ, მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამის საფუძველზე, უსახლკარო ბავშვებისთვის სპეციალური ცენტრი გახსნა, სადაც მათ დღეში ორჯერადი კვებით უზრუნველყოფენ.<sup>180</sup> ბავშვებს ცენტრებში შეუძლიათ იბანაონ და სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური დახმარებაც მიიღონ.<sup>181</sup> ცენტრი თითო ბავშვზე ყოველდღიურად 4 დოლარს ხარჯავს. 2015 წელს თბილისში არსებული ცენტრით სულ 158 ბავშვმა ისარგებლა.<sup>182</sup> ბავშვებით ვაჭრობის, პროსტიტუციისა და მონური ექსპლუატაციის საკითხებში გაეროს ადამიანის უფლებათა ექ-

---

<sup>178</sup> იხ. იქვე.

<sup>179</sup> <https://sputnik-georgia.com/society/20160419/231206025/quchis-bavshvebi-saqartveloshi-problema-tu-shedegi.html>

<sup>180</sup> [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=744](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=744)

<sup>181</sup> იხ. იქვე.

<sup>182</sup> <https://sputnik-georgia.com/society/20160419/231206025/quchis-bavshvebi-saqartveloshi-problema-tu-shedegi.html>

სპერტმა მოდ დე ბურ-ბუკიკიომ, თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე, ქვეყანაში 11–18 აპრილს ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე განაცხადა, რომ ქუჩის ბავშვები უმთავრესი პრობლემა საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.<sup>183</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებლის აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა არა მხოლოდ მატერიალური დახმარება უნდა გაუწიონ იმ ოჯახებს, რომელთა შვილებიც იძულებულნი არიან ქუჩაში „იმუშაონ“, არამედ ასეთი ბავშვების განათლებაზეც უნდა გაამახვილონ ყურადღება.<sup>184</sup>

ამავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე თავის 171-ე მუხლის მიხედვით, “არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე”. თუმცა, ამ მუხლით დაკავებულების შესახებ ინფორმაცია შს სამინისტროს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტში, ასევე საჯარო ინფორმაციის გაცემის დეპარტამენტში არ მოიპოვება.

ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, 2016 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, სოციალურ მუშაკს მიენიჭა უფლება, საჭიროების შემთხვევაში ბავშვი აგრესორისგან პოლიციის გარეშე, დამოუკიდებ-

---

<sup>183</sup> იხ. იქვე.

<sup>184</sup> იხ. იქვე.

ლად განაცალკევოს. თუმცა, კანონის ამოქმედებიდან დღემდე მსგავსი პრაქტიკა არ ყოფილა.<sup>185</sup> ქუჩაში ხელგაწვდილი მოზარდის ან ზეწრებში გახვეული ახალშობილის დანახვა საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ხშირ შემთხვევაში ამ ბავშვებს არც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი აქვთ და შესაბამისად, არც განათლებასა და ჯანდაცვაზე მიუწვდებთ ხელი. ეს კი მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. სხვადასხვა უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შექმნილი კანონპროექტი, რომელმაც ეს და სხვა პრობლემები უნდა მოაგვაროს, სპეციალისტთა დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა მისი აღსრულებისთვის საჭირო რესურსი, ჯერჯერობით, არასაკმარისია. რესურსების ნაკლებობაზე თავად ის ადამიანები საუბრობენ, რომლებთაც სოციალური მუშაკის სტატუსი აქვთ და რომელთა მოვალეობა ამ ბავშვებთან მუშაობაა.<sup>186</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, რომელიც 1989 წლის 20 ნოემბრიდან ამოქმედდა, ბავშვს სახელისა და მოქალაქეობის მოპოვების უფლება დაბადებისთანავე აქვს.<sup>187</sup> მისი მონაწილე სახელმწიფოები კი ვალდებული არიან, ბავშვისთვის ჯანდაცვა და როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახადონ. კონვენციის 29, 32-ე და 36-ე მუხლები სახელმწიფოს ავალდებულებს, დაიცვას ბავშვები ძალადობისგან და ნებისმიერი ტიპის ექსპლუატაციისგან, რაც შეიძლება საშიში იყოს მათი

---

<sup>185</sup> <https://www.unicef.org/georgia/>

<sup>186</sup> <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/14999.pdf>

<sup>187</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf>

ჯანმრთელობისთვის ან ზიანს აყენებდეს მათ ფიზიკურ, სულიერ და გონებრივ განვითარებას. დეკლარირებული მუხლების მიუხედავად, სახელმწიფო მრავალი ათწლეულია ამ პრობლემის ტექნიკური ნაწილის მოგვარებასაც ვერ ან არ უზრუნველყოფს. არანაკლებ ცუდ მდგომარეობაში არიან ისინიც, ვისაც გაუმართლა და თავშესაფარი გამოუჩნდა. სამწუხაროდ, ეს ბავშვები პრობლემას არამხოლოდ სახელმწიფოს, არამედ, რიგითი მოქალაქეების მხრიდანაც აწყდებიან.

ჩვენს „ტოლერანტულ“ საზოგადოებაში, სტიგმა, მიუღებლობა და ქედმაღლობა ჭარბობს. ბავშვები, რომლებიც საჯარო სკოლებში დღის ცენტრებიდან ან საოჯახო ტიპის სახლებიდან დადიან, თავიდანვე აწყდებიან ბარიერს, თანატოლების, თანაკლასელთა მშობლების და მასწავლებლების მხრიდან. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბავშვები, მაინც განსხვავებულები არიან, უფრო სწორად კი, მათ განასხვავებენ. ასეთ ბავშვებს მუდმივად უწევთ მტკიცება, რომ ისინი არიან ჩვეულებრივი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ზოგი ამ მტკიცებით იღლება, ზოგი ვერ ხვდება თუ რატომ უნდა ამტკიცოს და ზოგი კვლავ ეძებს გზას, როგორ დაუბრუნდეს ქუჩას. ადგილს, რომელიც მისთვის უფრო ნაცნობი და ხანდახან ლმობიერია. ეს ადამიანები უმეტესად ვერ იღებენ სათანადო განათლებას, მათთვის იხურება საჯარო სივრცეები, რადგან ბავშვთა სახლებს, თავისი წესები აქვს. ისინი ვერ რჩებიან მეგობრებთან სახლში, ვერ მიდიან აგარაკებზე, ვერ გადაადგილდებიან მეთვალყურეობის გარეშე და ხშირად, სამყაროს ერთი ან ორი ფანჯრიდან აკვირდებიან. მათი ცხოვრება კოლექტიურია, არაფერი დამოუკიდებლად,

ყველაფერი ერთად უნდა აკეთონ. სამწუხაროდ, სახელმწიფო არ უზრუნველყოფს დეკლარირებულ თანასწორობის განმტკიცებას ამ ბავშვებთან მიმართებით. ისინი მოკლებულნი არიან, იმ სიკეთეებს, რაც ზოგიერთ მის თანატოლს უკვე მობეზრებულიც კი აქვს. არასაკმარისი და უთანასწოროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამ ბავშვებისთვის გამოყოფილი თანხაც.

მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბენეფიციარის მომსახურების დაფინანსების ოდენობა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის შეადგენს დღეში 20 ლარს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე ბავშვებისთვის - დღეში 17 ლარს.<sup>188</sup>გასათვალისწინებელია მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რადგან ხშირად მათ დაბადებიდანვე აღიქვამდნენ არაფრად, მუშად, ფულის მომტან მანქანად და უმეტესად არავის აინტერესებს, თუ რა გაუხარდება მას. დანაკლისის ჩამონათვალი დედის სითბოთი იწყება და იქვე, ბედნიერების განცდასთან სრულდება. ბავშვები, რომლებიც თავიდანვე დამლა დადებულები არიან, ყოველ წამიერად განიცდიან უსამართლობას, დაუცველობას, შიშს, უუფლებობას. განიცდიან მაშინაც კი როცა იღიმიან და ცდილობენ მზეს გაუსწორონ თვალი, მზეს რომელიც ხშირად მათ ცხოვრებაში ერთადერთი სინათლეა. მათთვის სრულიად უცხოა დამოუკიდებელი ცხოვრება. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პირი რომელიც სრულწლოვანი ხდება, ვალდებულია დატოვოს თავშესაფარი, რომელიც ყველაზე მეტად მშობლიურია მისთვის. კა-

---

<sup>188</sup> <http://www.ttimes.ge/archives/40141>

ნონმდებელს სამწუხაროდ არ უფიქრია სად უნდა წავიდნენ ადამიანები, რომლებმაც არ იციან როგორ იცხოვრონ და არა იარსებონ. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2018 წელს ჩატარებულ კვლევაში, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასებას ისახავდა მიზნად, ნათქვამია, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებასა და პროფესიულ განათლებასთან ერთად სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდებისათვის საცხოვრისის არარსებობა მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.<sup>189</sup> როდესაც ეს ბავშვები მიაღწევენ გარდამავალ ასაკს, კიდევ ერთხელ, არაფრიდან უწევთ ცხოვრების დაწყება. მათ არ ჰყავთ მშობლები, ახლობლობები, რომლებიც შესაბამის მიმართულებას მისცემენ და ისინი აღარ აინტერესებს სახელმწიფოს. სახელმწიფოს, რომელიც თითქოს და ზერელედ უდგება ამ საკითხს, არ აგვარებს არსებულ პრობლემას, რადგან თითქოს არც სახელმწიფოს აქვს მათგან რაიმეს მიღების იმედი. აღნიშნული ბავშვების ცხოვრებაში კვლავ დგება რისკი, რომ კვლავ საწყის ეტაპს დაუბრუნდნენ. ეტაპს, რომელიც მათ ნელა, თუმცა მაინც ანადგურებს. ხშირად ისინი, რომლებზეც არც ოჯახი და არც სახელმწიფო ზრუნავს, ებმებიან პროსტიტუციაში, არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ხდებიან კრიმინალური ჯგუფის წევრები, კვლავ აგრძელებენ მოწყალეების თხოვნას ან უბრალოდ უჩინარდებიან, ისე რომ მათ კვალს არავინ კითხულობს. სახელმწიფო სამწუხაროდ, არ უზრუნველყოფს

---

<sup>189</sup><https://csdc.ge/media/1001362/2018/03/.../268bfc414638687a0d67cfff5123a971.pdf>

მათ რეინტეგრაციას საზოგადოებაში და დიდად არც საზოგადოება წუხს ამაზე, ეს ხომ უჩინარი ადამიანების პრობლემაა. სახელმწიფო თითქოს ტვირთს იშორებს, ვალდებულებას იხდის და აღარ ინტერესდება ამ ადამიანების ბედით.

ვფიქრობ, მართებული იქნება, დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, მათი დასაქმება და განათლების დონის ამაღლება, რაც საშუალებას მისცემთ, გააგრძელონ ღირსეული ცხოვრება. ნუთუ სოციალური პასუხისმგებობის ქვეყანაში ამდენი წელია ვერ გამოინახა სახსრები და ვერ მოხდა სოციალური მუშაკების დამატება, რომლებიც უკვე "ზრდასრულ მზრუნველობა მოკლებულ ადამიანს" დააკვირდება, მისცემს მიმართულებას და როგორც თანასწორს, გვერდით დაუდგება. საკითხის პრობლემატურობას ადასტურებს, არაერთი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა. მაგალითად, 2017 წელს საჯარო პოლიტიკის კვლევისა და ტრენინგების ცენტრის მიერ ჩატარდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი მოზარდების მდგომარეობის კვლევა ბავშვზე ზრუნვის სისტემის დატოვების შემდეგ.<sup>190</sup> ამ კვლევაშიც გამოიკვეთა, რომ არ არსებობს თავმოყრილი ინფორმაცია იმ ბენეფიციარების შესახებ, რომლებმაც დატოვეს სახელმწიფო ზრუნვის სისტემა და დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად დახმარება სჭირდებათ. კვლევაში ასევე ნათქვამია, რომ თავად მოზარდთა შეფასებით ყოველი 10 მოზარდიდან, რომელიც სახელმწიფო ზრუნვას ტოვებს, საშუალოდ ორი - სამუშაოზე ეწყობა

---

<sup>190</sup> <https://heconomic.wordpress.com/2018/08/19/shelter-care/>

ბა, ექვსი - მუდმივი საცხოვრებლის გარეშე რჩება, ორი კი ციხეში ხვდება.<sup>191</sup>

აღნიშნული მონაცემების განზოგადებით, დგინდება, რომ ამ მიდგომითა და სახელმწიფოს აშკარა გულგრილობით არა კონკრეტული პირი ან ჯგუფი ზარალდება, არამედ ზარალდება სახელმწიფო. გაზრდილი კრიმინალი, სოციალური უთანასწორობა, სიღარიბე. ქვეყანაში, რომლის პრემიერ მინისტრიც ოფიციალურად, სწორედ ბავშვთა არასათანადო მდგომარეობის გამო გადააყენეს, სავალალოა ის ვითარება, რომელიც სახეხსა, თუმცა ესენი ხომ "ადამიანები ბავშვთა სახლებიდან" არიან, რომელმთა ხმა ხშირად გვერდზე მყოფ რიგით მოქალაქესაც არ ესმის.

პრობლემის მოგვარებისთვის აუცილებელია საკითხის კომპლექსურად აღქმა, მხოლოდ იმაზე საუბარი, რომ სახელმწიფომ უნდა გააკეთოს რაიმე ძალიან ზოგადია, უმჯობესია პრობლემა დაკონკრეტდეს. ამ მხრივ, საინტერესოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ უნდა მოხდეს სოციალური მომსახურე პირების გადამზადება, რაც გულისხმობს ამ ბავშვებთან ურთიერთობის სპეციალური სტანდარტის ჩამოყალიბებას და ინდივიდუალური მინდომის გათვალისწინებას თითოეულ ბენეფიციარზე. სოციალურ მომსახურე პირმა, ბავშვი უნდა მიიღოს არა როგორც სამსახურის ნაწილი, არამედ როგორც დახმარების საჭიროების მქონე სუბიექტი, მასთან კომუნიკაცია სტანდარტიზებული და გაწერილი არ უნდა იყოს და ეს უკანასკნელი, თითოეულ ახალგაზრდას უნდა მოერგოს.

---

<sup>191</sup> იხ. იქვე.